საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№28 (404)
26 ივლისი - 1 აგვისტო, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**როგორ აპირებდა სტალინი თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას და როგორ უშლიდნენ ხელს საქართველოს „სტრატეგიული მოკავშირეები“** 12

## ბატონი ავად გამხდარა?



2

«ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანია, მმართველი რგოლის საკვანძო ფიგურები მუდამ გრძნობდნენ, რომ მის გარეშე კრახი მოელით. პოზიცია «შემეშვით და ქვეყანა თვითონ მართეთ» შეიძლება ამ თამაშის ნაწილი იყოს»

## აბსურდის ანტიმარში



3

«ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს» 6



## პოლიტპროსტიტუცია საქართველოში






„თავისუფალი დემოკრატებიც“, კონსერვატორებიც, რესპუბლიკელებიც და კიდევ ბევრი ჩინიანი თუ უჩინო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად იყვნენ ბლოკში და შემდეგ პარლამენტში მოხვდნენ. მერე ეს პარტიები „ქართულ ოცნებასთან“ გაერთიანდნენ კოალიციაში და კვლავ მოხვდნენ პარლამენტში. ახლაც სწორედ ამ ერთადერთი მიზნით, როგორმე პარლამენტში შევიდნენ და ოთხი წელი „იტივტივონ“, ბლოკების დაშვებას ითხოვენ, რადგან ცალ-ცალკე არასდროს ჰქონიათ ამის შანსი და არც არასდროს ექნებათ“ 5

## «საქართველოში ნეოლიბერალური ტერორი აუცილებლად დამთავრდება» 4






«ამას ვერანაირი გრანტი, ვერანაირი დაფინანსება თუ პოლიტიკური დივიდენდები გარკვეული დასავლური ძალებისგან, ხელს ვერ შეუშლის»



**გდრ-ის დაზვერვის ყოფილი შეფი: გერმანული რაიხი კვლავაც არსებობს და მისი მიზნები უცვლელია** 15

**მიხეილ სააკაშვილი – უკრაინის პრეზიდენტი, მარია მაკსაკოვა – პირველი ლედი** 11




**აშშ-ის ახალი პროექტი?**






## ვარიაგები 14

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანია, მმართველი რგოლის საკვანძო ფიგურები მუდამ გრძნობდნენ, რომ მის გარეშე კრახი მოელით. პოზიცია „შემეშვით და ქვეყანა თვითონ მართეთ“ შეიძლება ამ თამაშის ნაწილი იყოს.**

# ბატონი ავად გახდარა?

**23 ივლისს ბიძინა ივანიშვილი „ბლექ სი არენაზე“, ქეთი მელუას კონცერტზე გამოჩნდა. ეს კარგი საბაბია იმისთვის, რომ გავაანალიზოთ ის პერიოდი, როდესაც მისმა გაუჩინარებამ ავანსცენიდან არაერთი სპეკულაცია წარმოშვა. მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცოდა, სად იმყოფება ქვეყნის (რეალური და არაფორმალური) პირველი პირი.**

ბიძინა ივანიშვილის „გაქრობასთან“ დაკავშირებით სამი ძირითადი ვერსია განიხილებოდა. პირველის თანახმად, ის მძიმე დაავადებას ებრძოდა; მეორე ვარიანტით, ცდილობდა, ‚ქართული ოცნება“ ავტონომიურ რეჟიმში აემუშავებინა; მესამე ვერსია კი ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ ივანიშვილმა, შუა საუკუნეების მმართველების მსგავსად, თავი მოიავადმყოფა, რათა გადამწყვეტ მომენტში ისევ გამოჩენილიყო და გაურკვევლობაში მყოფ მომხრეებში ენთუზიაზმის მოზღვავება გამოეწვია. ამ ძველი მანიპულაციის ფარგლებში ემოციური და თანმდევი პოლიტიკური რესურსი, ფაქტობრივად, ჰაერიდან იქმნება.

გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი სიმულაკრის ფენომენზე საუბრისას ხშირად მოუწოდებდა სტუდენტებს, წარმოედგინათ, ერთი მხრივ, ავადმყოფის როლის შემსრულებელი მსახიობი და, მეორე მხრივ, სიმულანტი, რომელიც თავს იავადმყოფებს. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ თამაშს, რომელიც როლისა და სპექტაკლის ჩარჩოებს არ სცდება. მეორე შემთხვევაში კი სიმულანტი ცვლის რეალობას, გარშემომყოფები ეპყრობიან მას, როგორც ავადმყოფს, და ამას პროცესის ყველა მონაწილისთვის გარკვეული ცვლილებები მოსდევს. სწორედ ასე ცვლიდა რეალობას ბიძინა ივანიშვილის ჰიპოთეტური ავადმყოფობაც, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მხოლოდ ჭორები ვრცელდებოდა და არანაირი, თუნდაც ირიბი, მტკიცებულებები ამისა არ არსებობდა.

ვერსია მისი ავად გახდომის შესახებ ეჭვქვეშ მხოლოდ იმიტომ არ დგას, რომ საქართველოში მსგავსი ინფორმაციის დამალვა, უბრალოდ, ვერ მოხერხდება. მმართველის ნამდვილი ავად გახდომა, 99%-იანი ალბათობით, მკვეთრად გაამძაფრებდა ბრძოლას ხელისუფლებისთვის და გამოიწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებებს პოლიტიკურ არენაზე, რომელსაც დღეს ნამდვილად ვერ ვხედავთ. ეს გარემოება, ერთი შეხედვით, აბათილებს ვერსიას ავად გახდომის შესახებ, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს — **ზოგს ურჩევნია, თავი დაირწმუნოს იმაში, რომ ივანიშვილი საუკეთესო ფორმაშია, ვიდრე წარმოიდგინოს, რომ კვირიკაშვილის მთავრობა ან საპარლამენტო უმრავლესობა იმ უნიკუმის ხელმძღვანელობით დარჩა „მარტო სახლში“ და უიმედო ლუზერების ჯგუფი ქვეყანას საკუთარი შეხედულებისამებრ მართავს.** ბევრისთვის გაცილებით კომფორტულია, უკუაგდოს მსგავსი აზრები და წარმოიდგინოს, რომ საჭესთან ისევ ივანიშვილია, მიუხედავად იმისა, რომ ის, დიდი ხანია, არსად გამოჩენილა.

აქ პოლიტიკა კვაზირელიგიას ესაზღვრება. რწმენა, რომ „ყოვლისშემძლე და (ამ ეტაპზე) უხილავი“ ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად არსებობს, ყველაფერს ხედავს და აკონტროლებს, „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილი სისტემისთვის ერთგვარი დუღაბის როლს ასრულებს და სისტემის ჩამოშლას აფერხებს. მაგრამ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოჩნდებოდა „ერეტიკოსი“, რომელიც იტყოდა: „ბიძინა სინამდვილეში არ არსებობს (ვერ ხედავს, ვერ აკონტროლებს)“, ამიტომ პაუზა უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა.

**ხელისუფლების ლეგიტიმურობა მიბმულია პირადად ივანიშვილზე და მის დაპირებაზე, რომ მართვის სადავეებთან სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას არ დაუშვებს. დიდი ხანია, გაცამტვერდა დაპირებები ჯადოსნურ მეოთხე წელიწადზე, დემოკრატიაზე, რომელიც ევროპას გააოცებს, სამართლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკურ წინსვლაზე; დარჩა მხოლოდ ერთი — დანაშაულებრივი რეჟიმის რესტავრაციის არდაშვება. ამ დაპირებას ივანიშვილის ხელისუფლება, ყველა მინუსის მიუხედავად, ჯერჯერობით ასრულებს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მთავარი იდეა, რომელსაც ხელისუფლებისა და საზოგადოების უმრავლესობის კონსენსუსი ეფუძნება, პოზიტიური უნდა იყოს, ემსახურებოდეს ამა თუ იმ მიზნის მიღწევას და არა რაიმეს უარყოფას. ეს მნიშვნელოვანი ნიუანსია, რომელსაც საქართველოში ყოველთვის როდი ამჩნევენ.**

კვირას აღმაშენებლის გამზირზე გაიმართა ორი აქცია, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ იყო მიმართული — შეკრებილთათვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის მარგინალიზაცია, რომელსაც მისი გაჩუმების სურვილი ერწყმოდა. ყველაზე „სახალისო“, ალბათ, ის იყო, რომ ფაშიზმთან ბრძოლის ლოზუნგით ქუჩაში „ევროპული საქართველო“ გამოვიდა, რომლის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა წლების განმავლობაში ფაშისტური რეჟიმის დასაყრდენს წარმოადგენდა. თუმცა მთავარი ისაა, რომ ერთმანეთის უარყოფაზე (და არა პოზიტიური მიზნების დასახვაზე) დაფუძნებული პოლიტიკა არსებითად მარაზმატულია და სასიკეთო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ივანიშვილის „გაუჩინარებამ“ ბუნებრივად წარმოშვა კითხვა: რა მოხდება შემდეგ?

ისიც კი, ვინც დარწმუნებული იყო, რომ „სრულიად საქართველოს ოლიგარქი“ თავს კარგად გრძნობს და ქვეყანას ძველი შემართებით მართავს, ცოტა ხნით მაინც დაფიქრდა იმაზე, რა შეიძლება მოხდეს „ივანიშვილის შემდეგ“. ეს კარგად აისახა მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და სოცქსელებში გამართული დისკუსიების ტექსტებში თუ



> **სად არის ივანიშვილი? როგორ გრძობს თავს? რას ფიქრობს თავის დინასტიასა და მემკვიდრეზე? როდესაც მოსახლეობას მსგავსი კითხვები აწუხებს, ქვეყანაში სტაბილურობა ვერ დამკვიდრდება, არ იქნება არც გრძელვადიანი ინვესტიციები, არც მდგრადი განვითარება, არც საკუთარი ძალების რწმენა. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, ვერ ანებებს თავს ავტორიტარ მმართველს, ვერ უშვებს მას ხელს, როგორც პატარა ბავშვი ვერ ბედავს, დამოუკიდებლად თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგას და უფროსის ხელს ებღაუჭება**



ბიძინა ივანიშვილი ქეთი მელუას კონცერტზე

არა, ქვეტექსტში მაინც. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ესპანეთი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში — ფრანკო სიტუაციას 100%-ით აკონტროლებდა, ოპოზიციას არაფრის გაკეთება შეეძლო — ის რეალურად არც არსებობდა, მაგრამ ბევრს მოეჩვენა, რომ გამარჯვებული ანტიჰიტლერული კოალიცია ფრანკოს რეჟიმსაც მოუღებდა ბოლოს. ამავე დროს, გავრცელდა ჭორები იმის თაობაზე, რომ დიქტატორის ჯანმრთელობა გაუარესდა. ესპანური ელიტა ჩუმმა პანიკამ მოიცვა — განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც მწვერვალზე ფრანკოსთან ერთად ავიდა. მთავარი კითხვა მისთვის გახდა „რა მოხდება შემდეგ?“. ელიტა არ დამშვიდდა, სანამ დიქტატორმა არ შეიმუშავა მონარქიის აღდგენის ცნობილი გეგმა და გარანტიების სისტემა, რომელმაც მისი გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ფატალური რყევები გამორიცხა.

შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ საქართველოში მონარქიის აღდგენის აპოლოგეტები ამ იდეას მას შემდეგ დაუბრუნდნენ, რაც გავრცელდა ცნობები ივანიშვილის ავადმყოფობის შესახებ და კითხვა „რა მოხდება შემდეგ?“ ისევ აქტუალური გახდა. ძველი ელიტა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოდის, დაიღალა. მას სამი ათწლეულის განმავლობაში ლამის იარაღით ხელში უწევს საკუთარი პოზიციების დაცვა ძალზე ენერგიული და „მშიერი“ პრეტენდენტების ჯგუფებისგან, რომელთაც მისი ადგილის დაკავება სურთ. მას სჭირდება სტატუსის შენარჩუნების გაცილებით მყარი გარანტიები, ვიდრე მორიგ ავტორიტარ მმართველთან გაფორმებული პაქტი მისცემს, რადგან მისი დამხობის შემდეგ, გააფთრებული ბრძოლა სტატუსის შენარჩუნებისთვის თავიდან დაიწყება. სწორედ ამიტომ **ელიტამ შეიძლება შეხედოს მონარქიის აღდგენას, როგორც ერთ-ერთ სცენარს, რომელიც მის მდგომარეობას გაამყარებს, დაახლოებით ისე (ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით), როგორც ეს ესპანეთში მოხდა. ამ ადამიანებისთვის მთავარია არა მონარქიის იდეა რომანტიულ შეფუთვაში, არამედ სარგებელი, რომელიც მან შეიძლება მოუტანოს,** თუმცა ამ ეტაპზე ისინი, სავარაუდოდ, მას განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ დამატებით და არა ძირითად გარანტიას.

მთავარი როლი იმაში, რომ საზოგადოების ნაწილი ხანმოკლე, მაგრამ სავსებით რეალურმა პანიკამ მოიცვა, „სააკაშვილის დაბრუნების საფრთხემ“ შეასრულა, რომელიც სწორედ ივანიშვილის გუნდმა შექმნა და განსაკუთრებით აქტუალური 2016 წლის არჩევნების წინ გახადა, რადგან, ელექტორატის დაშინების გარდა, გამარჯვების სხვა ალგორითმი ვერ შეიმუშავა. ზოგმა, ალბათ, წარმოიდგინა, რომ ხელისუფლების სათავეში შეიძლება შურისმაძიებელი გიჟი მოექცეს და ეს ძალიან არ მოეწონა. ამ კონტექსტში ივანიშვილი კიდევ ერთხელ წარმოჩინდა „ნაკლებ ბოროტებად“.

**არის კიდევ ერთი საინტერესო ქვეტექსტი, რომელზეც იშვიათად საუბრობენ. ივანიშვილი შეიძლება იფასებდეს თავს თანაგუნდელებთან ურთიერთობაშიც — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მათი მდგომარეობა საკმაოდ რთულია.** ისინი, როგორც ჩანს, იძულებულნი გახდებიან, ივანიშვილს დახმარებისთვის მიმართონ და ის, სავარაუდოდ, შეეცდება, რომ ეს მისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში მოხდეს. **ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანია, მმართველი რგოლის საკვანძო ფიგურები მუდამ გრძნობდნენ, რომ მის გარეშე კრახი მოელით. პოზიცია „შემეშვით და ქვეყანა თვითონ მართეთ“ შეიძლება ამ თამაშის ნაწილი იყოს.**

უხერხული კითხვები მომავალზე სერიოზულ პრობლემებს ყველა პერსონალისტურ რეჟიმს უქმნის, ქართული შემთხვევა კი გაცილებით რთულია, რადგან სისტემის ზედა რგოლი თან არსებობს და, ამავე დროს, თითქოს არც არსებობს, დროდადრო ხილულია, ორიოდე წამში კი — უხილავი.

**სად არის ივანიშვილი? როგორ გრძობს თავს? რას ფიქრობს თავის დინასტიასა და მემკვიდრეზე? როდესაც მოსახლეობას მსგავსი კითხვები აწუხებს, ქვეყანაში სტაბილურობა ვერ დამკვიდრდება, არ იქნება არც გრძელვადიანი ინვესტიციები, არც მდგრადი განვითარება, არც საკუთარი ძალების რწმენა. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, ვერ ანებებს თავს ავტორიტარ მმართველს, ვერ უშვებს მას ხელს, როგორც პატარა ბავშვი ვერ ბედავს, დამოუკიდებლად თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგას და უფროსის ხელს ებღაუჭება.** ის (მნიშვნელობა არ აქვს, ზვიადს წარმოიდგენს მის ადგილას, ედუარდს, მიხეილს თუ ბიძინას) ყოვლისშემძლე ჰგონია და აზრადაც არ მოუვა, რომ მმართველი შეიძლება მასზე უფრო დაბნეული იყოს.

**დღეს ფაშიზმი — სალანძღავ ტერმინად, ფაშისტი კი სალანძღავ ტიტულად აქცია ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ოჯახურმა ტანდემმა და ატყდა კიდეც ერთ ამბავი ქართულ ტელევიზიებში, — არიქა, საქართველოში ფაშიზმი გაცოცხლდა და მსოფლიოს წალეკვით ემუქრებაო! ისეთი ინტონაცია აქვთ „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „ტვ-პირველის“ წამყვანებს, კაცი იფიქრებს, ქართველი ფაშისტები ჯერ ძალაუფლების ხელში აღებას, მერე კი სომხეთის „ანშლუსს“, საბერძნეთის ელვისებურ ანექსიასა და ლა-მანშის სრუტის ორივე მხარეს სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარებას აპირებდნენ.**



**ბაჩო სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აბსურდის ანტიმარში

**ფაშისტი საქართველოში უკვე სალანძღავი სიტყვა გახდა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა უცნაური და გაუგებარია, მაგრამ ჩვენ ხომ დღეს სწორედ ასეთ უცნაურ და გაუგებარ საქართველოში ვცხოვრობთ. კერძოდ, რაიმე მოვლენა, ტერმინი, ტიტული დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ამას გიგა ბოკერია და მისი გარემოცვა წყვეტს. ამიტომაც ვთქვი, გახდა-მეთქი, რადგან საქართველოში 2003-დან 2012 წლამდე ფაშიზმი სულაც არ ნიშნავდა ლანძღვას, რადგან გიგა ბოკერიას ასე სურდა.**



საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **ნუგზარ წიკლაურმა** ისიც კი მოითხოვა, რომ 9 მაისი არ აღგვენიშნა, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღე. მისი განმარტებით, 9 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი იმედის დასამარების დღეა, რადგან **ადოლფ ჰიტლერის** არმიები, საქართველოს (და მთლიანად კავკასიის) გასათავისუფლებლად მოდიოდნენ თურმე და ქართველთმოძულე **იოსებ ჯუღაშვილმა** არ შემოუშვა(?!). სწორედ ნაცების მმართველობის პერიოდში მოითხოვეს, რომ ვაკის პარკში, რომელსაც ოფიციალურად „გამარჯვების პარკი“ ჰქვია, „უცნობი საბჭოთა ჯარისკაცის“ საფლავის ადგილას „ბერგმანის“ ბატალიონის ქართველი მეომრების ძეგლი დაგვედგა. ეს ის ბატალიონია, რომელიც კავკასიონზე დივერსიულ აქტებს ახორციელებდა და უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობდა. კიდევ კარგი, ეს ამბავი გარკვეულმა უცხოურმა ორგანიზაციებმა დროზე შეიტყვეს და საქართველოს იმჟამინდელ პარლამენტს უთხრეს, — ხომ არ გაგიჟდით, ფაშისტების მხარეს მებრძოლი ბატალიონისთვის ძეგლის დადგმა მსოფლიოში გაუგონარი ამბავიაო! თორემ საკითხი თითქმის უკვე დადებითად იყო გადაწყვეტილი. **ბოკერიას** ასე უნდოდა მაშინ! **ჰიტლერის, ფაშისტების მხარეს მებრძოლი ქართველების „ეროვნულ მოღვაწეებად“ წარმოჩენა მოდური იყო და ამით კარგა ხანს სპეკულირებდა „ნაციონალური მოძრაობა“.**

აგერ, გასულ კვირაში კი, იმავე გიგა ბოკერიამ, თანამოაზრეებითურთ, ისეთი „ანტიფაშისტური“ მარში „მოარტყა“, თვით **სტალინი** ან **ჩერჩილ-რუზველტი** თუ არა, მარშალი **დე გოლი** ან გენერალი **ეიზენჰაუერი** მაინც გეგონებოდა კაცს.

მოკლედ, **დღეს ფაშიზმი სალანძღავ ტერმინად, ფაშისტი კი სალანძღავ ტიტულად აქცია ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ოჯახურმა ტანდემმა და ატყდა კიდეც ერთ ამბავი ქართულ ტელევიზიებში, — არიქა, საქართველოში ფაშიზმი გაცოცხლდა და მსოფლიოს წალეკვით ემუქრებაო! ისეთი ინტონაცია აქვთ „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „ტვ-პირველის“ წამყვანებს, კაცი იფიქრებს, ქართველი ფაშისტები ჯერ ძალაუფლების ხელში აღებას, მერე კი სომხეთის „ანშლუსს“, საბერძნეთის ელვისებურ ანექსიასა და ლა-მანშის სრუტის ორივე მხარეს სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარებას აპირებდნენ.**

არადა, სინამდვილეში ვინ არიან ქართველი ე.წ. ფაშისტები? ეს არის ძალიან მცირე ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებიც უკიდურესად აგრესიულები არიან იქ, სადაც გასდით, ხოლო კულტურულები და თავაზიანები — იქ, სადაც სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებიან.

სწორედ მათზე დაყრდნობით სცადა ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ოჯახურმა მაფიოზურმა დაჯგუფებამ „ქართული მარშის“ ორგანიზატორებისა და მონაწილეების ფაშისტებად გასაღება. ამას დაერთო რამდენიმე ფოტო, რომელზეც „ქართული მარშის“ მონაწილე ერთ-ერთი გოგონა ფაშისტური გერმანიის „ეს-ეს“-ის ნიშნებით არის მოხატული, ხოლო რამდენიმე ნიღბიანი ახალგაზრდა ფაშისტური ჟესტით ესალმება ერთმანეთს.

ამ ფოტოებზე უკვე აშკარად ჩანს, რომ ღამეა და „მარში“ დაშლილია. უშუალოდ მარშის მიმდინარეობისას არავის მსგავსი არაფერი შეუნიშნავს. როგორც ჩანს, ამ გოგო-ბიჭებმა მარშის დასრულების შემდეგ „აიშვეს“. „ქართული მარშის“ ორგანიზატორები ადეკვატურად გამოეხმაურნენ ამ ფაქტს და ოფიციალურად განაცხადეს, რომ სრულიად ემიჯნებიან ყოველგვარ ფაშიზმსა და ჰიტლერულ დაჯგუფებებს. მათ ამ ახალგაზრდებს მოუწოდეს, ან გონს მოვიდნენ და ჰიტლერულ პროპაგანდას შეეშვან, ან „ქართული მარშისგან“ შორს დაიჭირონ თავი. **მიუხედავად ამისა, „ქართული მარშის“ გასაღება ფაშისტების მარშად მაინც გრძელდება და, როგორც აღვნიშნე, ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს სამი სრულიად ლიბერასტული ტელევიზია: „რუსთავი 2“, „იმედი“ და „ტვ-პირველი“.**

„იმედმა“ ამ მხრივ ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის ყველა რეკორდი მოხსნა და, როდესაც ალამაშენებლის გამზირზე გამართული ლიბერასტული აქციისა და მისი კონტრაქციის შესახებ სიუჟეტებს გადმოსცემდა, წამყვანი ასეთი ტექსტით საუბრობდა: „ევროპული საქართველოსა და მისი პარალელური ნეოფაშისტების აქციები ჯერაც არ დაშლილაო“.

**სრულიად აშკარაა, რომ „ქართული მარშით“ დაშინებულმა და, პირდაპირ რომ ვთქვათ, სასტიკად ჩასვრილმა „ლიბერასტულმა“ საზოგადოებამ და მათმა გურუ „ცოლ-ქმარმა“ — ბოკერია-ჩერგოლეიშვილმა, უცხოელი პატრონების კარნახით, ამჯერად გადაწყვიტეს, რომ ბრძოლის საუკეთესო საშუალება ფაშისტობის დაბრალებაა.**

**ერთია, როგორ გამოუვიდათ საზოგადოების თვალში ამ მისიის შესრულება აშკარად მოსყიდულ და უტიფარ ტელევიზიებს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ვინ ვის აბრალებს ფაშისტობასა და ნაცისტობას.**

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ადოლფ ჰიტლერს რომ იოსებ სტალინის წინააღმდეგ ჩაეტარებინა აქცია „არა ფაშიზმს!“ — ხომ ძალიან კომიკური იქნებოდა?

ჩემი აზრით, არანაკლებ კომიკური ამბები მოხდა თბილისში 23 ივლისს.

სხვათა შორის, „ანტიმარშელები“ ისე არიან დაბნეული, შეშინებული და არეული „ქართულ მარშზე“ ბევრი ხალხის ხილვით, რომ ჰიტლერი და სტალინი მართლა აურიეს და აზილეს ერთმანეთში.

მაგალითად, ჩემი ყურით მოვისმინე „ლიბერასტების“ მხრიდან „მარშისტების“ ასეთი ლანძღვა: „ოხ, ეგ სტალინისტები და ჰიტრელისტები, ეგენი!“

**„ლიბერასტები“ ისე არიან აჭრილი, რომ „ქართული მარშის“ მონაწილეებს „სტალინისტობასა“ და „ჰიტლერისტობას“ ერთდროულად აბრალებენ. ნუ გაგვიკვირდება „ზვიადისტობა“ და „შევარდნაძისტობაც“ ერთდროულად დააბრალონ, ოღონდ კი როგორმე გალანძღონ და საზოგადოება მათ სიცუდეში დაარწმუნონ.**

თვითონ „ანტიმარშისტებმა“ კი უკვე საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ მართლაც არიან ერთდროულად „ბიძინისტები“ და „მიშისტები“. 23 ივლისს გამართული „ქართული მარშის“ საწინააღმდეგო აქციას რესპუბლიკელი **დავით ბერძენიშვილი** და **ირაკლი ალასანიას** ყოფილი პარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარე **შალვა შავგულიძე** შეუერთდნენ. მოგეხსენებათ, ორივე „ოცნების“ ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები არიან და „ნაც-ქოცთა“ ერთობაც უკვე აშკარად წარმოაჩინეს.

კიდევ ერთი საოცრება შევნიშნე „ანტიმარშისტების“ ლოზუნგებს შორის: „ჩვენ ვგმობთ რუსულ ფაშიზმს!“ — ასეთი წარწერა მოჰქონდა ერთ-ერთ მონაწილეს.

**წარმოგიდგენიათ, რა დღეში არიან მარშით შეშინებული „ლიბერასტები“? მსოფლიოში არარსებული ტერმინი „რუსული ფაშიზმიც“ კი გამოიგონეს. ეგეც რომ არა, თვით ეს ლოზუნგი რას ნიშნავს?! ანუ ფაშიზმიც კი მხოლოდ რუსულია მიუღებელი, თორემ გერმანული ფაშიზმი, იტალიური ფაშიზმი, რუმინული ფაშიზმი, ფრანგული ფაშიზმი, ინგლისური ფაშიზმი ან, სულაც, ამერიკული ფაშიზმი შესანიშნავია, ხომ?**

სიმართლე ითქვას, ამ დონეზე აჭრილი, დაბნეული და შეშინებული „ლიბერასტები“, 20 წელიწადია, არ მინახავს. ეს კი ნამდვილად უნდა ჩავუწეროთ აქტივში „ქართულ მარშს“. **ამ მარშის ორგანიზატორებმა იმდენი ნამდვილად შეძლეს, რომ „ლიბერასტებს“ უკვე ერთმანეთში ერევათ სტალინი და ჰიტლერი, ფაშიზმი და დემოკრატია, მშვიდობიანი აქცია და იარაღით მორბენალი პარლამენტარი.**

დიახ, **„ქართველთა მარშმა“ ისე დააბნია და თავზე ხელი აალებინა ოთო კახიძეს, რომ „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი, პატივცემული პარლამენტარი მშვიდობიან აქციაზე წელში იარაღგაჩრილი გამოცხადდა. შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადა, თავდაპირველად „მარიაჟობაც“ კი დაიწყო, — „გლოკი 19“ ოფიციალურადაც მაქვს გაფორმებული ტარების უფლებით და ისეთი მაგარი სროლა ვიცი, ტყვიას ტყვიაში ვაჯენო.**

მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც საქართველოს მთავარი პროკურორის ყოფილ მოადგილესა და „დიად იურისტს“ შეახსენეს, მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღით მშვიდობიან აქციაზე მისვლა აკრძალულიაო, „ნეულავიმი ოთო“ იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ „შეცდომა დაუშვა“.

საზოგადოდ, ბევრი რამის აღიარება თუ ძალაუნებური ჩამოშიშვლება (როგორც მათ ბელადს უყვარდა სიტყვა „ჩამოშლა“, ამის ანალოგიურად) მოუწიათ ნაციონალებს და მათგან გამოყოფილ „ევროპელებსა“ და სხვებს.

**ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელწოდებითა და „ნაციონალიზმის“ იდეით ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალა („ევროპული საქართველო“ ხომ „ნაციონალების“ ლიდერთა ბირთვით არის წარმოდგენილი) სრულიად შიშვლდება და აშკარად გამოდის სწორედ ნაციონალური იდეის — „ქართული მარშის“ წინააღმდეგ.**

მათ გვერდით დგება „ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ყოფილი ბირთვი (რომელიც მთელი 4 წელიწადი, ფაქტობრივად, მთავრობასაც და პარლამენტსაც მართავდა) — რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“.

მათ გვერდითაა „ქართული ოცნების“ მიერ დარეკლამებული და „დაპიარებული“ „მომავლის დიპლომატი“, „უნიჭიერესი“ და ა.შ. **თათია დოლიძე**, რომელიც მალე გაეროში ისეთივე წმინდა ინგლისურით დაგმობს ყოველივე ქართულს, როგორც ვითომ რუსული ოკუპაცია დაგმო ამას წინათ და საზოგადოების უტვინო ნაწილს „აღფრთოვანება“ მოჰგვარა...

და რაც მთავარია: ნაციონალებმა დათმეს თავიანთი უმთავრესი იდეოლოგია — ფაშიზმი და ამ იდეოლოგიის გატარებაში უკვე აქეთ დებენ ბრალს სხვებს.

სხვათა შორის, „ქართული მარშის“ საწინააღმდეგო ერთ-ერთი მოსაზრება მისი ლიდერების „მიუღებლობაც“ არის. პროპაგანდა, რომ **„კორკოტა“, ბრეგაძე, სადღობელაშვილი** და სხვები ხალხისთვის მიუღებელია და მათ არ უნდა გაჰყვნენ, ისმის როგორც „ნაცმოძრაობისგან“, ასევე „ოცნებისგან“.

კი ბატონო, ნაცების ამბავი გარკვეულია და, ისინი რას ამბობენ, ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ ამ შემთხვევაში „ოცნების“ წარმომადგენლებსა და მათ მხარდამჭერებს მინდა მივმართო: **კარგი, დავიჯეროთ, რომ ეს ლიდერები ხალხისთვის არ უნდა იყოს მისაღები. „ქართულ მარშში“ მონაწილეთა უმეტესობამ ხომ აჩვენა, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის ქართული იდეა მისაღებია?!**

მიპასუხეთ, **მაშ, რატომ არ შესთავაზეთ ეს იდეა ქართველ ხალხს თქვენ — ხელისუფლებამ? რატომ მიუგდეთ იგი ბრეგაძე-სადღობელაშვილს გამოსაყენებლად?**

ხალხი მიჰყვება არა ლიდერებს, არამედ იდეას, რომელიც მოსწონს! შესაძლოა, ლიდერები იტყუებიან და ხალხისთვის სასურველ იდეებს ბოროტად იყენებენ, მაგრამ სად ხართ თქვენ, ოფიციალურო პატრონებო ამ სახელმწიფოსი — მთავრობავ, ხელისუფლებავ?

**რა, შესთავაზეთ ხალხს რაიმე ქართული, ეროვნული, მისაღები, მისთვის სასურველი და არ გამოგყვა?**

იმედია, შეეცდებით მაინც ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემას.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ ვიდეოში დეტალურადაა ახსნილი, რას უქადის ტრადიციულ მსოფლიოს და განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერებს დღევანდელი დასავლური ფსევდოლიბერალური ღირებულებები, თუკი საზოგადოება არ იქნება პრინციპული და არ გამოვა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, რომელიც გარკვეული გარე ძალების კარნახით მიზანმიმართულად ახორციელებს მზაკვრულ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ გეგმას, რომლის საბოლოო შედეგი აუცილებლად იქნება დაპირისპირება ახალსა და ძველ თაობას, ანუ მშობლებსა და შვილებს შორის“.**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# საქართველოში ნეოლიბერალური ტერორი აუცილებლად დამთავრდება

## ამას ვერანაირი გრანტი, ვერანაირი დაფინანსება თუ პოლიტიკური დივიდენდები გარკვეული დასავლური ძალებისგან, ხელს ვერ შეუშლის

**საზოგადოების მხრიდან მძლავრი საყოველთაო პროტესტისა და მღელვარების მიუხედავად, რომელიც განათლების სფეროში ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში დაწყებულ „ანტიქართულ რეფორმებს“ მოჰყვა, ამჟამინდელი ხელისუფლებაც განაგრძობს უცხოური გრანტით დაფინანსებულ „ძირეულ გარდაქმნებს“. მეტიც, სააკაშვილის საოცნებო „მენტალურ რევოლუციას“ არანაკლები წარმატებით ახორციელებს „ქართული ოცნებაც“ და ევროინტეგრაციის კვალდაკვალ ახალგაზრდების ცნობიერების ფუნდამენტური შეცვლა პოლიტელიტისთვის ისევ უმთავრესი მიზანია.**

სწორედ ამ ამოცანას ემსახურება სკოლებში სექსუალური აღზრდისა და გენდერის თეორიის შემცველი „საგნების“ — „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“ შეტანა. ამ „საგნების“ სწავლებით ბავშვებს უნერგავენ აზრს, რომ „განსხვავებულისადმი“ პატივისცემა ნებისმიერი მოქალაქის ვალდებულებაა, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა, თანასწორია და უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის. ამ აღზრდა-განათლების შედეგად ქვეყანას უახლოეს მომავალში უნდა ჰყავდეს თაობა, რომელიც ყოველგვარი აპელირების გარეშე მიიღებს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, გეიაღლუმებს, ინცესტს, პედოფილიას, უცხოელი მიგრანტების მომრავლებას, ეკლესიის, სარწმუნოების შეურაცხყოფას და ა.შ. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნულმა სწავლებამ ძირფესვიანად უნდა შეცვალოს საზოგადოების აზროვნება, მენტალობა და საერთოდ ყველაფერი, რასაც დღევანდელი გაგებით ქართული იდენტობა ჰქვია.

კონკრეტულად რა ძალები დგანან ამ ყველაფრის უკან, რა არის მათი საბოლოო მიზანი და არის თუ არა ინფორმირებული საზოგადოება აღნიშნულ პროცესებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა უფლებადამცველი **დიმიტრი ლორთქიფანიძე**, რომელიც სწორედ ამ საკითხზე განათლების სამინისტროსთან ცოტა ხნის წინათ გამართული აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

**— ბატონო დიმიტრი, საგნები „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი საგნები ჩანს. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, რა არის მათში მიუღებელიო. მოდი, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ მკითხველს, რა იდეას ემსახურება ეს ორი საგანი...**

— უწინარესად, უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არასოდეს დავიღლებით ხელისუფლების მხილებით იმ ავადსახსენებელი დოქტრინის გატარებაში, რომელიც ჩვენი მომავალი თაობების, ბავშვების გარყვნას, საზოგადოების „გენდერიზაციას“ გულისხმობს. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ეს უკვე მეცნიერების დონეზე აყვანილი თეორიაა და მისი კულტივირება დღეს სრულიად მსოფლიოში ხდება. **ამ თავსმოხვეული ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის უმთავრესი მიზანი ახალი ადამიანის გამოყვანაა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი შვილები არიან მთავარი ფოკუსჯგუფები, რომლებზეც აღნიშნული სახიფათო სოციალური ექსპერიმენტი მიმდინარეობს და, რაც დრო გადის, ამას სულ უფრო ნათლად ვხედავთ.** სხვათა შორის, ამის პირველი ნიშნები უკვე იყო 2015 წელს, როდესაც საპილოტე პროგრამების განხორციელება დაიგეგმა სკოლებში, მაგრამ კიდევ უფრო ადრე, 2004 წელს, ჩატარდა ტესტი თბილისის 24-ე სკოლაში, რომლის დირექტორიც გახლდათ ცნობილი ლიბერალი **გია მურღულია**. გახსოვთ, ალბათ, ის აპირებდა, სკოლაში კლასგარეშე სახელმძღვანელოდ შეეტანა საგანი სახელწოდებით „მხიარული საუბრები სექსზე“, რომელიც უცხოური გრანტებით იყო დაფინანსებული, მაგრამ ამას საზოგადოების ძალიან მძაფრი მყისიერი პროტესტი მოჰყვა. ზუსტად ასეთივე რეაქცია გვქონდა ჩვენ 2015 წელს, როცა უკვე „მეოცნებე“ ხელისუფლება ცდილობდა, მზაკვრულად შემოეღო ამ „საგნების“ სწავლება სოციალური მეცნიერების სახელით, და ამის საწინააღმდეგო არაერთი აქცია ჩავატარეთ. იმხანად ხელისუფლებას, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ დღეს განათლების მინისტრი **ჯეჯელავა**, ცხადია, ისევ უცხოური გრანტებისა და გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერით ცდილობს, განაგრძოს წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე. ეს არის მორიგი მზაკვრული გეგმა, რომელსაც ჩვენ, ბუნებრივია, ისევ ვამხელთ. მინდა, თქვენს გაზეთს ექსკლუზიურად ვუთხრა: რამდენიმე დღის წინათ ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის, **ლევან ვასაძის**, სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ხორბალაძემ**, ინგლისური ენის ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტმა, თარგმნა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აპრობირებული ბავშვთა სექსუალური აღზრდის თეორიის მამხილებელი ვიდეოსინქრონი. **ამ ვიდეოში დეტალურადაა ახსნილი, რას უქადის ტრადიციულ მსოფლიოს და განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერებს დღევანდელი დასავლური ფსევდოლიბერალური ღირებულებები, თუკი, კიდევ ვიმეორებ, საზოგადოება არ იქნება პრინციპული და არ გამოვა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, რომელიც გარკვეული გარე ძალების კარნახით, მიზანმიმართულად ახორციელებს მზაკვრულ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ გეგმას, რომლის საბოლოო შედეგი აუცილებლად იქნება დაპირისპირება ახალსა და ძველ თაობას, ანუ მშობლებსა და შვილებს შორის.**

რაც შეეხება ამ ყველაფრის პოლიტიკურ ნაწილს, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ საკითხის გარშემო ჩვენ მძლავრი კამპანიის დაწყებას ვაპირებთ. კერძოდ, კამპანია დაიწყება იმ ვიდეოს დემონსტრირებით, რომელიც ვახსენე და ჩვენ მოვთხოვთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ ეს ვიდეო გაუშვას ეთერში. შემდეგ საზოგადოებამ თვითონ გამოიტანოს დასკვნა — რა არის მისაღები და რა არა, რასთან გვაქვს რეალურად საქმე და რა ქმნის სერიოზულ საფრთხეს თუ საფრთხეებს...

**— თქვით, რომ სწავლება ახალი საგნების — „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“ — მიზნად ისახავს ახალი მოქალაქის აღზრდას, ახალი ცნობიერების ჩამოყალიბებას. კონკრეტულად რა სახის აღზრდაზეა საუბარი?**

— დღევანდელი დასავლური ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის თანახმად, თანამედროვე აზროვნება გულისხმობს შემდეგს: ორი ძირითადი მოცემულობიდან, როგორიცაა თავისუფლება და ვალდებულება და რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება ტრადიციულ საზოგადოებაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს თავისუფლებას. ოღონდ სწორად უნდა გვესმოდეს, რა თავისუფლებაზეა საუბარი და რა იგულისხმება რეალურად ამ ყველაფრის მიღმა. მარტივად რომ ვთქვათ, **ეს იდეოლოგია ცდილობს, ადამიანი აქციოს რეფლექსებზე დამოკიდებულ უსულო საგნად, რომელიც იქნება მხოლოდ ტოტალური მომხმარებელი. წინა პლანზე გამოდის: „მე მინდა“, „მე მსურს“, მთავარია „მე“, ანუ აქ არის ეგოცენტრიზმის გამომხატველი ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა მიმართულებით, ეს იქნება აბორტების თემა, ევთანაზია, ნარკომანიის პროპაგანდა თუ სხვ.** აი, ამ საშუალებებით უპირისპირებენ ისინი შვილებს მშობლებს, მერე ეს დაპირისპირება პიკს აღწევს და ბოლოს ვიღებთ იმ რეალობას, რომ მშობელი, ფაქტობრივად, ეთიშება შვილის აღზრდის პროცესს. ამის შემდეგ მოზარდის ცნობიერება მთლიანად გადადის მათ ხელში და ბავშვის აზროვნება თავიდან ბოლომდე ყალიბდება მათ მიერ ნაკარნახევი „ლიბერალური“ იდეოლოგიის პრინციპებით...

**— როგორ შეიძლება დაუპირისპირდეს ამ პროცესს ქართველი საზოგადოება და ხომ არ ფიქრობთ, რომ ეკლესიაც უფრო აქტიურად უნდა იყოს ამ ყველაფერში ჩართული?**

— **ამ გლობალისტური პროცესების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტიანი და უტყუარი ფორმულა არის საზოგადოების კონსოლიდაცია**, ვინაიდან ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ ღირებულებების დაცვის სადარაჯოზე ყოველთვის ვიქნებით უმცირესობაში. რატომ? იმიტომ, რომ ეს არის გარკვეული კანონზომიერება. არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ სიმართლის მხარეს ბევრი დადგება. პირიქით, უმრავლესობა, სამწუხაროდ, დინებას მიჰყვება და ეს ყოველთვის ასეა, მაგრამ ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ამ უმრავლესობიდან რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადმოვიდეს უმცირესობის კონსოლიდირებულ ჯგუფში და ამ პირობებში უნდა შეიქმნას ეროვნული ინტერესის გამომხატველი თეზისები. აი, ამ თეზისებს უნდა დაუჭიროს მხარი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ეს უნდა იყოს საბოლოო სიგნალი იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ყველა პოლიტიკურმა პარტიამაც, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ეროვნული ინტერესების დაცვაზე, მას მხარი დაუჭიროს. ეს არის, ჩემი აზრით, საზოგადოების კონსოლიდაციისთვის საჭირო ზეპარტიული ამოცანა და ეს იქნება ის ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რომლითაც შევძლებთ, თავი დავაღწიოთ განსაცდელს. სხვანაირად იმ გლობალისტური ძალების დამარცხება შეუძლებელი მგონია, რადგან, ბრძოლა, როგორც გითხარით, არის უთანასწორო. ჯერ მხოლოდ საქართველოში მოქმედი „არასამთავრობო ორგანიზაციების“ დაფინანსება რომ ნახოთ, შეიძლება ვერ დაიჯეროთ, რა კოლოსალურ თანხებზეა საუბარი... ეს თანხები რამდენჯერმე აღემატება საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს...

> **«საქართველოში მოქმედი «არასამთავრობო ორგანიზაციების» დაფინანსება რომ ნახოთ, შეიძლება ვერ დაიჯეროთ, რა კოლოსალურ თანხებზეა საუბარი... ეს თანხები რამდენჯერმე აღემატება საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს»**

**— საზოგადოების კონსოლიდაცია ახსენეთ, კონკრეტულად რაში უნდა გამოიხატოს ეს: საპროტესტო გამოსვლებში, დაუმორჩილებლობაში, რევოლუციაში თუ, უბრალოდ, მშვიდობიან პოლიტიკურ ნებაში არჩევნებისას?**

— საზოგადოებას, ხალხს, აქვს კონსტიტუციური უფლებები და ამ უფლებების დასაცავად მრავალი საშუალება არსებობს, თუმცა დღეს, როგორც ჩანს, სხვა გზა არ არის... მარშით გავიარეთ 10 ათასმა კაცმა და „ნეოლიბერალებმა“ წამსვე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე საპასუხო „მარში“ მოეწყოთ. შემდეგ რაც მოხდა და რა ძალდობრივად გრძელდება მათი მხრიდან ეს ყველაფერი, ვხედავთ... ბუნებრივია, ლიბერალების რაოდენობა არ მცირდება ამ ქვეყანაში, პირიქით — იმატებს, მაგრამ ამის არ უნდა შეგვეშინდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: ჩვენი საქმე არის მართალი საქმე და ვემსახურებით სიმართლეს; ჩვენ ვიცავთ შვილებს და, მადლობა უფალს, ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი ღირსეული ადამიანი დგას ზნეობის დაცვის სადარაჯოზე. აი, ეს მაძლევს იმის ურყევ რწმენას, რომ, ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში ეროვნული ძალები გაიმარჯვებენ... აუცილებლად გამოვალთ კიდევ ქუჩაში საპროტესტო აქციებით, მოვაწყობთ მსვლელობებს და ამას წინ ვერაფერი აღუდგება. რა წინააღმდეგობაც უნდა იყოს და რა ფორმითაც უნდა შეგვიშალონ ხელი, იქნება ეს დარბევა-დაკავება თუ სხვა რამ, პროცესს, რომელიც დაწყებულია, ვერ შეაჩერებენ. საქართველოში ნეოლიბერალური ტერორი აუცილებლად დამთავრდება და ამას ვერანაირი გრანტი, ვერანაირი დაფინანსება თუ პოლიტიკური დივიდენდები გარკვეული დასავლური ძალებისგან, ხელს ვერ შეუშლის...

> **«ამ გლობალისტური პროცესების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტიანი და უტყუარი ფორმულა არის საზოგადოების კონსოლიდაცია»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თითქმის ნახევარწლიანი საუბარი იმის შესახებ, რომ თურმე ხელისუფლება გვატყუებს, რომ თურმე ავტორიტარულ და დიქტატურისკენ მიმავალ კონსტიტუციას იღებს და ამიტომ ქუჩაში უნდა გამოვიდეთო, დავიდა მარტივ მოთხოვნამდე — ურეიტინგო პარტიებს ბლოკად გაერთიანების უფლება უნდა მიეცეთ, რათა როგორმე სამი პროცენტი შეაკოწიწონ და პარლამენტში შევიდნენ.**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა“ და „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებს ვეტო დაადო. პრეზიდენტის აზრით, ორივე კანონის სულისკვეთება ასუსტებს ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს, პლურალიზმსა და სახელმწიფოს ფუნქციობაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხს.**

# პოლიტიკური პროსტიტუცია საქართველოში



გიორგი მარგველაშვილის აზრით, მიუღებელია, ასევე, ამ კანონების სასწრაფოდ მიღებაც. პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს ყველა საერთაშორისო პარტნიორი მოუწოდებდა ქვეყნის ხელისუფლებას, საარჩევნო წელს არ მომხდარიყო ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც საარჩევნო გარემოს შეეხებოდა. ამ შემთხვევაში კი ორივე კანონი საარჩევნო გარემოს ეხება და არჩევნებამდე 3 თვით ადრეა მიღებული.

„დარწმუნებული ვარ, რომ მმართველმა პარტიამ კიდევ უფრო აქტიურად უნდა მოუსმინოს განსხვავებულ აზრს და ეს განსხვავებული აზრი აქციოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემადგენელ ნაწილად. რაც შეეხება მეორე კანონს, ქალაქებს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი 2014 წელს „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული რეფორმის ფარგლებში მიენიჭა, რომელიც საწყის ეტაპზე, ამ სტატუსის მინიჭებას 7 ქალაქისთვის ითვალისწინებდა. იგეგმებოდა პროცესის გაღრმავებაც. ეს თავის დროზე შეფასდა უაღრესად დადებითად, როგორც ქართველი საზოგადოების, ისე საერთაშორისო პარტნიორების მიერ და ამის უკან შეტრიალება აბსოლუტურად არამოტივირებული და მიუღებელია. 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის ჩამორთმევა აკნინებს თვითმმართველობის გაღრმავებასა და გაძლიერებას ქვეყანაში. არადა, თვითმმართველობა ის რეალური, ერთადერთი დემოკრატიული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის, ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიან სამსახურს მთავარი შემკვეთის, ამომრჩევლის მიმართ და ამაზე ეფექტიანი მექანიზმი, თუ როგორ უნდა ემსახუროს სახელმწიფო საზოგადოებას, არ არსებობს. ეს პროცესი პირიქით უნდა გაღრმავებულიყო“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა პრესკონფერენციაზე.

პრეზიდენტის შენიშვნები ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკითხებსაც შეეხო.

„კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, ცესკოში მმართველ პარტიას მეტი რაოდენობის წევრი ეყოლება და მეტი შესაძლებლობა ეძლევა, მეორე მხრივ, კი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ცესკოს შემადგენლობაში აღარ იქნება ასახული. ეს აკნინებს თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობას და ასუსტებს საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას. საარჩევნო სტრუქტურებში პოლიტიკური პლურალიზმი უნდა გაძლიერდეს და გაღრმავდეს, რათა ამ სტრუქტურების ეფექტურობის და სამართლიანობის მიმართ ჩვენი საზოგადოების ნდობა კიდევ უფრო ამაღლდეს“, — აღნიშნა მარგველაშვილმა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, ჯანსაღი პოლიტიკური გარემოა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. **პრეზიდენტის ვეტოს შემდეგ სასწრაფოდ შეიკრიბნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და მმართველ გუნდს ახალი წინადადებით მიმართეს. პარტიები თანახმა არიან, საკონსტიტუციო განხილვებში ისევ მიიღონ მონაწილეობა და ერთადერთი მოთხოვნა აქვთ — კონსტიტუციიდან ამოღებული იქნას მუხლი, რომელიც წინასაარჩევნოდ ბლოკებისა და კოალიციების შექმნას კრძალავს, 2020 წლისთვის კი ბარიერი დარჩეს ისე, როგორც ამჟამად წერია, ანუ სამი პროცენტი.**

რა გამოდის? — **პარტიები, რომელთა რეიტინგი, კარგ შემთხვევაში, ერთ პროცენტს არ აღემატება, გაერთიანდებიან და ბლოკს შექმნიან, რაც შესაძლებლობას მისცემს პარტიას, პარლამენტში სამი კაცი, ანუ სამი პარტიის გაერთიანების შემთხვევაში სამი ლიდერი გააძვრინონ და, კარგ ცხოვრებასთან ერთად, პარტიები კვალიფიციურ სუბიექტებად აქციონ, რაც მომდევნო რვა წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან დაფინანსებას გულისხმობს.** ანუ, რეალურად, ის ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, რომ კონსტიტუცია ავტორიტარულია, რომ მოსახლეობა დიქტატურას იღებს, ჩვეულებრივი ფარსი ყოფილა. ოპოზიციური პარტიები თანახმა არიან, ამ ფარსში მიიღონ მონაწილეობა და, რაც მთავარია, ავტორიტარიზმი აღიარონ (როგორც თვითონ უწოდებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს), სანაცვლოდ პარლამენტში მოხვდნენ და მოსახლეობა...

**სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, აგერ უკვე მერამდენე წელია, პროსტიტუციის ლეგალიზებას ითხოვენ. არადა, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, პროსტიტუცია საქართველოში, კარგა ხანია, ლეგალიზებულია, ოღონდ პოლიტიკური. დიახ, პოლიტიკური მეძავეებით არის სავსე ქართული პოლიტიკური სპექტრი, ერთი და იგივე სახეები, სხვადასხვა პარტიის სახელით ცდილობენ, ჩვენს ხარჯზე უზრუნველი ცხოვრება მოიწყონ და პოლიტიკურ ჭაობში (ქართულ რეალობაში ზღვა და ოკეანე ზედმეტი ფუფუნებაა) იტივტივონ.**

## ერთი და იგივე სახეები სხვადასხვა პარტიის სახელით ცდილობენ, ჩვენს ხარჯზე უზრუნველი ცხოვრება მოიწყონ და პოლიტიკურ ჭაობში იტივტივონ

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირის“ ფრთის ქვეშ დაიზარდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებმაც შემდეგ ამ პარტიის დამფუძნებელსა და თავიანთ გამზრდელ **ედუარდ შევარდნაძეს** გინება დაუწყეს. ისინი დღესაც აუგად მოიხსენიებენ პრეზიდენტყოფილს. იქნებ ისიც არ ახსოვს ვინმეს, რომ თუნდაც „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ 2003 წელს სწორედ „მოქალაქეთა კავშირთან“, სოციალისტურ პარტიასთან და კიდევ რამდენიმე უმნიშვნელო პარტიულ წარმონაქმნთან იყო ბლოკში და ცდილობდა პარლამენტში შესვლას. **იქნებ ისიც არ ახსოვს ვინმეს, რომ „თავისუფალი დემოკრატებიც“, კონსერვატორებიც, რესპუბლიკელებიც და კიდევ ბევრი ჩინიანი თუ უჩინო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად იყვნენ ბლოკში და შემდეგ პარლამენტში მოხვდნენ. მერე ეს პარტიები „ქართულ ოცნებასთან“ გაერთიანდნენ კოალიციაში და კვლავ მოხვდნენ პარლამენტში. ახლაც სწორედ ამ ერთადერთი მიზნით — როგორმე პარლამენტში შევიდნენ და ოთხი წელი „იტივტივონ“, ბლოკების დაშვებას ითხოვენ, რადგან ცალ-ცალკე არასდროს ჰქონიათ ამის შანსი და არც არასდროს ექნებათ.** ერთპროცენტიანი პარტიები საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთ კაცთან ასოცირებული მოვლენა, და საკმარისია, ეს ერთი კაცი პოლიტიკური პლატფორმიდან გაქრეს, პარტიაც იშლება და იკარგება. მაგალითებსაც გეტყვით — გაქრა **კობა დავითაშვილი** და დაიშალა მისი „ხალხის პარტიაც“, გარდაცვალებამდე პოლიტიკას ჩამოშორდა **ვახტანგ რჩეულიშვილი** და დაიშალა სოციალისტური პარტია, პოლიტიკიდან წავიდა **დავით გამყრელიძე** და „ახალი მემარჯვენეები“ პრაქტიკულად არავის ახსოვს, წავიდა **ირაკლი ალასანია** და „თავისუფალი დემოკრატების“ ისედაც არარსებული რეიტინგი განულდა. შეგიძლიათ დაასახელოთ ერთი კაცი **კახა კუკავას** პარტიიდან თვით ბატონი კახას გარდა? ან დაასახელეთ ერთი კაცი **პაატა ბურჭულაძის** აწ უკვე ყოფილი პარტიიდან... თქვენ კი არა, ასეთი ადამიანების გახსენება ჩვენც გვიჭირს, ჟურნალისტებს...

სხვათა შორის, რაც პარტიები მიყოლებით დაიშალა, ბიძინა ივანიშვილს შეუძლია თქვას, პოლიტიკური ვენახი გავკრიფეო, მაგრამ ნურას უკაცრავად — ეს ხალხი არსად წასულა, უბრალოდ, ცოტა ხანს ჩრდილში დადგა, რადგან არჩევნებამდე გვარიანი დრო იყო დარჩენილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ „ტივტივისთვის“ თავიანთი ფული უნდა დაეხარჯათ, ეს კი არ ისურვეს და **ახლა, როცა არჩევნები მოახლოვდა, ისევ გამოჩდნენ. ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ ოპოზიციაში, არამედ ხელისუფლებაშიც არიან, უბრალოდ, არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობენ და ცდილობენ, ალღომ არ უმტყუნოთ, ანუ საჭირო დროს საჭირო კარზე დააკაკუნონ, იქ, სადაც ფული ეგულებათ, თორემ ყველაზე კარგად თვით ივანიშვილმა იცის, როგორც კი მკაფიოდ განაცხადებს დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე, მის კართან ატუზული პოლიტიკოსები სხვა კარს დაუწყებენ ძებნას...**

ამით იმის თქმა გვსურს, რომ რეალურად, **საქართველოში პოლიტიკოსების უმრავლესობას ამომრჩეველი არასდროს აინტერესებდა და მათში მხოლოდ ხმას ხედავდა, ხმას, რომელიც მათ ბედნიერ ცხოვრებას უზრუნველყოფდა.**

წელან პოლიტიკური პროსტიტუცია ვახსენეთ და **ნოდარ დუმბაძის** სიტყვებიც გავიხსენოთ — **„შუბლის ძარღვს რომ გაიწყვეტს კაცი, მერე იოლია ცხოვრება და ნუ გაიწყვეტ მაგ შუბლის ძარღვს...“** არადა, რეალურად, გნებავთ, მარცხნივ გაიხედეთ, გნებავთ — მარჯვნივ, ყველგან შუბლის ძარღვგაწყვეტილთა აღლუმია და, ჩვენი ნება რომ იყოს, ამ დაანონსებული თუ განხორციელებული მარშების პროცესში ერთ მარშსაც მოვაწყობდი, „პოლიტიკური მეძავებისა და შუბლზე ძარღვგაწყვეტილების“...

ფაქტია: **თითქმის ნახევარწლიანი საუბარი იმის შესახებ, რომ თურმე ხელისუფლება გვატყუებს, რომ თურმე ავტორიტარულ და დიქტატურისკენ მიმავალ კონსტიტუციას იღებს და ამიტომ ქუჩაში უნდა გამოვიდეთო, დავიდა მარტივ მოთხოვნამდე — ურეიტინგო პარტიებს ბლოკად გაერთიანების უფლება უნდა მიეცეთ, რათა როგორმე სამი პროცენტი შეაკოწიწონ და პარლამენტში შევიდნენ.** არადა, ოპოზიცია ქუჩის აქციებსაც კი აანონსებდა და, ხომ წარმოგიდგენიათ, მართლა რომ მოეხერხებინათ და ხალხი ქუჩაში გამოეყვანათ, ხელისუფლებას კი დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკება წამოეწყო მორიგებაზე, რა მარტივად გაწირავდნენ ქუჩაში გამოსულ ხალხს და როგორ გაინაღდებდნენ პარლამენტში მოხვედრას? ასე იყო მუდამ, ასეა ახლაც და ასე იქნება, სანამ არ შეიცვლება იმ წიაღში გაზრდილი ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც მაშინ გამოჩნდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, როცა გარდამავალი ეტაპი იყო და ღალატი ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. **სანამ ეს ხალხი ბოლო კაცამდე სახლში არ წავა, მანამ ხალხის ინტერესები ბლოკად გაერთიანების იდეას ზვარაკად შეეწირება.**

**«თავისუფალი დემოკრატებიც», კონსერვატორებიც, რესპუბლიკელებიც და კიდევ ბევრი ჩინიანი თუ უჩინო «ნაციონალურ მოძრაობასთან» ერთად იყვნენ ბლოკში და შემდეგ პარლამენტში მოხვდნენ. მერე ეს პარტიები «ქართულ ოცნებასთან» გაერთიანდნენ კოალიციაში და კვლავ მოხვდნენ პარლამენტში. ახლაც სწორედ ამ ერთადერთი მიზნით, როგორმე პარლამენტში შევიდნენ და ოთხი წელი «იტივტივონ», ბლოკების დაშვებას ითხოვენ, რადგან ცალ-ცალკე არასდროს ჰქონიათ ამის შანსი და არც არასდროს ექნებათ**

**ბესო ბარბაქაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბატონმა ჯანსულმა ვერ გააპროტესტა შეურაცხყოფა პატრიარქისა, რომლის უზარმაზარი პორტრეტი, დარწმუნებული ვარ, უკიდია მუზეუმივით მორთულ ბინაში, სადაც, რომ იტყვიან, ცხენი გაჭენდება და, რომელიც სწორედ საბჭოთა „რუსულმანებმა“ უწყალობეს პოეტს იმიტომ, რომ ერთი ლექსიც „არ დაუწერია“ ლენინზე.**

# «ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს»

**„არაფერი პირადული, მხოლოდ ბიზნესი“ — ეს ცნობილი სენტენცია განგსტერ ალ კაპონეს ეკუთვნის და ამ „მორალური ხასიათის გამონათქვამის, ზნეობრივი დარიგების“ (ასე განმარტავს ლათინურ ტერმინ „სენტენციას“ უცხო სიტყვათა ლექსიკონი) სიუჟეტის რამდენი ამერიკული ფილმი გვინახავს, რომლებშიც ძმა — ძმას, მეგობარი — მეგობარს, შვილი — მამას და პირიქით — მამა შვილს კლავს?**

რადგან წინამდებარე წერილით შეიძლება მავანის მორალური მკვლელობა ჩავიდინო, ამ ამერიკულ სენტენციას **გურამ დოჩანაშვილის** დახმარებით გადმოვაქართულებ: არაფერი პირადული, მხოლოდ „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, ხოლო ამ „ერთ რამეში“ სამშობლო რომ იგულისხმება, ამის შეხსენება არ სჭირდება ჩვენი გაზეთის მკითხველს. იქნებ ცოდვილთა შორის უცოდვილესი ვარ, მაგრამ სხვისი დაკვეთით ჯერ სიტყვაც არ დამიწერია, ბევრჯერ შევმცდარვარ, მაგრამ ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატია.

ჩემი ნახევარძმა (მამით ერთნი), გაქანებული ნაცი **ლევან მხეიძე** (სააკაშვილის ზეობის ჟამს კეზერაშვილის მოადგილე და ფინანსური პოლიციის შეფი, კონტროლის პალატის მოადგილე და ბოლოს — დიდუბის გამგებელი), მხოლოდ იმას მეხვეწებოდა, სააკაშვილს თუ არ აქებ, ნუ ლანძღავ მაინც, გადაიდე ფეხი ფეხზე და არხეინად იცხოვრეო, მაგრამ ჩემი ვერ მომაშლევინეს, რის გამოც მამასთან წლების განმავლობაში უბრად ვიყავი. უფრო მეტიც, მანამდე „ვიხტუნავე“, სანამ 2008 წელს „დანაშაული“ არ „გამიჩალიჩეს“ და გლდანის ციხის ჯოჯოხეთს, ღვთის წყალობით, სასწაულით გადავრჩი — საპროცესო გარიგებით პირობითი 4 წელი მაკმარეს... ჩემი „სროკის“ დამთავრება და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა ლამის ერთად მოხდა. ვიფიქრე, არიქა, როგორც იქნა, გვეშველა ქართველებს-მეთქი, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ქართველების ოცნება სულაც არ ყოფილა „ქართული ოცნება“ და კვლავ რადიკალურ ოპოზიციაში ვდურთე თავი.

ხოლო, როდესაც თავდაცვის მინისტრმა და ჩემმა სიძემ (ფანჯიკიძეები ჩემი ალალი დეიდაშვილები არიან) **ირაკლი ალასანიამ**, ცოლისდა **მაია ფანჯიკიძესა** და საკუთარ გუნდთან ერთად, დემარშით დატოვა „ქართული ოცნება“, — არიქა, საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ე.წ. ჩრდილოატლანტიკურ არჩევანს საფრთხე ემუქრება და ქვეყნის საგარეო ვექტორი რუსეთისკენ იხრებაო, ბეჭდურ მედიაში ერთ-ერთმა პირველმა მე „დავარტყი“ „თავისუფალ დემოკრატებს“ (დეიდაშვილსა და სიძეს) გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული სტატიით „სიძევ, შენ გეუბნები და, დაო, შენც გაიგონეო“...

მოკლე ხანში იმავე თემაზე და იმავე პათოსით, ამჯერად სიტყვით გამოვედი ბატონი **რეზო ამაშუკელის** მიერ დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ლაზარეს“ რიგით მეორე შეკრებაზე რუსთაველის თეატრის გადაჭედილ დარბაზში, რითაც, ალბათ, სამუდამოდ დავანგრიე ჩემს სისხლსა და ხორცთან დასაბრუნებელი ხიდი. სიტყვამ მოიტანა და, რუსთაველის თეატრის, მაგრამ ამჯერად არა გადაჭედილ, არამედ ნახევრადშევსებულ დარბაზში „ლაზარეს“ (რომლის გამგეობის წევრიც გახლდით) ბოლო, მესამე შეკრებაზე, რომელიც ბიძინა ივანაშვილისთვის გუნდრუკის საკმევად იყო ჩაფიქრებული, შეიძლება ითქვას, ძალით ავიჭერი სცენაზე, რადგან ბატონი რეზო, იცოდა რა ჩემი განხიბლვის შესახებ ბიძინა ივანაშვილის პერსონის მიმართ, სიტყვის მოცემას არ აპირებდა. ჰოდა, მივიჭერი მიკროფონთან და ვთქვი, რომ საქართველო ივანაშვილის მილიარდებს არ უნდა გადავაყოლოთ, არ მჯერა საყდრისის ამფეთქებელი საქართველოს აღმშენებლობას რომ ეწევა-მეთქი, და გავიხსენე კოჰაბიტაცია, სამართლიანობის არაღდგენა და სხვა მრავალი ცოდვა. დარბაზში მსხდომნი სიტყვას, მოწონებისა და თანხმობის ნიშნად, აპლოდისმენტებითა და შეძახილებით მაწყვეტინებდნენ.

ამ დემარშს, ვიცოდი, არ მაპატიებდა ბატონი რეზო... ასეც მოხდა — „ბოლნისის ლომების“ ავტორთან მეგობრობა იმ საღამოს დასრულდა. ახლა მავანი იკითხავს, რას ემსახურება წერილის ეს ერთობ ვრცელი „პრელუდიაო“?

თავის ქებას? საქებარ საქმედ არ მიმაჩნია ზემოთქმული, რადგან დიდი ტკივილის ფასად დამიჯდა ეს ყველაფერი. იქნებიან, ალბათ, ისეთებიც, რომლებიც გიჟად ჩამთვლიან, — რა გინდა, ვის და რისთვის ებრძვი, წუთისოფლის სტუმრები ვართ, დაჯექი და წყნარად თალე შენი წილი ცხვრის დუმაო. მაგრამ რა ვქნა! „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“ როდესაც საქმე ეხება „ერთი რამის სიყვარულს, დაფარვა რომ სჭირდება“, სამშობლოს მტრების მიმართ ლმობიერების გამომჩენი შვილიც არ მინდა. ეს ვრცელი შესავალიც იმისთვის დამჭირდა, რომ მეთქვა: საკუთარ სისხლსა და ხორცს არ ვინდობ და მით უმეტეს, არ მაქვს მორალური უფლება, სხვა დავინდო.

თუნდაც ეს სხვა იყოს „სახალხო პოეტი“ **ჯანსუღ ჩარკვიანი.**

ფუნაგორიების დიდოსტატმა ამას წინათ **ინგა გრიგოლიას** გადაცემა „რეაქციაში“ „იანგლა“ (იქნებ, „ინაგლა“?): **„ადრე გვებრძოდნენ მუსულმანები, ახლა გვებრძვიან რუსულმანებიო“.** და ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა ჩემი მოთმინების ფიალის ასავსებად, თორემ, აგერ მესამე წელიწადია, ჩემი კალამი ბატონ ჯანსულს ნატრობს.

გახსოვთ, ალბათ, „იმედის“ ეთერში ინგა გრიგოლიასა და **შალვა რამიშვილის** გადაცემა. სტუმრად მიწვეულმა ბატონმა ჯანსულმა შალვა რამიშვილის პროვოკაციულ შეკითხვაზე — ლენინ-სტალინზე ლექსები არ დაგიწერიათო? — ისეთი ტყუილი დაახეთქა წარბშეუხრელად, რომ სირცხვილისგან მის მაგივრად ყურები მე ამეწვა: **„ლენინზე არა, მაგრამ სტალინი ერთი-ორგან მყავს ნახსენებიო“,** — განაცხადა ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა.




**ბატონი ჯანსული ხშირად ყელყელაობს იმით, რომ ერთადერთი იყო, ვინც ხმა არ მისცა მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვას, იმას კი «ვერ იხსენებს», რომ «ლომთა ხვედრიას» ავტორმა, შევარდნაძის სხვა «შემოქმედებით ინტელიგენტებთან» ერთად, ლომის წილი დაიდო ზვიად გამსახურდიას «საქართველოდან გარიცხვაში»**

ახლა გადავხედოთ ჯანსულ ჩარკვიანის ბიოგრაფიას. ვიკიპედიაში ვკითხულობთ:

1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი პირველი ლექსი 1947 წელს გამოქვეყნდა. დააკვირდით თარიღს, მკითხველო, — 1947-1953 წლები, ანუ მწვერვალი დიდ სამამულო ომში გამარჯვებული დიდი სტალინის ზეობისა... ალბათ, ამ ლექსში თუ ახსენა „ერთი-ორჯერ“ ვინმე გორელი **სოსო ჯუღაშვილი** ბატონმა ჯანსულმა.

1962-63 წლებში იყო ჟურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელი მდივანი; 1963-67 წლებში – ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორი; 1967-77 წლებში – ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი; 1977-87 წლებში — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი; ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი; იყო მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი; საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი; 1978 წელს მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია; 1985 წელს 1983-84 წლებში გამოქვეყნებული ლექსების ციკლისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია (საკვირველია, რომ ვიკიპედიაში არაფერი წერია ბატონი ჯანსულის ლენინური კომკავშირის პრემიით დაჯილდოებაზე).

**ეს რაც შეეხება საბჭოთა „რუსულმანების“ პერიოდის მონაგარს. ბატონ ჯანსულს ერთი ლექსი მაინც რომ არ დაეწერა ვლადიმერ ილიჩზე, ზემოჩამოთვლილ ურიცხვ საბჭოთა ჩინ-მედლებსა და ცეკას ნომენკლატურულ თანამდებობებს ვინ მიაშავებდა?!**

ერთ მომენტში ვიფიქრე, თუ საბჭოეთის პერიოდში გენიალური გალაკტიონით, ტიციანით, გოგლათი, ლადოთი, მუხრანით დაწყებული და „ლექსმახერებით“ დამთავრებული, ყველას აქვს პროლეტარიატის ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები, „ლომთა ხვედრიას“ ავტორი, რომლის შემოქმედება ახლოსაც ვერ მივა ჩამოთვლილ კლასიკოსებთან, იქნებ ლომური ვაჟკაცობითა და სიმამაცით აღემატება მათ და მართლაც არ აქვს ლენინზე ლექსი დაწერილი, თორემ ასეთ ტყუილს როგორ გაბედავდა, მით უმეტეს, ინტერნეტის ეპოქაში, სადაც ტყუილს, მოკლე კი არა, საერთოდ არ აქვს ფეხები-მეთქი, და ბატონი ჯანსული ამხანაგ ლენინთან ერთად „დავგუგლე“...

ჰოდა, ბატონი ჯანსულის მიერ ლენინზე დაწერილი ორი ლექსის ზუსტი მისამართი მომცა ინტერნეტმა — საჯარო ბიბლიოთეკა. წავედი და... აი ეს ლექსებიც:

### უსმინეთ ლენინს

**მოდის აპრილი ულამაზეს
ფერთა სიმღერით,
მოდის დიადი, დიდებული
და მოლხენილი.
ჩვენ ვდგავართ ძეგლთან,
დღეთა რწმენით,
დღეთა სიმხნევით, ჩვენ,
ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
მღერიან მთანი და
ჩვენსავით ილხენენ ხენი.
ბუნება სუნთქავს ლამაზი
და ყელმოღერილი.
ჩვენ სიყვარულით
დიდ თვალებში
ვუყურებთ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
ამ გაზაფხულის დაბადებას
დიდება ჩვენი,
გდია სიკვდილი
მოთენთილი და
მოცელილი.
ჩვენ სიცოცხლეში,
სიმღერებში ვუყურებთ
ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
ქვეყანა მიჰყავს
ლაჟვარდებში იმედით,
რწმენით
და მხარში გვიდგას
მზესთან ერთად
გამოჩენილი.
ჩვენ საოცარი
გაკვირვებით ვუყურებთ
ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
ჰქვია ბელადი, კიდევ? —
მამა და კიდევ? — ბრძენი
და გამარჯვება
გრიგალებში
გამოვლენილი...
ჩვენ ამ სიტყვებით
გვასწავლიან
ვლადიმერ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ
არ გვინახავს დიდი ლენინი.
გესმოდეთ ყველას
გაზაფხულის
სიმღერა წრფელი,
ვინა ხართ ქვეყნად
ცრემლიანი და
მოწყენილი...
ლენინი მოჩანს
ყველა მხრიდან,
უსმინეთ ლენინს,
დგას ტრიბუნაზე
და ვრცელ სიტყვას
ამბობს ლენინი.
ჯანსუღ ჩარკვიანი**

*(გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1970, „მსოფლიო პოეტები ლენინს“. კრებული, გვ. 235-236)*

### მოსკოვი, იანვრის 21

**ახლა მოსკოვში ყინავს
და ოცდაათი გრადუსია.
ცა ფეხად ჩამოდის და
უხარიათ ნაძვებს...
გარეთ გამოსულა,
ქვეყანაზე რაც რუსია,
რუსი, ყინვის ამტანი და
ჭირის გამძლე.
წითელ მოედნამდე
რიგია უსაშველო,
კრემლის საათი
თორმეტჯერ რეკავს,
მაღალ მილიციელს
შეჰყინვია ულვაშები,
ხელებს იორთქლავს
და ადგილზე ცეკვავს.
დრო მიდის ნელა და
რიგიც მიდის,
მდუმარედ დგანან
კაცნი და ხენი.
გაციებულ მზეს
ფერი აქვს შინდის
და შინდისფერი მზე
მოედანს შვენის.
დგანან და ელიან
იმ წუთს ბედნიერს,
როცა პირადად
შეხვდებიან
ვლადიმერ ლენინს...
იხდიან ქუდებს,
მავზოლეუმში
ჭმუნვით შედიან
და ჩურჩულებენ:
„ილიჩი ჩვენი“.
გარეთ კი დადის ბრძენი
კაცივით იანვრის სუსხი...
და ხალხი ამბობს:
„ქვეყანაზე თუ ვინმეა,
მხოლოდ შენ ერთი...
„და მოუწოდებს
ხალხებს ბრძენი
და დიდი რუსი:
„პროლეტარებო
ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!“
ჯანსუღ ჩარკვიანი**

*(საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობა, ჟურნალი „ცისკარი“, 1970, №4, გვ.12)*

▶

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც წესი, შვილი განაგრძობს ხოლმე მამის გზას, მაგრამ ჩარკვიანების შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირიქითაა — შვილმა გადაიყვანა მამა ლიბერალურ რელსებზე, რომელზეც საბჭოეთში აღზრდილ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატსა და საქართველოს „სახალხო პოეტს“ არასოდეს უოცნებია, რადგან, როგორც ე.წ. ელიტური შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრი, მუდამ სარგებლობდა საბჭოთა პერიოდში არსებული პრივილეგიებით, შავი „ვოლგა“ იქნებოდა ეს, ბინები თუ სპეცმაღაზიები, სახელმწიფო აგარაკები მთაში თუ ზღვაზე, სპეცსაავადმყოფოები და ა.შ.**



## საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი არალოიალურ «სახალხო პოეტს» ხალხი მეტსახელად ჯანსუკს (ახალგაზრდებისათვის განვმარტავ: სუკი აბრევეატურაა და ასე იშიფრება — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) რატომ შეარქმევდა?

ილიკო ჩიგოგიძე რომ ვიყო, ვიტყოდი:

**„ეტყობა, უგრძვნია კაცს, უგრძვნია“...**

ისეთი განცდით, ექსპრესიით არის დაწერილი ორივე ლექსი, „რუსულმანებმა“ დღეს ილიჩისადმი მიძღვნილი ლექსების კონკურსი რომ ჩაატარონ, ბატონი ჯანსული გრან-პრის ფავორიტი გახდება.

პირველი ლექსი გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულშია („მსოფლიო პოეტები ლენინს“) დაბეჭდილი, სადაც ბატონ ჯანსულს „გვერდს უმშვენებს“ ორმოცამდე ქართველი პოეტის, უკლებლივ ყველა კლასიკოსის, „ლენინიადა“, ხოლო მეორე ლექსი დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში“, რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონ ბრძანდებოდა „სახალხო პოეტი“.

**ეს ყოველივე 2 წლის წინათ უნდა დამებეჭდა, მაგრამ მაშინ ბატონი ჯანსულის ერთი მეგობრის თხოვნით ამომაღებინა რედაქტორმა გაზეთის ნომრიდან, რომელსაც დაკაბადონებაღა აკლდა, — მოხუცდა, ცოდოა, რამე ფარსაგი არ დაემართოსო** და ა.შ.

ახლა კი ვნანობ, რომ მაშინ ეს თხოვნა გავითვალისწინე, რადგან კაცს ფარსაგი შეიძლება ცილისწამებამ დამართოს და არა სიმართლემ. ცილისწამებას კი ვერც იმ და ვერც წინამდებარე წერილში ვერ იპოვით. ისე კი, როგორც „რუსულმანები“ იტყვიან, „Правда людям глаза колит“, მაგრამ რა გაეწყობა, ცოტას „სახალხო პოეტიც“ ინერვიულებს, ალბათ. **ეს სიმართლე თავის დროზე რომ მეთქვა, იქნებ ბატონ ჯანსულს ის პატარ-პატარა შეცდომები აღარ დაეშვა, რომლებმაც ბოლოს მისი ცხოვრების შეცდომების კვინტესენციამდე მიიყვანა — „რუსულმანობამდე“.**

ირაკლი ალასანიას დემარშის შემდეგ ფილარმონიაში „თავისუფალი დემოკრატების“ პომპეზურ ყრილობაზე ბატონი ჯანსული ამ პარტიის მხარდამჭერი ისეთი „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ წარმომადგენელთა გვერდით აღმოჩნდა, როგორებიც არიან: „საიდუმლო სირობის“ ავტორი **ერეკლე დეისაძე**, რომელსაც თავის დედაზე ერექცია აქვს; „გასაბერი ანგელოზის“ ავტორი **ზაზა ბურჭულაძე**, რომელიც საქართველოს პატრიარქის ზოოპარკის ვოლიერში დამწყვდევას ითხოვს; **ლაშა ბუღაძე**, რომელმაც წმინდა მეფე თამარი შეურაცხყო და ა.შ. აი ამ სამარცხვინო ადამიანებთან ერთად აკეთებდა „სახალხო პოეტი“ **ივანიშვილის** რეჟიმის საწინააღმდეგო შეკრებაზე კომენტარებს, მაგრამ დიდი ჭაბუას ორმოცზე ივანიშვილის გვერდით მჯდომმა ბატონმა ჯანსულმა ვერ გააპროტესტა ბიძინას მიერ საქართველოს პატრიარქის შეურაცხყოფა (თუმცა, ობიექტური ვიყოთ, რატომ მხოლოდ ჯანსულ ჩარკვიანისგან ვითხოვთ გულადობას — იმხელა სუფრაზე, პოეტ **ვაჟა ოთარაშვილისა** და დრამატურგ **ლაშა თაბუკაშვილის** გარდა, ვერავინ გაბედა ხმის ამოღება).

**ბატონმა ჯანსულმა ვერ გააპროტესტა შეურაცხყოფა პატრიარქისა, რომლის უზარმაზარი პორტრეტი, დარწმუნებული ვარ, უკიდია მუზეუმივით მორთულ ბინაში, სადაც, რომ იტყვიან, ცხენი გაჭენდება და, რომელიც სწორედ საბჭოთა „რუსულმანებმა“ უწყალობეს პოეტს იმიტომ, რომ ერთი ლექსიც „არ დაუწერია“ ლენინზე.**

ცალკე თემაა ბატონი ჯანსულის მართლაც პირმშვენიერი ასული, **ქალბატონი თამარი**, თაკოდ წოდებული, რომლის ხელოვნურად განაბული თვალებიდან დაყენებულმა „არისტოკრატულმა მზერამ“ ლამის ნახევარ საქართველოს ნევროზი დამართა. როგორც კი ეს ქალბატონი პირს გააღებს და მორალის კითხვას დაიწყებს, მისი ვიზუალური სილამაზე უკვალოდ ქრება. იყო პერიოდი, ლამის ყოველდღე იჯდა სხვადასხვა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში და ნებისმიერ თემაზე ისე „პროფესიონალურად“ ლაპარაკობდა, რომ, ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, იფიქრებდით, ამ ქალბატონს „საყველაფრო“ აქვს დამთავრებულიო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქალბატონ თაკოს ერთი „ფრთიანი ფრაზა“: **„ოო, რა დიდი განსხვავებაა ჩურკინთან მოპაექრე ალასანიასა და პუტინის გვერდით მჯდომ ნინო ბურჯანაძეს შორის“.**

და კიდევ — ყველა ეთერში ქალბატონ თაკოს წარადგენდნენ, როგორც პუბლიცისტს და ახლა ვსვამ კითხვას: **ვინმეს წაკითხული გაქვთ თაკო ჩარკვიანის „პუბლიცისტიკა“?**

საზოგადოდ, **როგორც წესი, შვილი განაგრძობს ხოლმე მამის გზას, მაგრამ ჩარკვიანების შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირიქითაა — შვილმა გადაიყვანა მამა ლიბერალურ რელსებზე, რომელზეც საბჭოეთში აღზრდილ, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატსა და საქართველოს „სახალხო პოეტს“ არასოდეს უოცნებია, რადგან, როგორც ე.წ. ელიტური შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრი, მუდამ სარგებლობდა საბჭოთა პერიოდში არსებული პრივილეგიებით, შავი „ვოლგა“ იქნებოდა ეს, ბინები თუ სპეცმაღაზიები, სახელმწიფო აგარაკები მთაში თუ ზღვაზე, სპეცსაავადმყოფოები და ა.შ.**

ისიც კარგად იცის ბატონმა ჯანსულმა, რომ საქართველოს ხსნა ერთმორწმუნე რუსეთის გარეშე შეუძლებელია და გაუგებარია, რისთვის სჭირდება ხანდაზმულ პოეტს (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს), როდესაც ყველა ნორმალური ადამიანი სულის ცხონებაზე ფიქრობს, ტყუილი, რომ ლენინზე ლექსი არ დაუწერია?! ისე, თუ ტყუილია, ბარემ ისიც ეთქვა, რომ კომპარტიის წევრიც არასოდეს ყოფილა. არადა, პროვოკატორ შალვა რამიშვილის „მიჯირყვნა“ ერთი კონტრკითხვით შეეძლო — იყო კი საბჭოეთში პოეტი ან მწერალი, რომელსაც ლენინ-სტალინზე რამე არ დაუწერია, რა, ამით გალაკტიონის, ტიციანის, მუხრანის ან კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა შემოქმედებას ჩრდილი მიადგა?

ამ შემთხვევაში, ალბათ, არც წინამდებარე წერილი დაიწერებოდა, მაგრამ...

**„ადრე გვებრძოდნენ მუსულმანები, ახლა გვებრძვიან რუსულმანები“** — ამ იდიოტურმა და, რაც მთავარია, უმადურმა ფუნაგორიამ მოთმინების ფიალა ამივსო.

საბჭოეთის მიერ ბოძებულ სიკეთეებზე, რომლებიც ბატონმა ჯანსულმა დედის რძესავით შეირგო, უკვე ვთქვით და ახლა რეზო ამაშუკელის კერძო საუბარში ნათქვამს გამოვამზეურებ, რასაც, იმედია, არ მიწყენს, ერთ დროს ჩემი უფროსი მეგობარი და, ჩემი აზრით, ცოცხალთა შორის ერთადერთი დიდი პოეტი:

„200 წელიწადი რუსეთის ძუძუებს ვწოვდით. ერთიდან „სგუშჩონი მალაკო“ მოდიოდა და მეორედან — „შიკალადი“...

სერიოზულად კი, **რუსეთმა გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებას, შეგვინარჩუნა მართლმადიდებლობა (ახლა არ მითხრათ, ფრესკები შეგვითეთრაო), რაც იმავე ქართველობის შენარჩუნება იყო, დაგვიბრუნა თითქმის სამუდამოდ დაკარგული სამცხე-ჯავახეთი და აჭარა. რუსეთის ცარისტულ იმპერიაში ხალხმა წერა-კითხვა ისწავლა, გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი, შეიქმნა ქართული თეატრი, 60-იანელმა თერგდალეულებმა მიიღეს ევროპული განათლება მოსკოვის, პეტერბურგის, ოდესის უნივერსიტეტებში და ა.შ.**

ალარაფერს ვიტყვი საბჭოთა იმპერიაზე, სადაც ქართველები 70 წელიწადი „უდელნი კნიაზებივით“ ვცხოვრობდით და ამის შემდეგ — „რუსულმანები“? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბატონი ჯასულის მიერ რუსეთის ასე მოხსენიება ელემენტარული უმადურობაა, რადგან სწორედ „რუსულმანებმა“ აქციეს იმად, ვინც დღეს ბრძანდება.

ბატონი ჯანსული მომენტს არ გაუშვებს, არ დაიტრაბახოს, რომ **ჭაბუა ამირეჯიბის** „დათა თუთაშხია“, ზემოდან სანქციის გარეშე, ლამის საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ლენინზე ლექსების იგავი. 1970-იანი წლების დასაწყისში ასეთ თვითნებობას არავის აპატიებდა საბჭოთა ხელისუფლება. და მეორეც — საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებელ და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი არალოიალურ „სახალხო პოეტს“ ხალხი მეტსახელად **ჯანსუკს** (ახალგაზრდებისათვის განვმარტავ: სუკი აბრევეატურაა და ასე იშიფრება — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) რატომ შეარქმევდა?

ბატონი ჯანსული, აგრეთვე, **ხშირად ყელყელაობს იმით, რომ ერთადერთი იყო, ვინც ხმა არ მისცა მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდიას გარიცხვას, იმას კი „ვერ იხსენებს“, რომ „ლომთა ხვედრიას“ ავტორმა, შევარდნაძის სხვა „შემოქმედებით ინტელიგენტებთან“ ერთად, ლომის წილი დაიდო ზვიად გამსახურდიას „საქართველოდან გარიცხვაში“...** მკითხველი შენიშნავდა, რომ ბატონი ჯანსულისადმი მიმართვისას **სახალხო პოეტი** ყველგან ბრჭყალებშია ჩასმული და ეს არა იმიტომ, რომ დიდ პოეტად თუ არა, საერთოდ, პოეტად არ მიიჩნევს საზოგადოება. არა, ბატონებო! ჯანსულ ჩარკვიანი დიდი პოეტი არ არის, მაგრამ რამდენიმე კარგი ლექსი მართლაც დაწერა!

ეს „რამდენიმე“ კი რუსთაველის, გურამიშვილის, ტატოს, ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაკტიონის, ტიციანისა და სხვა ბუმბერაზი პოეტების ქვეყანაში სულაც არ არის პატარა საქმე. უბრალოდ, ეს ტიტული — „სახალხო პოეტი“ დააწესა და ბატონ ჯანსულს მიანიჭა **მაყვალა გონაშვილისა** და **რეზო მიშველაძის** მიერ პრივატიზებულ-უზურპირებულმა მწერალთა კავშირმა, რომელშიც ნამდვილი მწერალი სანთლით საძებარია. **სახალხო პოეტის ტიტულს ვერავის მიანიჭებს მიშველაძის მიერ დარტყმული ბეჭედი. ამ ტიტულს თვით ხალხი ანიჭებს ხელოვანს და თანაც ყოველგვარი ბეჭდის გარეშე!** მათვე უბოძეს (თუ არ ვცდები) ბატონ ჯანსულს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარის ტიტული. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა — აი ერთადერთი ნატვრა, რომელიც ვერ აისრულა ბატონმა ჯანსულმა საბჭოთა „რუსულმანების“ ხელში და, ალბათ, ამიტომაც მოიხენიებს ასე უდიერად საქართველოს გადამრჩენელ რუსეთს.

ამას წინათ ცეკას ყოფილმა მაღალჩინოსანმა მიამბო: როდესაც **ედუარდ შევარდნაძე** „ლეჩკომბინატში“ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე **ნოდარ დუმბაძის** სანახავად მისულა, დამშვიდობებისას ბატონ ნოდარს, იმჟამად მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, შევარდნაძისთვის უთხოვია, გნებავთ, ანდერძად დაუგდია — მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ჯანსულ ჩარკვიანი არ დანიშნოო. ეს ამბავი, თვითონ შევარდნაძემ მიამბოო, ირწმუნება ცეკას ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლის ვინაობასაც მისი თანხმობის გარეშე, ცხადია, არ გავამხელ.

**დავით მხეიძე**

**P.S. „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“...**

**ლამის მთელი კვირაა, ამ წერილს „ვეჭიდავები“ და, აჰა, როგორც იქნა, მოვახრჩე, მაგრამ ეჭვი შემომიჩნდა: თქმა სჯობდა თუ არათქმა? ჩვენთან ხომ ასე იციან, — ის მოხუცია და ვაპატიოთ, სიმართლის თქმით დარჩენილ სოცოცხლეს ნუ გავუმწარებთო, ეს ახალგაზრდაა და მომავალს ნუ გავუფუჭებთო. სჭირდება კი ასეთი სიმართლე, ჩემ გარდა, ვინმეს?**

**მუხრანის სტრიქონები ამეკვიატა:**

**„რა ჩემი ჭკუის საქმეა, ნეტავ,**
**მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს!**
**რომელი მეფე ერეკლე მე ვარ**
**ანდა რომელი მსაჯული მისი!“**

**ახლაც და ყოველთვის ნიკალასავით მეც თითქოს წმინდა გიორგი მადგას თავზე და მიყვირის: დაწერე, დაწერე, დაწერე, დავით! ჰოდა, მეც დავწერ და, შვილის საფლავს ვფიცავ, არავის დავინდობ!**

**არავითარი პირადული, მხოლოდ „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“...**



## საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში უნებართვოდ მცხოვრებ პირთა უკან დაბრუნების მიზნით 10 სახელმწიფოსთან იწყებს მოლაპარაკებას

საქართველოს მთავრობა უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის (უკან დაბრუნების) შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, ნოტების გაცვლის გზით მოლაპარაკებებს გამართავს **ერაყის, ლიბანის, ავღანეთის, კამერუნის, კოტ დ'ივუარის, კონგოს, გამბიის, ტუნისის, სომალისა** და **განის** მთავრობებთან. მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე შესაბამისი განკარგულებები მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



## ტრამპმა გამოცემა «ვაშინგტონ პოსტი» დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოცემა „ვაშინგტონ პოსტს“ დეზინფორმაციის გავრცელებაში დასდო ბრალი. ამის შესახებ ტრამპმა სოციალურ ქსელში დაწერა.**

გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ 19 ივლისს წერდა, რომ დონალდ ტრამპმა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მებრძოლი მეამბოხეებისთვის ფინანსური დახმარება შეაჩერა. გამოცემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ტრამპი მიკრობლოგ „ტვიტერზე“ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ვაშინგტონ პოსტმა“ ფაქტები გააყალბა.

აშშ-ის პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ მის შესახებ „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გავრცელებული „უამრავი ისტორია“ დეზინფორმაციაა. დონალდ ტრამპი ამერიკულ პრესას ხშირად აკრიტიკებს. თებერვლის შუა რიცხვებში მან განაცხადა, რომ გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსი“, აგრეთვე„ სატელევიზიო არხები: ABC, CBS, CNN ხალხის მტრები არიან, რადგან ისინი ყალბ ინფორმაციას ავრცელებენ.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის, რასაც ახლა ხელისუფლება თუ ფედერაცია აკეთებს ფეხბურთის გასავითარებლად, პრაქტიკულად, არაფერი არ არის. საქართველოში ნიჭიერი ბავშვები ყოველთვის იბადებიან, მაგრამ მათ სწორი მიმართულება სჭირდებათ, სწორი ვარჯიში, სწორი კვება, სწორი აღზრდა, კვალიფიციური მწვრთნელი და კარგი სტადიონი. რაც შეეხება ანაზღაურების სისტემას, არ შეიძლება ფეხბურთელს, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშობს, ხელფასად 500 ლარი მიუგდო, იმიტომ, რომ დაუძახებს მერე ამ ფეხბურთელს რუსეთის ქვედალიგელი ან სომხეთის ქვედალიგელი, ან აზერბაიჯანის ქვედალიგელი კლუბი, გადაუხდის თვეში 4-5 ათას დოლარს და ისიც წავა უფრო დაბალ დონეზე სათამაშოდ, მაგრამ ეცოდინება, რომ ოჯახის რჩენას შეძლებს.**

# სანამ ქართველ ფეხბურთელს არ ეცოდინება, რომ თვის განმავლობაში დაღვრილი ოფლი თვის ბოლოს შესაბამისად აუნაზღაურდება, მანამდე არაფერი გვეშველება

# ფეხბურთის განვითარების პროექტი, რომელიც დაიწყო მთავრობამ, ჩანასახშივე განწირული იყო

**ოთხმა ქართულმა საფეხბურთო კლუბმა ევროთასებზე გამოსვლა დაიწყო და დაასრულა. „სამტრედიამ“, ქუთაისის „ტორპედომ“, ბათუმის „დინამომ“ და საჩხერის „ჩიხურამ“, საერთო ჯამში, რვა შეხვედრა ითამაშეს (გასვლა-მიღება). ამ რვა შეხვედრაში 2 გოლი გაიტანეს და 22 გაუშვეს, რაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართულმა კლუბებმა მეტოქის კარში 17-ჯერ დაარტყეს, წუთობრივად თუ დავიანგარიშებთ, გამოვა, რომ მეტოქის კარში თითო ტაიმის, ანუ 45 წუთის განმავლობაში ერთხელ ურტყამდნენ. ეს საერთო სტატისტიკაა, თორემ ოთხივე კლუბმა, სულ ცოტა, თითო ტაიმი ისე ჩაატარა, კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამს; და თუ კარში არ დაარტყამ, ისე გოლი არ გადის და...**

ცოტა უცნაურად განავგრძოთ — ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ „ბარსელონიდან“ ბრაზილიელი **ნეიმარის** ყიდვას აპირებს, ამისთვის 222 მილიონ ევროს იხდის, თვითონ ფეხბურთელს კი ხელფასად კვირაში მილიონს ჰპირდება. ახლა მეტყვით, რაღა ნეიმარსა და „ბარსელონას“ გვადარებ, ცოტა დაბალ დონეს შეგვადარეო და, კი ბატონო: აზერბაიჯანულმა კლუბებმა სეზონისწინა მზადებისას ტრანსფერებში, საერთო ჯამში, 35 მილიონი დოლარი დახარჯეს, ყაზახურმა კლუბებმა — თითქმის ორჯერ მეტი... უფრო დაბალი დონე გნებავთ? კეთილი — ლუქსემბურგულმა „ნიდერკორნმა“ (არის ასეთი გუნდი), ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გლაზგოს „რეინჯერსი“ გამოაგდო. რატომ და როგორ? როგორ და ლუქსემბურგელებს თავმოყვარეობა აღმოაჩნდათ, ლუქსემბურგის მთავარ მწვრთნელს მატჩამდე არ უთქვამს, „რეინჯერსი“ ევროპული გრანდია და ფავორიტები არიანო. გავიდნენ „ნიდერკორნის“ ფეხბურთელები მოედანზე, ის ფეხბურთელები, რომელთა ნახევარიც პროფესიონალი არ არის, პარალელურად ტაქსისტად, ეკონომისტად, მეთევზედ და ბუღალტრად მუშაობს და „რეინჯერსს“ ბრძოლა გაუმართეს, გლაზგოში წაგებული 0:1-ის მერე, შინ 2:0 მოიგეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

ზემოთ ტრანსფერები ვახსენეთ და საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა, თბილისის „დინამომ“, ფოთის „კოლხეთისგან“ სულ რაღაც ერთი კვირის წინათ უკრაინელი ფორვარდი, **მიკოლა კოვტალიუკი**, იყიდა. კოვტალიუკი ფოთელთა მთავარი დამრტყმელი ძალა გახლდათ — მიმდინარე სეზონში ზღვისპირელთა მიერ გატანილი 18 ბურთიდან 10 სწორედ უკრაინელ ფორვარდზე მოდის. როგორ ფიქრობთ, რამდენს გადაიხდიდა „დინამო“ კოვტალიუკში და რამდენად შეელეოდა გუნდის მთავარ თავდამსხმელს „კოლხეთი“?! **3 (სამი) ათასი დოლარი, ბატონებო.** დიახ, ერთ-ერთი მთავარი ტრანსფერი საქართველოში სამი ათასი დოლარი დაჯდა...

ევროთასებზე შერცხვენილი კლუბების ხელმძღვანელებმა ხელი ფედერაციისკენ გაიშვირეს, — მას შემდეგ, რაც ფორმატი შეიცვალა და ახალ სისტემაზე გადავედით, თამაში გვიჭირს და სწორედ ამის ბრალია, ევროთასებზე რომ შევრცხვითო. ამ განცხადებამ კი ფედერაციის პრეზიდენტი და, ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის წევრი **ლევან კობიაშვილი** გააღიზიანა.

„ამ მცირე დროში რაიმე განსაკუთრებული შედეგის მოლოდინი არ მქონია. სულ ვამბობ, რომ განხორციელებული ცვლილებები შედეგს გარკვეული ხნის შემდეგ მოიტანს. ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაა, კლუბებს განვითარებაში შეუწყოს ხელი. ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელი ფორმატზე საუბრობდა და რა ვქენით? კარგი იყო, ხელი ვახლეთ და გავაფუჭეთ? ყველა ცვლილებას თავისი პოზიტივი და არგუმენტი აქვს. კლუბმა 6 თვით ადრე რომ იცის, ევროტურნირებზე ითამაშებს, ეს ხომ ცუდი არ არის? ტრანსფერებზეც მეტი დრო გაქვს ასე.

თუ ქართული კლუბები პირველ ეტაპს გადალახავდნენ, სატრანსფერო ფანჯარა ჩვენთან მერე იხსნებოდა, მაგრამ, როცა შევხედეთ კლუბებს და ვნახეთ, რომ სახარბიელოდ ვერ გამოიყურებოდნენ, დრო გადმოვწიეთ და ტრანსფერებისთვის კიდევ სამი კვირა მივეცით. დრო მივეცით, რომ დაფიქრებულიყვნენ, მიმხვდარიყვნენ, რომ გუნდში მთლად კარგად ვერ არის ყველაფერი და ახალი ფეხბურთელები მოეყვანათ. ვინმემ ეს დრო გამოიყენა? არა!

ადრე ასეთი წესი იყო: კლუბს მხოლოდ სამი ლეგიონერის ყოლის უფლება ჰქონდა. თუ სამზე მეტი ეყოლებოდა, მაშინ ფედერაციას 15 000 ლარს უხდიდა. ჩვენ ეს გავაუქმეთ და კლუბებს ვუთხარით: გყავდეთ შვიდი ლეგიონერი და ნურაფერს გადაგვიხდით, ჩვენ ეს თანხები არ გვჭირდება, კლუბს მოახმარეთ.

ევროტურნირებზე მყოფ ლიტვის კლუბს გუნდში 7-8 ლეგიონერი ჰყავდა. „ლუდოგორეცთან“ გამოვარდნენ, მაგრამ ღირსეულად მაინც ითამაშეს. იმ გუნდში არგენტინელი და ბრაზილიელი ფეხბურთელები არიან. კი, ეროვნული ნაკრების წევრები არ არიან, მაგრამ ადგილობრივ კადრებზე უკეთესები არიან და ეს დონეს წევს. ასეა კვიპროსის, ლუქსემბურგის, მალტის კლუბების შემთხვევაშიც. წლების წინათ გვიხაროდა, მათ კლუბებს რომ დავამარცხებდით და შემდეგ ეტაპზე გავიდოდით. დღეს ვერ დავამარცხებთ, იმიტომ, რომ იქაური კლუბები ტენდენციებს მიჰყვებიან, ჩვენ კი ისევ იქ, უკან ვართ და ერთ ადგილს ვტკეპნით.


ტარიელ ხეჩიკაშვილი და ლევან კობიაშვილი

**თქვენ ისიც იცით, როგორ განვითარდა რეალურად ფეხბურთი იმ ქვეყნებში, რომლებთან თამაშს არც კი ვკადრულობდით თავის დროზე. აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ყაზახეთი, ბელარუსი... პრაქტიკულად მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე წინ წავიდა, გაგვისწრო და ახლა ყველა საბჭოურ კლუბს უხარია, ევროთასებზე წილისყრა ქართულ კლუბს თუ შეახვედრებს, იციან, უეჭველი მოიგებენ და იმიტომ**

პრობლემა კლუბის მენეჯმენტშია, რომელიც არ აზროვნებს, არ ფიქრობს, სად უნდა წავიდეს — ერთ ადგილას დგას. ასეთია რეალობა, ცვლილებაა საჭირო. წრეზე დადიან ერთი და იგივე კოლექტივები, ფეხბურთელები... ფეხბურთში დღეს სხვა მოთხოვნებია და ჩვენი კლუბები ამას არ მიჰყვებიან.

კლუბს X თანხა ჰქონდა. ფეხბურთის განვითარების ფონდმა ამ X-ს კიდევ დაუმატა თანხა, რომ გაძლიერებულიყვნენ, მაგრამ გაძლიერდნენ? არა! მწვრთნელი გამოდის და პრესკონფერენციაზე იძახის, ცუდად ვიმგზავრეთ და ცუდად გაგვიმასპინძლდნენო. და რატომ უნდა გაგიმასპინძლდნენ ცუდად? ფულს იღებთ ამისთვის და მოაგვარეთ საკითხი ისე, რომ კლუბი კარგად ჩავიდეს“, — განაცხადა კობიაშვილმა.

თითქმის ანალოგიური თვალსაზრისი აქვს სპორტის მინისტრ **ტარიელ ხეჩიკაშვილს,** რომელიც აცხადებს, რომ ფედერაციისა და სახელმწიფოსგან მიღებული ფული კლუბებმა აკადემიებში უნდა ჩადონ და ახალგაზრდა თაობა განავითარონ, სხვანაირად არაფერი გამოვა. **კი, მაგრამ, ბატონო ტარიელ, რომელ აკადემიებში? შეგიძლიათ დაასახელოთ უმაღლეს ლიგაში მოთამაშე რამდენ კლუბს აქვს აკადემია?** მართალია, აკადემიის შექმნა მოთხოვნებშიც წერია და ფურცელზეც არსებობს, მაგრამ **თქვენ ხომ ჩვენზე უკეთ იცით, რომ რეალურად გამართული სტრუქტურა აქვს „დინამოს“, თქვენს მფლობელობაში არსებულ „საბურთალოს“ და... კიდევ ვის აქვს გამართული აკადემია, ეგებ შემახსენოთ?!** ჰო, ჩვენც გვიჭირს გახსენება და მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რომ თავს ვიტყუებთ და ფეხბურთის განვითარების **პროექტი, რომელიც დაიწყო მთავრობამ, ჩანასახშივე განწირული იყო.** განწირული იყო იმიტომ, რომ კლუბებისთვის გამოყოფილი თანხების უდიდესი ნაწილი სახელმწიფომ ისევ უკან წაიღო, ხან 200-ლარიანი ბურთები იყიდეს კლუბებმა 700 ლარად, ხანაც დაფინანსების ფორმატი შეცვალეთ და თითო კლუბს ასი ათასი ჩამოეჭრა... ყველაზე მთავარი — აღნიშნული დაფინანსების სქემა სხვას არავის უცდია, სხვას არავის გამოუყენებია და, ფინანსებში ქართული ნოუ-ჰაუ რომ არ ამართლებს ხოლმე, თქვენ ჩვენზე უკეთ იცით.

ისიც იცით, როგორ განვითარდა რეალურად ფეხბურთი იმ ქვეყნებში, რომლებთან თამაშს არც კი ვკადრულობდით თავის დროზე. აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ყაზახეთი, ბელარუსი... პრაქტიკულად მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე წინ წავიდა, გაგვისწრო და ახლა ყველა საბჭოურ კლუბს უხარია, ევროთასებზე წილისყრა ქართულ კლუბს თუ შეახვედრებს, იციან, უეჭველი მოიგებენ და იმიტომ. არც ერთ ქვეყანაში ჯადოსნური ჯოხი არ დაუქნევიათ, არც ერთ ქვეყანაში ერთ დღეში არ მოსულა წარმატება. უბრალოდ, **სახელმწიფომ მიდგომა შეცვალა: იმ ბიზნესმენებს, რომლებმაც ფეხბურთში ფულის დაბანდება გადაწყვიტეს, შეღავათები დაუწესა; იმ საფეხბურთო აკადემიებს, რომლებმაც ინფრასტრუქტურა სერიოზულ დონეზე გამართეს, მიწის გადასახადი მოუხსნა; წყლის გადასახადი, რომლითაც მოედნებს რწყავდნენ, გაუნახევრა; დენის გადასახადი, რომლითაც ღამე მოედნებს ანათებდნენ და ახალგაზრდებს ევროპული დროის მიხედვით თამაშს ასწავლიდნენ, გაუნახევრეს; ბიზნესმენებს, რომლებმაც მილიონები ჩადეს ფეხბურთში, საგადასახადო შეღავათი მისცეს და ასე გახდა აზერბაიჯანული კლუბების ბიუჯეტი ათეულობით მილიონი, ასე იხდიან რუსული კლუბები ფეხბურთელებში 20-30 მილიონს, ასე თამაშობენ ლატვიური კლუბები ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და ასე თამაშობენ ბელარუსული კლუბები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.** უკრაინასა და რუსეთზე დიდ აქცენტს არ ვაკეთებთ, იქ ლიგის ჯგუფური ეტაპი ჩვეულებრივი მოვლენაა და თუნდაც ის, რომ დონეცკის „შახტარის“ არენა ევროპაში რიგით მეორეა კომფორტითა და თანამედროვე მოთხოვნებით, ბევრ რამეზე მეტყველებს.

ვაღიაროთ, რომ ის, რასაც ახლა ხელისუფლება თუ ფედერაცია აკეთებს ფეხბურთის გასავითარებლად, პრაქტიკულად, არაფერი არ არის. საქართველოში ნიჭიერი ბავშვები ყოველთვის იბადებიან, მაგრამ მათ სწორი მიმართულება სჭირდებათ, სწორი ვარჯიში, სწორი კვება, სწორი აღზრდა, კვალიფიციური მწვრთნელი და კარგი სტადიონი. რაც შეეხება ანაზღაურების სისტემას, არ შეიძლება ფეხბურთელს, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშობს, ხელფასად 500 ლარი მიუგდო, იმიტომ, რომ დაუძახებს მერე ამ ფეხბურთელს რუსეთის ქვედალიგელი ან სომხეთის ქვედალიგელი, ან აზერბაიჯანის ქვედალიგელი კლუბი, გადაუხდის თვეში 4-5 ათას დოლარს და ისიც წავა უფრო დაბალ დონეზე სათამაშოდ, მაგრამ ეცოდინება, რომ ოჯახის რჩენას შეძლებს. ვინც ამბობს, რომ ფული მეორეხარისხოვანია, კარგად გაიხსენოს ბადრი პატარკაციშვილისდროინდელი თბილისის „დინამო“. ბიჭებს 5, 6 და 10 ათასიც კი ჰქონდათ ხელფასი და იმჟამინდელმა „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა. ეს ითვლება დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთში ყველაზე დიდ წარმატებად დღემდე და, სანამ ქართველ ფეხბურთელს არ ეცოდინება, რომ თვის განმავლობაში დაღვრილი ოფლი თვის ბოლოს შესაბამისად აუნაზღაურდება, მანამდე არაფერი გვეშველება.

**ბესო ბარბაქაძე**

ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტი მასუდ ბარზანი მიიჩნევს, რომ ყველაზე რთული პრობლემა სადავო ტერიტორიებია, ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას უნდა მოხდეს საბოლოო დემარკაცია, რომელიც მომავალში ახალი ომის დაწყებას გამორიცხავს. ის პირობას დებს, რომ მისი მთავრობა აუცილებლად განაგრძობს ტერორიზმთან ბრძოლას ერაყის ხელისუფლებასთან ერთად, თუმცა ეს უკანასნელი ქურთულ რეფერენდუმს ძალიან ნეგატიურად აფასებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობის ზღურბლზე

**საქართველოდან არცთუ შორს მალე შეიძლება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდეს. 25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანში დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმი გაიმართება. საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს ის ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ რეგიონზე.**



ქურთებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება გასული საუკუნის ოციან წლებში შეეძლოთ. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის მარცხის შემდეგ ხელმოწერილი სევრის ხელშეკრულება მის შექმნას ითვალისწინებდა, თუმცა შემდგომ ვითარება შეიცვალა, ხოლო დამოუკიდებელი ქურთისტანისთვის განკუთვნილი ტერიტორია თურქეთმა, ერაყმა და სირიამ გაიყვეს. ამ დროს ერაყი დიდი ბრიტანეთის, ხოლო სირია საფრანგეთის პროტექტორატს წარმოადგენდა. ამგვარად, ქურთების ხანგრძლივი ბრძოლა ოსმალეთთან უშედეგოდ დასრულდა.

1927 წელს თურქეთის აღმოსავლეთში დაიწყო ქურთების აჯანყება. მათ თვითგამოცხადებული „არარატის რესპუბლიკა“ შექმნეს, თურქებმა მისი განადგურება მხოლოდ 1930-ში მოახერხეს. უშედეგოდ დასრულდა 1946 წელს ირანში ე.წ. მეჰაბადის რესპუბლიკის დაფუძნების მცდელობაც. დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის რეალური შანსი მხოლოდ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ გაჩნდა.

20-იან წლებში ბრიტანელები განიხილავდნენ მოსულის რეგიონში ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას, თუმცა 1922 წელს, კირკუკის მიდამოებში ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენის შემდეგ, ჩათვალეს, რომ ცენტრალიზებული ერაყული სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე სტაბილურობას უფრო კარგად უზრუნველყოფდა, ვიდრე ერთმანეთთან დაპირისპირებული, მეამბოხე ქურთული სამთავრობოების კონფედერაცია. ბრიტანელებმა პირობა დადეს, რომ ერაყის შემადგენლობაში შესვლის სანაცვლოდ ქურთები ფართო უფლებებს მიიღებდნენ, თუმცა რეალურად ისინი დისკრიმინაციას განიცდიდნენ. 30-40-იან წლებში ერაყის ქურთისტანი აჯანყებების სერიამ მოიცვა. მონარქიის დამხობის შემდეგ გაჩნდა პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების შანსი, მაგრამ ყველაფერი ახალი 1961-75 წლების აჯანყებით დასრულდა – მას ათიათასობით ადამიანი ემსხვერპლა.

1970 წელს აჯანყებულთა ლიდერმა მუსტაფა ბარზანიმ და ერაყის ხელისუფლების ერთ-ერთმა თავკაცმა სადამ ჰუსეინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ქურთული ავტონომიის შექმნას ითვალისწინებდა. ამან ჰუსეინს პოპულარობა შეჰმატა და ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებაში დაეხმარა. ერაყის ხელისუფლებამ ავტონომია ცალმხრივი აქტით დააფუძნა და არ გაითვალისწინა ქურთი ლიდერების პრეტენზიები კირკუკის სანავთობო რაიონზე. ამის შემდეგ აჯანყება გაგრძელდა და მისი ჩახშობა მხოლოდ 1975 წელს მოხერხდა, მას შემდეგ, რაც ზოგიერთი სადავო სასაზღვრო ტერიტორიის ირანისთვის გადაცემის სანაცვლოდ შაჰის ხელისუფლება დათანხმდა, აჯანყებული ქურთებისთვის დახმარება შეეწყვიტა და მათ წინააღმდეგ ერაყელებთან ერთად ემოქმედა.

ირან-ერაყის ომის დროს, ერაყელი ქურთები ირანელებს ეხმარებოდნენ, რომლებმაც 1983 და 1987 წლების ოპერაციების დროს ერაყის ქურთისტანის ნაწილი დაიკავეს, თუმცა 1988-ში ერაყელებმა ისინი განდევნეს. ამავე პერიოდში სადამ ჰუსეინმა დაიწყო სადამსჯელო „ოპერაცია ანფალი“, რომლის დროს, უფლებადამცველების შეფასებით, ერაყელმა სამხედროებმა დაახლოებით 182 ათასი ქურთი მოკლეს, 5 ათასი დასახლებული პუნქტიდან 4 ათასი მიწასთან გაასწორეს. ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დეპორტაცია, მის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის, არტილერიისა და ავიაციის გამოყენება. 700 ათასამდე ქურთი საგანგებოდ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს, დაახლოებით მილიონი ერაყიდან გაიქცა.

მას შემდეგ, რაც ერაყი ქუვეითის ომში დამარცხდა, ქურთებმა ახალი აჯანყება წამოიწყეს და რიგი ქალაქები დაიკავეს, მაგრამ სადამ ჰუსეინმა კონტრშეტევაზე გადასვლა მოახერხა. „ახალი ანფალის“ შიშით რეგიონი მილიონზე მეტმა ქურთმა დატოვა. ჰუმანიტარული კატასტროფის გამო, გაერომ 1991 წლის 5 აპრილს ერაყის ქურთისტანი „უსაფრთხოების ზონად“ გამოაცხადა. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ულტიმატუმის შემდეგ, სადამ ჰუსეინი იძულებული გახდა, რეგიონიდან ჯარები გაეყვანა. ამის შედეგად შეიქმნა დე ფაქტო დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფო, რომლის სტატუსი დაზუსტებას მოითხოვდა. შემდგომი 12 წლის განმავლობაში მას ერაყთან თითქმის არაფერი აკავშირებდა.

თავდაპირველად ერაყული ქურთისტანი სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიდა — სადამ ჰუსეინმა მას ბლოკადა გამოუცხადა. 1994-ში ამ სახელმწიფო წარმონაქმში დაიწყო სამოქალაქო ომი ორ ყველაზე გავლენიან ძალას — „დემოკრატიულ პარტიასა“ და „პატრიოტულ კავშირს“ შორის, რომელმაც რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კონფლიქტში აქტიურად ჩაერია თურქეთი და

**საქმე ისაა, რომ მოსახლეობაში მოახლოებული დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაცია უკვალოდ ვერ ჩაივლის — ლიდერები შეიძლება პროცესის მძევლებად იქცნენ და იძულებულნი გახდნენ, დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ახალი რეგიონული ომის დაწყების ალბათობას, რომელშიც, სავარაუდოდ, რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო ჩაერთვება, ისე, როგორც ეს სირიაში მოხდა. იმედია, ამჯერად ბედისწერა ერაყელი ქურთების მიმართ ისეთი ულმობელი აღარ იქნება, როგორიც ბოლო ასი წლის განმავლობაში იყო**



ირანი, ერთ-ერთმა მხარემ დახმარებისთვის სადამ ჰუსეინს მიმართა. 1998-ში ამერიკელებმა ქურთ ლიდერებს გავლენისა და შემოსავლების გაყოფის ახალი სქემა შესთავაზეს და დაზავება აიძულეს. ამავე პერიოდში შედარებით გაუმჯობესდა რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა — გაეროს პროგრამა „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ ერაყული ქურთისტანისთვის ერაყის შემოსვლების 13%-ის გამოყოფას ითვალისწინებდა.

სადამ ჰუსეინის დამხობის დროს ქურთებმა დაიკავეს მოსული და რეგიონის სანავთობო დედაქალაქი კირკუკი. ისინი ცდილობდნენ, განედევნათ არაბები, რომლებიც ჰუსეინმა რეგიონში „არაბიზაციის“ პროცესში ჩაასახლა. ამერიკელები შეეწინააღმდეგნენ 2003-ში დაკავებული ტერიტორიების შეყვანას ქურთული ავტონომიის შემადგენლობაში, თუმცა დე ფაქტო მათ ქურთები აკონტროლებდნენ.

**2003 წლის ბოლოს ქურთული ავტონომიის ხელმძღვანელობასა და ერაყის ახალ ხელისუფლებას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც რეგიონისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა, ამასთანავე, საკუთარი შეიარაღებული რაზმების ყოლისა და ერაყის შემადგენლობიდან გასვლის უფლებას, თუ ცენტრალური ხელისუფლება შეთანხმებას დაარღვევდა. 2005 წელს შესაბამისი მუხლები ერაყის კონსტიტუციაში შევიდა.**

ამ პერიოდში შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე ერაყულ ქურთისტანში 25%-ით დიდი იყო, ვიდრე დანარჩენ ერაყში, ათიათასობით ერაყელი იქ სამუშაოდ ჩადიოდა. ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ საჭიროებებს ხმარდებოდა; ცენტრალური ხელისუფლება ავტონომიისთვის დოტაციებს გამოყოფდა.

მთავარი პრობლემა ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობებში სადავო რაიონებია. ავტონომიის ტერიტორიის გარდა, არსებობს ზონა, რომელსაც მისი შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ, ამასთანავე, გარკვეული რაიონები მის ფარგლებს გარეთ, რომლებზეც ქურთებს პრეტენზია აქვთ. მთავარი პრიზი ამ შემთხვევაში ნავთობია — მისი მარაგი კირკუკის სიახლოვეს 40 მილიარდ ბარელს აღემატება. ერაყის ახალ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სადავო ტეროტორიების მომავალზე 2007 წლის ბოლომდე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, თუმცა ის არ გამართულა, ამიტომ 2009-ში ერაყის ქურთისტანის პარლამენტმა ცალმხრივი დეკლარაცია მიიღო და კირკუკი ქურთისტანის შემადგელობაში შეიყვანა, 2014-ში კი მასზე სრული კონტროლი დაამყარა.

წლევანდელმა გადაწყვეტილებამ რეფერენდუმის ჩატარების შესახებ არა მხოლოდ ერაყის, არამედ თურქეთის, ირანისა და სირიის მთავრობები შეაფოთა. ისინი შიშობენ, რომ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს გამოყოფისკენ და „დიდი ქურთისტანისთვის" ბრძოლისკენ უბიძგებს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს სირიის როჟავას რეგიონისთვის, რომელიც ერაყის ქურთისტანს ესაზღვრება და ქურთების მიერ კონტროლდება.

ომმა „ისლამურ სახელმწიფოსთან“, რომელმაც 2014-ში სწრაფად დაიკავა მოსული და კირკუკს მიაუხლოვდა, ნათლად აჩვენა, რომ ქურთების რაზმები უფრო ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ერაყის სამთავრობო არმია. ამ პერიოდში ქურთები მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, მისი მხარდაჭერა მიიღეს და ახლა ამ გარემოების გამოყენება სურთ.

**ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტი მასუდ ბარზანი მიიჩნევს, რომ ყველაზე რთული პრობლემა სადავო ტერიტორიებია, ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას უნდა მოხდეს საბოლოო დემარკაცია, რომელიც მომავალში ახალი ომის დაწყებას გამორიცხავს. ის პირობას დებს, რომ მისი მთავრობა აუცილებლად განაგრძობს ტერორიზმთან ბრძოლას ერაყის ხელისუფლებასთან ერთად, თუმცა ეს უკანასნელი ქურთულ რეფერენდუმს ძალიან ნეგატიურად აფასებს.**

სიტუაციას ართულებს ის, რომ სხვადასხვა ქურთულ დაჯგუფებებს განსხვავებული პოზიცია აქვთ და საზღვარგარეთ სხვადასხვა მოკავშირეები ჰყავთ — ზოგიერთთან ვაშინგტონი მუშაობს, ზოგს თეირანი ეხმარება, ზოგს კი — ანკარა. შეტაკებები მათ შორის მაშინაც არ შემწყდარა, როდესაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ ქურთებს სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა.

**დღეს რეგიონში არც ერთი ძლიერი მოთამაშე არ არის მზად ერაყული ქურთისტანის დამოუკიდებლობისთვის მხარის დასაჭერად, რადგან პრეცედენტის შექმნამ შეიძლება რეგიონში ქაოსი გააღრმავოს. სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ ვაშინგტონმა საკუთარ თავზე აიღო ერაყის ერთიანობის შენარჩუნების ვალდებულება, მაგრამ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლისა და რეგიონზე კონტროლის განმტკიცების პროცესში მას ქურთების მხარდაჭერაც სჭირდება.** ასე რომ, სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლოდროინდელი განცხადებები ერთობ „გაორებული“ ჩანს: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთიან, სტაბილურ და ფედერაციულ ერაყს. ვაფასებთ და გვესმის ერაყის ქურთისტანის ხალხის კანონიერი მისწრაფებები“.

ექსპერტთა შეფასებით, ქურთი ლიდერების უმრავლესობას ესმის, რომ საერთაშორისო ლეგიტიმაციის გარეშე სახელმწიფოს ვერ შექმნიან და, თუ დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ, შეეცდებიან, რეფერენდუმის თემა ერაყის ხელისუფლებასთან ვაჭრობის პროცესში გამოიყენონ. მაგრამ **საქმე ისაა, რომ მოსახლეობაში მოახლოებული დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაცია უკვალოდ ვერ ჩაივლის — ლიდერები შეიძლება პროცესის მძევლებად იქცნენ და იძულებულნი გახდნენ, დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ახალი რეგიონული ომის დაწყების ალბათობას, რომელშიც, სავარაუდოდ, რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო ჩაერთვება, ისე, როგორც ეს სირიაში მოხდა. იმედია, ამჯერად ბედისწერა ერაყელი ქურთების მიმართ ისეთი ულმობელი აღარ იქნება, როგორიც ბოლო ასი წლის განმავლობაში იყო.**

**ლუკა ნემსაძე**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საინტერესოა, რატომ არავინ ჰკითხა პოროშენკოს, — 2015 წელს, როცა საქართველოდან მიიღეს მოთხოვნა ძებნილი სააკაშვილის ექსტრადიციაზე, რა მიზეზით არ დაკმაყოფილდა ეს მოთხოვნა; პოროშენკო, როგორც სახელმწიფოს პირველი პირი, რატომ არ დაინტერესდა, რა მიზეზით გამოაცხადა საქართველოს ხელისუფლებამ ძებნა სააკაშვილზე; რატომ არავინ დაინტერესდა, ვინ იყვნენ სააკაშვილის გუნდის წევრები, რომლებსაც საქართველოს პროკურატურა დასაჭერად დასდევდა და რომლებსაც რამდენიმე დღეში უბოძეს უკრაინის მოქალაქეობა და მაღალი სახელისუფლო პოსტები.**

# პოროშენკოს ვიზიტი და რუსოფობიური ექსტაზი

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოს ბოლოს 2008 წელს ეწვია. მას შემდეგ 9 წელი გავიდა და უკრაინის პირველი პირი, ამჯერად პეტრე პოროშენკო, კვლავ ჩამოვიდა საქართველოში. შესაბამისად, მოლოდინიც დიდი იყო, რადგან ბევრი ფიქრობდა, რომ ვიზიტი მაქსიმალურად პროდუქტიული იქნებოდა საქართველოსა და უკრაინის 25-წლიან დიპლომატიურ ურთიერთობაში.**



ურთიერთობის ნორმალიზაციის ეტაპზე მყოფი ორი ქვეყნის ხელისუფლებებს შორის დიალოგის ერთ-ერთი საკითხი მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიცია უნდა ყოფილიყო, თუმცა, როგორც ვიზიტის მიმდინარეობისას გაირკვა, მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციაზე საქართველომ ბოლო ოფიციალური მოთხოვნა უკრაინის გენერალურ პროკურატურას 2015 წელს გაუგზავნა, უკრაინელებმა კი ქართველ კოლეგებს დამატებით საბუთების წარდგენა მოსთხოვეს და... ამ ეტაპზე გაიყინა მოლაპარაკებები.

გავიდა 2 წელი. საქართველოს ნომერი პირველი დამნაშავე, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, თავისუფლად დანავარდობს უკრაინაში, ერთი სახელისუფლო სავარძლიდან მეორეში გადადის, უკრაინის პრეზიდენტობაზე ოცნებობს და თან საქართველოს მოსახლეობას „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის აღდგენით ემუქრება; ჩვენ კი მას, ვინც სააკაშვილი შეიფარა, დააპურა და მაღალ სახელისუფლო პოსტზე დაბრუნების ამბიცია გაუჩინა, გულითადი დახვედრა მოვუწყვეთ. საინტერესოა, რატომ არავინ ჰკითხა პოროშენკოს, — 2015 წელს, როცა საქართველოდან მიიღეს მოთხოვნა ძებნილი სააკაშვილის ექსტრადიციაზე, რა მიზეზით არ დაკმაყოფილდა ეს მოთხოვნა; პოროშენკო, როგორც სახელმწიფოს პირველი პირი, რატომ არ დაინტერესდა, რა მიზეზით გამოაცხადა საქართველოს ხელისუფლებამ ძებნა სააკაშვილზე; რატომ არავინ დაინტერესდა, ვინ იყვნენ სააკაშვილის გუნდის წევრები, რომლებსაც საქართველოს პროკურატურა დასაჭერად დასდევდა და რომლებსაც რამდენიმე დღეში უბოძეს უკრაინის მოქალაქეობა და მაღალი სახელისუფლო პოსტები.

უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგო აღმოჩნდა, თუმცა ქართველ ხალხს მადლობა მაინც გვეთქმის იმისთვის, რომ რაღაც დასცდა. არავის უნდა გაუკვირდეს, რომ უკრაინის მთავრობა გრაალის თასივით იცავს სააკაშვილს, და არც ის, რამდენჯერაც გაუგზავნის საქართველო მოთხოვნას უკრაინის გენპროკურატურას სააკაშვილის ექსტრადიციაზე, იმდენჯერ უარს რომ მიიღებს. ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვამ „აღშფოთების“ ფენომენს ჩვენც გვაზიარა. ნათქვამია: „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. ჩვენ კი, ჩანს, ზნეც შევიცვალეთ და ფერიც.

ამ შემთხვევაში აღმაშფოთებელია ის, რომ საქართველოს თურმე ბოლო წლებში არც კი მიუმართავს უკრაინისთვის სააკაშვილის გადმოცემის თხოვნით. როგორც უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ განმარტა, მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციაზე საქართველოს ხელისუფლებისგან მოთხოვნა უკრაინის გენერალურ პროკურატურას 2015 წლის შემდგომ, როცა უარყოფითი პასუხი გასცა, არ მიუღია და, შესაბამისად, ეს საკითხი არც განუხილავთ.

„ჩვენ გვაქვს ეფექტიანი კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან, მაგრამ არ მიგვიღია მოთხოვნა ექსტრადირების შესახებ. შესაბამისად, არ განგვიხილავს ეს საკითხი. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სოციალური პრობლემა საქართველოს სახელმწიფოსთან ურთიერთობებში. ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები. უკრაინელი და ქართველი ხალხი ერთიანია ამ მომენტში. დარწმუნებული ვარ, ვერავინ და ვერაფერი გაყოფს ჩვენს ხალხს“, — განაცხადა პოროშენკომ.

რა გამოდის: საქართველოს მთავრობა ატყუებდა ხალხს, როდესაც ამბობდა, რომ ძალღონეს არ იშურებდა დამნაშავეების დაკავების, ექსტრადიციისა და სასამართლოს წინაშე წარსადგენად?! **რა უფრო დიდი დანაშაულია — ის, რომ უკრაინა ურცხვად განაგრძობს ძებნილი სააკაშვილის მფარველობას, თუ ის, რომ ამდენი ხნის განმავლობაში საქართველოს უნიათო ხელისუფლება ურცხვად ატყუებს ამომრჩეველს?** დიდი ექსპერტობა არ სჭირდება მიზეზის დადგენას, თუ რატომ იკავებს უკრაინა თავს სააკაშვილის ექსტრადიციაზე, და ისიც ცხადზე ცხადია, რომ პოროშენკოს მთავრობა სააკაშვილს არ გადმოსცემს საქართველოს, მაგრამ ამ შემთხვევაში პრიორიტეტული უნდა იყოს დამნაშავე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტიაციის რეჟიმში მყოფი საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

**პოროშენკოს ვიზიტმა, რომელმაც მკვეთრი ანტირუსული განცხადებების ფონზე ჩაიარა, მისმა გამონათქვამებმა, რომლებზეც კვერი დაუკრა საქართველოს ხელისუფლებამ, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, რომელსაც, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, არავის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს**

მას შემდეგ, რაც ხალხმა ხელისუფლებას ჩამოაცილა „ნაციონალური მოძრაობა“, გაჩნდა მოლოდინი, რომ სააკაშვილის მიერ რუსეთთან არეულ-დარეულ ურთიერთობებს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება მოაგვარებდა. ამასთანავე, გაჩნდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლება კანონის სრული სიმკაცრით გაასამართლებდა სააკაშვილის რეჟიმს. ამ და სხვა ადეკვატურ ნაბიჯებს, წესით, უნდა დაებალანსებინა ჩვენი ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური სისტემა, წარმოეშვა ახალი გარემოებები რუსეთთან მოლაპარაკებების გასამართავად და ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, შეექმნა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის, სავიზო რეჟიმის გაუქმების წინაპირობები, რადგან, როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის, უმაღლესი თანამდებობის პირებმა, პრეზიდენტ **პუტინის** ჩათვლით, არაერთხელ გამოთქვეს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა; მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, რომელიც ნაბიჯს ვერ დგამს დასავლელი პატრონების დაუკითხავად, ლუღლუღებდა, — ჩემ დასავლელ პარტნიორებს დავეკითხები და ვნახოთ, დამრთავენ თუ არა რუსეთთან დიალოგის დაწყების ნებასო.

სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა იმუნიტეტს სძენს, რადგან, უკრაინის კანონმდებლობით, აკრძალულია ამ ქვეყნის მოქალაქის ექსტრადიცია, თუ საქმე გამონაკლისს არ ეხება. პოროშენკომ აღნიშნა, რომ საქართველოს გენპროკურატურას არ აქვს სრულად წარდგენილი დოკუმენტები, რომლებითაც შეძლებდნენ ამ გამონაკლისის დაშვებას და სწორედ ამიტომ არის საჭირო საკითხის შესწავლა.

**დასავლეთის მარიონეტად ქცეული პრეზიდენტი, რომელიც თავის ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს, რადგან ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობისა და დაპირისპირების მაპროვოცირებელია მხოლოდ იმის გამო, რომ სააკაშვილი თავის ფრთებქვეშ ჰყავს შეფარებული, ადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს?!**

ამასთანავე, უკრაინის პრეზიდენტმა თავისი განცხადებით რუსეთთან საქართველოს ისედაც სავალალო ურთიერთობა კიდევ უფრო დაამძიმა. უკრაინის პრეზიდენტის ემოციურ მიმართვაში, რომელშიც ის ერთმნიშვნელოვნად მოიხსენიებდა რუსეთს მტრად და მას კვერს უკრავდა საქართველოს მთავრობა, რუსულმა მხარემ ბევრი არასასიამოვნო ინფორმაციის წაკითხვა შეძლო, რაც უკვე აისახა მის ქმედებებშიც. **ის, რომ საქართველომ და უკრაინამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებისკენ სწრაფვა, კიდევ უფრო დრამატულს ხდის საქართველოს ბედს.**

განა ვინ უნდა იყოს ისეთი მიამიტი, რომ დაიჯეროს: **დასავლეთის მარიონეტად ქცეული პრეზიდენტი, რომელიც თავის ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს, რადგან ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობისა და დაპირისპირების მაპროვოცირებელია მხოლოდ იმის გამო, რომ სააკაშვილი თავის ფრთებქვეშ ჰყავს შეფარებული, ადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს?!**

პოროშენკოს ვიზიტმა, რომელმაც მკვეთრი ანტირუსული განცხადებების ფონზე ჩაიარა, მისმა გამონათქვამებმა, რომლებსაც კვერი დაუკრა საქართველოს ხელისუფლებამ, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, რომელსაც, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, არავის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ან ვინ დაგვეხმარება, ვისი იმედი გვაქვს: სოროსელების; ტრამპის, რომელსაც უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს თავის ქვეყანაში; ევროკავშირის, რომელიც მიგრანტების კრიზისშია ჩაფლული და თან დაშლის საფრთხის წინაშეა; თუ უკრაინის, რომელსაც თავისი ტერიტორიული პრობლემები ვერ მოუგვარებია? როგორ შეიძლება მტერსა და მოყვარეს ვერ ვასხვავებდეთ და თავს ვმტრობდეთ? მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანას უცხო ქვეყნის მარიონეტი კარიერისტები და ამორალური პიროვნებები მართავენ, რომლებმაც საქართველოს სისხლი გამოსწოვეს. ის მწარე გამოცდილება, რომელიც სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის პერიოდში მივიღეთ, უნდა ვიკმაროთ. არ უნდა დავუშვათ ჩვენი ფიზიკური განადგურება, მენტალურ გადაგვარებაზე ხომ, დიდი ხანია, ისედაც ზრუნავენ ჩვენი „კეთილისმსურველები“...

**ნათია თათარიშვილი**

## იტალიაში საქართველოს მოქალაქეები ქურდობისთვის დააკავეს



**იტალიის ქალაქ მილანში დააკავეს საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ბინების გაქურდვაში არიან ეჭვმიტანილნი. როგორც იტალიური მედია იუწყება, აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა იტალიელი დინო გავაძენი. ისინი კრიმინალურ საქმიანობას პიემონტის, ლომბარდიისა და ვალე დ'აოსტას პროვინციებში ეწეოდნენ.** მილანის პოლიციამ ჯგუფის წევრები სამთვიანი გამოძიების შედეგად დააპატიმრა. ეს შესაძლებელი მას შემდეგ გახდა, როცა ერთ-ერთი ბინის გაქურდვისას ბოროტმოქმედებს ადგილზე მობილური ტელეფონი დარჩათ.

2017 წელს იტალიაში ბინების გაქურდვის ბრალდებით 61 ადამიანი დააკავეს, მათგან 18 საქართველოს მოქალაქეა.

გადებული გვაქვს
კუდი ყავარზე,
ლომობას ვჩემობთ,
მიწყივ მაჩვები,
სხვა კი
მკითხაობს ჭიქა ყავაზე:
— დავრჩებით ქვეყნად
თუ არ დავრჩებით?
რეზო ამაშუკელი

სააკაშვილი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტია. თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტად სწორედ „ცერეუშნიკებმა“ დასვეს.

პერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილი — უკრაინის პრეზიდენტი, მარია მაქსაკოვა — პირველი ლედი

**თოკშოუს, რომელიც PTP-მა 17 ივლისს გადასცა, ფრიად სენსაციური სათაური ჰქონდა: „სამსახურებრივი რომანი: სააკაშვილი და მაკსაკოვა საპრეზიდენტო ლუქსში“. გადაცემა მიჰყავდა ჟურნალისტ ბორის კორჩევნიკოვს.**

ცქვიტა ყური ტელემაყურებელმა, დაინტერესდა ასობით მილიონი ადამიანი რუსეთში, უკრაინაში, სხვაგან და სხვაგან, მაგრამ არა საქართველოში, რადგან ჩვენი ყოფილი (მადლობა ღმერთს!) პრეზიდენტის ავანტიურისტული პროექტები და სასიყვარულო თავგადასავლების ბინძური თეთრეული ქართველებმა დილით ჩამოვლილი ნაგვის მანქანის ბუნკერში ჩავტენეთ და, როგორც მაშინ მღეროდნენ, „პრაშჩაი, დასვიდანია!“...

ახლა იმ ყროლით ხელს არავინ გაიჭუჭყიანებს.

უკრაინელმა ჟურნალისტმა **ირინა ცვეტკოვამ** გამოჩხრიკა და გამოიძია ეს ინტრიგა, რომელიც მისი ქვეყნის პირველი პირობის სავარაუდო კანდიდატს ეხება, უფრო ზუსტად, შესაძლო პრეზიდენტსა და სავარაუდო პირველ ლედის.

**ტელეეკრანზე — ლირიკული პარალელი: „მარია მაკსაკოვა უმღერის საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, ისე, როგორც ოდესღაც მერილინ მონრო უმღეროდა ამერიკის 35-ე პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის“.**

მაკსაკოვა როიალთან ზის და უკრაინულ „ჟურავუშკას“ დაყენებული ხმით მღერის.

მიშა?..

ასე გაშტერებულს, გაოგნებულს, მოჯადოებულსა და გარე სამყაროსგან ასე გათიშულს, მიხეილ კაზანოვას სოფო ნიჟარაძისთვისაც არ უსმენია.

— მაკსაკოვას პრეტენზია, პირველი ლედი რომ გახდეს, უსაფუძვლო არ არის, — ამბობს **ირინა ცვეტკოვა**, — იმიტომ, რომ **სააკაშვილისა** და **პოროშენკოს** კანდიდატურები ერთნაირ დონეზე განიხილება. სააკაშვილის კანდიდატურა უფრო რეალურია, რადგან დღეს, როცა დასავლეთი უკრაინის მეშვეობით რუსეთზე შეტევის გააქტიურებას აპირებს, სააკაშვილი უფრო ხელსაყრელია: მას შეუძლია შეასრულოს ისეთი ადამიანის როლი, რომელიც პასუხს არ აგებს თავის ქმედებაზე: დაიწყოს ახალი ომი და უამრავი ცუდი საქმე ჩაიდინოს.

— **მაკსაკოვამ ამ ცხენზე დადო ფსონი?**

— ეს ერთგვარი გარიგებაც არის სააკაშვილსა და მაკსაკოვას შორის. მას *(მაკსაკოვას)* უთუოდ მიღებული აქვს გარკვეული მითითებები, რადგან არსებობენ ადამიანები *(ძალები)*, რომლებიც მასაც და სააკაშვილსაც თავიანთ ნებაზე ატარებენ.

*(ალვირი აქვთ ამოდებული და ამ წყვილს იქით მიუგრეხენ კისერს, საითაც საჭიროდ ჩათვლიან. უფსკრულისკენაც კი, თუ ამას მათი (იმ ძალების) ინტერესები მოითხოვს).*

— **კი, მაგრამ სააკაშვილს ხომ ჰყავს ცოლი — სანდრა რულოვსი...**

— რულოვსი ნომინალური ცოლია. იმ სცენარის პერსონაჟი, რომელიც საქართველოსთვის თავის დროზე დაიწერა, — ერთვება საუბარში საზოგადო მოღვაწე **რომან ხუდიაკოვი,** — ცოლი ჰოლანდიაში ცხოვრობს, ქმარი უკრაინაშია. აწყობილი აქვთ საქმე.

— ჩვენი განსახილველი არ არის მათი პირადი ურთიერთობა, — რეპლიკას ურთავს უკრაინელი პოლიტოლოგი **ვიაჩესლავ კოვტუნი,** რომელიც რუსეთის ტელესივრცის მარადიული სტუმარია და ყველა გადაცემაში ჰიპერაქტიურობით გამოირჩევა, მაგრამ ამ პროგრამაში უჩვეულოდ მინავლებული ჩანდა.

— სააკაშვილი ყველასთან იყო, ზოგიერთის ქვეშაც იწვა, მაგრამ რულოვსს არასოდეს არავინ თმებით არ უთრევია, საკუთარი ქმარიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზი მრავალი ჰქონდა.

— ვინმემ რომ გამოიკვლიოს, როგორ იქცეოდა სააკაშვილი ოდესაში გუბერნატორობის დროს, ბევრ საინტერესო ფაქტს აღმოაჩენს, — ადასტურებს ჟურნალისტი **ალექსანდრ ჩალენკო,** უკრაინის მკვიდრი.

— რა აღმოჩენა უნდა: სამი თვის წინათ ოდესაში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ სააკაშვილისა და მავანი სტუდენტის ინტიმურ კავშირზე. ესეც ერთი დადასტურებაა, რომ იგი იწვა ყველასთან და ყველას ქვეშ, — თავისაზე დგას **რომან ხუდიაკოვი.**

— **სამაგიეროდ პეტრე პოროშენკოს ოჯახის კაცად იცნობენ.**

— იმასაც ბევრი ჩონჩხი აქვს ჩემოდნებში *(პოპულარული ანეკდოტის ფიგურალური სახე — ჩემოდნებში დამალული და იქ დავიწყებული საყვარლების შესახებ).* ბევრი ლაპარაკობს, მაგალითად, უკრაინის ყოფილ კულტურის მინისტრთან მის სასიყვარულო კავშირზე, — გაისმა ხმა დარბაზიდან.

— ახლა უკრაინას სთავაზობენ სააკაშვილ-მაკსაკოვას ერთობლივ პროექტს. მოტმასნილი ვარიაგებისა, რომლებსაც სინამდვილეში ჩვენს უკრაინელ ხალხთან არავითარი კავშირი არ აქვთ. ისინი უცხო სხეულები არიან და ვერასოდეს შეგვეთვისებიან პოლიტიკური თვალსაზრისით.

სააკაშვილი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტია. თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტად სწორედ „ცერეუშნიკებმა“ დასვეს.

— როგორც პოროშენკო გახდა უკრაინის პრეზიდენტი, ასევე გახდება სააკაშვილი უკრაინის პირველი პირი, — დარწმუნებულია **რომან ხუდიაკოვი**, — თანაც იგი (მიშა) უკვე უკრაინის მოქალაქეა.

— როგორც გახდა მოქალაქე, ისევე აღარ იქნება *(ქვეტექსტი — გავაგდებთო).*



# აშშ-ის ახალი პროექტი?

აუდიტორია კამათობს:

— სააკაშვილი *(პროტექტორებმა)* იმიტომ წამოსწიეს, რომ მან საზოგადოებას წარუდგინოს მაკომპრომენტირებელი მასალები უკრაინის ახლანდელ ხელისუფლებაზე.

— პოროშენკო მსგავს რამეს არ დაუშვებს.

— პოროშენკოს ვინ რას ეკითხება!

**იური კოტი**, უკრაინელი ჟურნალისტი, თემას ცვლის და მარია მაკსაკოვას ამორალობაში ბრალს სდებს:

— მე ვურთიერთობდი ადამიანებთან, რომლებიც კარგად იცნობდნენ მარია მაკსაკოვას. ზოგიერთი მისი კოლეგა ამბობდა, რომ იგი ძვირადღირებული პროსტიტუციით იყო დაკავებული. ტაქსად 3 მილიონ რუბლი ჰქონდა დაწესებული. ეს სინამდვილეა და არა „ფეიკების“ დონეზე გავრცელებული ჭორი. გულახდილად ვიტყვი, ამის დაჯერება მიჭირს, მაგრამ გული მწყდება, რომ იგი ჩართულია უკრაინულ პოლიტიკაში. საეჭვოა, რომ მას, როგორც მომღერალს, ჰქონდეს რაიმე შანსი, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსს, რომელსაც ღალატის ჩადენის, თავებსა და ცხედრებზე გადალაჯების დიდი გამოცდილება აქვს, დიდი მომავალი ელოდება.

**აუდიტორია უბრუნდება თემას: სააკაშვილის ახალი მშვენიერი ელენე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უკრაინაში გაქცეული და იქ მოკლული დეპუტატის დენის ვორონენკოვის ქვრივი, საოპერო მომღერალი მარია მაკსაკოვა-იგენბერგსი ტრაგედიის მსხვერპლი მგლოვიარე ქალია, თუ მავანი ქვეყნის პროექტი, როგორიც თავად მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ ბუშის (უმცროსის) პროექტი იყო?**

— თქვენ რაც გსურთ, ის დაარქვით, მე კი გეტყვით, რომ გავა ოთხი თვე და ეს ქალბატონი სააკაშვილს ცოლად გაჰყვება! — წამოიძახებს დამსწრეთაგან ერთ-ერთი და იმ სტუდიაში მწუხარების წუთით ჩამოწოლილ სიფრიფანა ვუალს გაფხრეწს აუდიტორიის ერთსულოვანი ხარხარი: არც შავკაბიან ქვრივს ემწუხარებოდა, არც დამსწრე აუდიტორიას ადარდებდა მაინცდამაინც თანაგრძნობის ეტიკეტის დაცვის საკითხი. ხოლო ექსცენტრიკულ **ოთარ ყუშანაშვილს**, ქუთაისელ ჟურნალისტს, ერთ დროს „კალმის ზვიგენად“ წოდებულ პროფესიონალს, ეკრანზე ხელების ქნევის დროს წამიერად თუ გამოაჩენდნენ, მიკროფონი მისცეს და, როგორც იქნა, აღმოხდა სათქმელი: გეთაყვა, ერთხელ კიდევ დამანახეთ, როგორ დნებაო მაქსაკოვას შემყურე მიშა.

რაღაც ამგვარი.

ის დროა, გავიხსენო, მარიას გვარი როგორ გაშიფრა ერთმა ენამწარე თბილისელმა: მაკ'სააკოვა არისო. მაკ' კეინს მიამსგავსად.

— მე არ ვიცი, რას დაჰპირდა სააკაშვილი მაკსაკოვას, — თქვა თოკშოუს მონაწილე მწერალმა **ტატიანა კირილიუკმა**, რომელიც წარმოშობით უკრაინელია, — მაგრამ იგი *(ქვრივი)* თავის არჩევანში შეცდა. მე ვიცნობ უკრაინელ ხალხს, თვითონაც შერეული ოჯახის შვილი ვარ, და ვიცი, რომ ჩვენი ხალხი მიმნდობია, იოლად იჯერებს პოლიტიკოსების დაპირებებს, მაგრამ არც ისეთი სულელია, რომ ენდოს მიხეილ სააკაშვილს, ამიტომ პირველი ლედის ადგილი ამ ქალბატონს *(„დამოჩკას“, როგორც მან თქვა)* არ ეღირსება, რადგან იგი *(სააკაშვილი)* მასაც მოატყუებს და ცარიელზე დასვამს.

— **ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სწორედ მარია მაკსაკოვასთან ტანდემში დაიწყო მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანია უკრაინაში.**

— არ მჯერა, რომ სააკაშვილი ოდესმე გახდება უკრაინის პრეზიდენტი, ისევე, როგორც რაბინოვიჩი, — მიაჩნია რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ეროვნებათაშორისი საბჭოს წევრ **ბოგდან ბეზპალკოს,** — მინდა, გითხრათ, რომ აშშ-ში არსებობს დაკანონებული კორუფცია — ლობისტობა. სულ ახლახან ბატონი პოროშენკო შეხვდა პრეზიდენტ ტრამპს ლობისტების დახმარებით, რომლებსაც დიდი ფული გადაუხადეს. ტრამპთან შეხვედრა, მგონი, 700 ათასი დოლარი ღირს. როგორი ქვეყანაცაა, ისეთი ფასებია დაწესებული და ისეთი ლობისტები ჰყავს...

**აქ შევჩერდეთ, რადგან იმ თოკშოუს მდინარება, რომლის შემოკლებული საგაზეთო ვარიანტი შემოგთავაზეთ, უკრაინის საშინაო პოლიტიკის კალაპოტით გაგრძელდა, სადაც არაფერი გვესაქმება.**

**ეგებ, უმჯობესი იყოს, გავარკვიოთ (შევეცადოთ მაინც), რა წერას აუტანია სააკაშვილი. აჰასფერივით — „მოხეტიალე ურიასავით“ — დაწყევლილი ხომ არ არის პრეზიდენტყოფილი?**

ლეგენდის მიხედვით, ვიწრო ქუჩით — Via Dolorosa-თი გოლგოთაზე მიმავალი იესო ქრისტე, უმძიმესი ჯვრის თრევით ძალაგამოლეული, ერთ ებრაელს მხარში შედგომას სთხოვს.

— „გაიარე, გაიარე! არა მცალია! — მიუგებს ებრაელი.

მაშინ ქრისტე ეტყვის:

— იარე შენც, იარე იმ ჟამამდე, სანამ მე დავბრუნდები“.

მეორედ მოსვლამდეო.

იმ დროიდან მოყოლებული აჰასფერი დადის დედამიწაზე, ვერც ჩერდება, ვერც კვდება, მარადიული სიცოცხლისთვის განწირული.

არ ამოასუნთქა სააკაშვილმა საქართველო მაშინ, როცა ქვეყანას დამოუკიდებლობის მძიმე ჯვარი თავის გოლგოთაზე აჰქონდა. პირიქით — დაამძიმა უსამართლობით, ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვით, პიროვნების არნახული შეურაცხყოფით, მართლმადიდებლობის ყოველმხრივი დამცირების მცდელობით, გაუნათლებლობით, უზნეობით, ელიტური კორუფციით, „სიცრუითა და ორპირობით“ და ა.შ. და ა.შ.

და დაძრწის ახლა ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, ავანტიურიდან ავანტიურაში, შოუდან შოუში, თემიდან თემაში, პრობლემიდან პრობლემაში, თანამდებობიდან თანამდებობაზე, ქალიდან ქალზე და არაფრიდან არაფერში...

და არ აქვს დასასრული ამ ხეტიალს.

თუმცა, როგორც ყველა მსგავს ლეგენდაში (ასეთი კი უამრავია: ამირანზე (პრომეთეზე), კაენზე, სიზიფეზე, ტანგეიზერზე, მფრინავ ჰოლანდიელზე), ამაშიც არის მარადიული მდინარების საწყისთან დაბრუნების მცდელობის მომენტი.

აჰასფერი, ყარიბი ებრაელი, მარადი ურია, მოგზაური ურია, უთვისტომო, მიუსაფარი მოხუცი ყოველ 50 წელიწადში ერთხელ უახლოვდება იერუსალიმს, ცოდვის მიტევება რომ სთხოვოს ქრისტეს საფლავს, მაგრამ ყოველთვის ამოვარდება საშინელი ქარიშხალი და ჩაეშლება განზრახული მარადიულ ცოდვილს.

მონდომებული მკითხველი, თუ არ დაიზარებს, გამონაკლისსაც აღმოაჩენს. გადაშლის ილფისა და პეტროვის „ოქროს ხბოს“ — სოციალურ სატირას, რომან-ფელეტონს და ყურადღებით წაიკითხავს თურქეთის ქვეშევრდომის შვილის ოსტაპ ბენდერის მონათხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დამთავრდა აჰასფერის ხეტიალი, როცა მას, დნეპრის სანახების ხილვით გართულს, პეტლურელები დააპატიმრებენ *(პეტლიურა უკრაინელების ნაციონალისტური დაჯგუფება იყო).*

„— ურია ხარ?

— ურია ვარ, — უპასუხა მოხუცმა.

— აბა წავიდეთ, — მიიპატიჟა ლამპასებიანმა კაცმა. და წაიყვანა იგი კურენის ატამანთან *(კურენი — ზაპოროჟიელ კაზაკთა ჯარის ნაწილი).*

— ურია დავიჭირეთ, — მოახსენა მან და წიხლის კვრით წინ გაიგდო მოხუცი.

— ურია ხარ? — ჰკითხა ატამანმა ხალისიანი გაკვირვებით.

— ურია ვარ, — უპასუხა ყარიბმა.

— კედელთან მიაყენე, — ალერსიანად თქვა ატამანმა.

— მე ხომ უკვდავი ვარ! — შეჰყვირა მოხუცმა.

ორ ათას წელიწადს მოთმინებით ელოდა სიკვდილს, ახლა კი უცებ ძალიან მოუნდა სიცოცხლე.

— ხმა გაიკმინდე, ურიავ! — სიხარულით შესძახა ატამანმა, — აკუწეთ, ყოჩაღებო!

და მარადიული ყარიბი მოკვდა.

— სულ ეს იყო, — დაასრულა ოსტაპმა“.

იყო ის, რაც მოხდა.

**მაგრამ რა მოხდება, მოხეტიალე მიხეილი უკრაინელ ნაციონალისტებს რომ გადაეყაროს, დნეპრის სანახებში განმარტოებით გასული?**

**გამორიცხული არ არის, ავტომატურად მოიხსნას საკითხი, თბილისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს კონფუზის მიზეზი რომ გახდა: განხორციელდება თუ არა მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადიცია, რომელზეც ჩვენმა პროკურატურამ ორჯერ უარყოფითი პასუხი მიიღო უკრაინელი კოლეგებისგან.**

**რას იტყვით, ამხანაგო ოსტაპ მარია ბენდერ ბეი?**

**არმაზ სანებლიძე**

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინის ისტორიული განცხადება პოტსდამის კონფერენციაზე: „იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო, და ართვინ-ართაანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა... ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და ართაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს“.**

# როგორ აპირებდა სტალინი თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას და როგორ უშლიდნენ ხელს საქართველოს «სტრატეგიული მოკავშირეები»

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 27-ე ნომერში გამოქვეყნდა ბაკურ სვანიძის მასალა სათაურით „ქართველთყლაპია“ სტალინი და „ისტორიული მეგობარი თურქეთი“, რომელშიც ავტორი წერდა საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისთვის წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, კერძოდ, თურქეთის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებაზე. მასალას ერთვოდა მიტაცებული ტერიტორიების რუკა, რომელზეც დასავლური პროპაგანდით მართლაც ტვინგამორეცხილები ამბობენ, რომ სტალინის შედგენილია და აინუნშიც არ არის ჩასაგდები. ამიტომ დღეს, წინამდებარე მასალასთან ერთად, გთავაზობთ დასავლეთში ინგლისურ ენაზე შედგენილ რუკას, რომელზეც მკაფიოდაა მონიშნული საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ 1945-1953 წლებში, ანუ სტალინის სიცოცხლეში.**



**საბჭოთა კავშირმა, სტალინის ხელმძღვანელობით, თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები დიდი სამამულო ომის ბოლო თვეებში წაუყენა. სსრკ ითხოვდა 1878 წელს რუსეთის იმპერიაში შემავალი ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც, საბჭოეთის ხელმძღვანელების აზრით, 1921 წელს უსამართლოდ გადაეცა თურქეთს. ეს ტერიტორიები საქართველოსა და სომხეთს შორის უნდა განაწილებულიყო**

1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ქვეყანაში მძლავრად ამუშავდა დასავლური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ საბჭოთა საქართველოში თითქოს ყველაფერი ცუდი იყო, ქვეყანას არანაირი წარმატება არ ჰქონია არც ერთ სფეროში — არც მრეწველობაში, არც სოფლის მეურნეობაში, არც ხელოვნებასა და კულტურაში, არც სპორტში; საბჭოთა პერიოდში მცხოვრები ადამიანები კი ბნელები და გაუნათლებლები იყვნენ. ამიტომ დღეს საჭიროა, უარი ვთქვათ ყველაფერზე, რაც დრომოჭმულია, მათ შორის, ეროვნულ ტრადიციებზე, მართლმადიდებლობაზე და ვეზიაროთ დასავლურ ე.წ. ფასეულობებს — დავიცვათ ჰომოსექსუალების უფლებები, პატივისცემითა და მოწიწებით მოვეპყრათ უცხოელებს და კრინტი არ დავძრათ, თუ თავს, წინაპრების სისხლით მორწყული მიწა-წყლის კანონიერ მფლობელებად კი არა, უცხოელთა მიერ დაჩაგრულ მომსახურე პერსონალად მივიჩნევთ. სწორედ ამ „ფასეულობების“ დამკვიდრებით ცდილობს დასავლეთი თავისი მთავარი მიზნის მიღწევას საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. ამ „ფასეულობების“ დასამკვიდრებლად კი დასავლეთის უმთავრესი იარაღი პროპაგანდისტული მანქანაა, რომლის ძირითადი შემადგენლებია მედიასაშუალებები და დასავლეთის მიერვე გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

ბოლო პერიოდში დასავლეთის პროპაგანდისტულმა მანქანამ ნიღაბი ჩამოიხსნა და „ღია რეჟიმში“, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ურეცხავს ტვინს ახალგაზრდა თაობას — შთააგონებს მათ, რომ ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში უდიდესი წვლილი შეიტანა არა საბჭოთა კავშირმა, არამედ აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა (უფრო მეტიც — დღეს აშშ-ის მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მეორე მსოფლიო ომში ამერიკამ დამოუკიდებლად მოიპოვა გამარჯვება, ხოლო იაპონელების ნაწილს ჰგონია, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები საბჭოთა კავშირმა ჩამოყარა). **დასავლური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც დუმს დასავლეთის მიერ ჩადენილ საშინელებებზე — ინდიელების, ვიეტნამელების, ერაყელების, ავღანელების, სირიელების გენოციდზე, ერთ დროს აყვავებული ლიბიის დანგრევაზე, სერბეთის განადგურებაზე, შავკანიანთა რასობრივ დისკრიმინაციასა და სეგრეგაციაზე, იმპერიალისტურ ომებზე, ფაშისტებისთვის ხელშეწყობაზე და ა.შ., გაჰყვირის, რომ საბჭოთა კავშირი საშინელი დიქტატორული სახელმწიფო იყო, მისი ხელმძღვანელი სტალინი კი — პირსისხლიანი ჯალათი, რომელიც, ხალხის დახვრეტის გარდა, არაფერს აკეთებდა და სწორედ სტალინს მიუძღვის უდიდესი წვლილი, საქართველომ ტერიტორიები რომ დაკარგაო** და ა.შ. ამ თვალსაზრისის გავრცელებაში მას მხარს უჭერენ ადგილობრივი ე.წ. ექსპერტები, ანალიტიკოსები, მედიასაშუალებები და, არასამთავრობო ორგანიზაციები. დასავლურმა პროპაგანდამ ისე გამოურეცხა ტვინი ქართველებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებიან ისტორიული ფაქტების დამახინჯებას და, დასავლელი პატრონებისადმი მონობის სინდრომით შეპყრობილნი, მოსახლეობას, ძირითადად, ახალგაზრდა თაობას, შთააგონებენ, რომ თურქეთი და ირანი საქართველოს ისტორიული მეგობრები არიან, აშშ და ბრიტანეთი — სტრატეგიული მოკავშირეები და მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთია ჩვენი და სრულიად კაცობრიობის მტერი.

ამ საკითხზე აღმაშფოთებელია პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადებები, რომ თურქეთი და ირანი, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დაუძინებელი მტრები, თურმე „ისტორიული მეგობრები“ არიან.

არადა, თურქეთს მიტაცებული აქვს ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, ართაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაო-კლარჯეთი), სულ 12 ათას კვ.კმ-ზე მეტი ფართობი. ამ ტერიტორიებზე არსებული უმრავლესობა ტაძრებისა მეჩეთებად გადააკეთეს. საუკუნეების განმავლობაში ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ საქართველოს, იტაცებდნენ და სტამბოლის ბაზარზე მონებად ჰყიდნენ ქართველებს, ძირითადად, მოზარდებს. თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილია რუკები, რომლებზეც აჭარა თურქეთის ნაწილად არის გამოსახული, ასეა თურქულ ენციკლოპედიაშიც. და ამის შემდეგ როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა და თქვა, რომ თურქეთი საქართველოს მეგობარია?

მაგრამ, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მოიქცნენ, როცა ასე სურს დასავლეთს?

**სინამდვილეში სწორედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს აჭარის ნაწილი ბათუმითურთ 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით (ყარსის შეთანხმებას უსწრებდა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმება „მეგობრობასა და ძმობის“ შესახებ). ეს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მძიმე წლებში. საბჭოთა რესპუბლიკები — სომხეთი და საქართველო — ომი რომ აეცილებინათ თავიდან, იძულებულნი იყვნენ, დაეთმოთ თავიანთი ტერიტორიების ნაწილი თურქებისთვის. შედეგად, საბჭოთა ამიერკავკასიას ჩამოშორდა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი — ართვინის, ართაანისა და ყარს-ყაგიზმანის ოლქები, აგრეთვე, ყოფილი ერევნის გუბერნიის სურმალინის მაზრა.**

და სწორედ სტალინი ცდილობდა ამ შეთანხმების გაუქმებასა და თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების საბჭოთა კავშირისთვის (საქართველოსათვის) დაბრუნებას...

რუსი პოეტისა და პუბლიცისტის, **ფელიქს ჩუევის**, წიგნში „ასორმოცი საუბარი მოლოტოვთან“ მოყვანილია **აკაკი მგელაძის** (სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი) ნაამბობი საბჭოთა კავშირის რუკაზე, რომელსაც სსრკ-ის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი კომისარი (მინისტრი) **ვიაჩესლავ მოლოტოვიც** ადასტურებდა.

„ომის შემდგომ **სტალინს** აგარაკზე მიუტანეს რუკა სსრკ-ის ახალი საზღვრებით. სტალინმა რუკას დახედა და განაცხადა: „ვნახოთ, რა გამოგვივიდა... ჩრდილოეთში ყველაფერი რიგზეა, ნორმალურადაა. ფინეთმა ჩვენთან ძალიან დააშავა და ჩვენ საზღვრები გადავწიეთ ლენინგრადიდან. ბალტიისპირეთი — ეს რუსეთის ძირძველი მიწა — კვლავ ჩვენია. ბელორუსები ყველანი ერთად ცხოვრობენ, უკრაინელებიც — ერთად, მოლდოველებიც — ერთად; დასავლეთში ყველაფერი ნორმალურადაა. და გადავიდა აღმოსავლეთის საზღვრებზე. აქ როგორ გვაქვს საქმე?.. კურილის კუნძულები ახლა ჩვენია, სახალინი — მთლიანად ჩვენი, პორტ-არტურიც ჩვენია, დალნიც (პორტ-არტური და დალნი მოგვიანებით ჩინეთს გადასცა ნიკიტა ხრუშჩოვმა — ნ.კ.). სტალინმა ჩიბუხი ჩინეთს გააყოლა, — აღმოსავლეთი ჩინეთის სარკინიგზო მაგისტრალიც ჩვენია — ჩინეთი, მონღოლეთი — ყველაფერი რიგზეა... აი აქ კი ჩვენი საზღვარი არ მომწონს!“ — თქვა სტალინმა და სამხრეთ კავკასიაზე მიუთითა“.

**საბჭოთა კავშირმა, სტალინის ხელმძღვანელობით, თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები დიდი სამამულო ომის ბოლო თვეებში წაუყენა. სსრკ ითხოვდა 1878 წელს რუსეთის იმპერიაში შემავალი ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც, საბჭოეთის ხელმძღვანელების აზრით, 1921 წელს უსამართლოდ გადაეცა თურქეთს. ეს ტერიტორიები საქართველოსა და სომხეთს შორის უნდა განაწილებულიყო. ამასთანავე, ითხოვდა ბოსფორის სრუტეში თავისუფალი ნავიგაციის უფლებასა და თავისი სამხედრო ბაზების განლაგებას შავი ზღვის სრუტეებში.**

1945 წლის 19 მარტს სსრკ-მა მოახდინა საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1925 წლის 25 დეკემბრის შეთანხმების დენონსაცია, შემდეგ კი დაიწყო მოლაპარაკებები ახალ შეთანხმებაზე. მაისში თურქეთმა სსრკ-ს წარუდგინა შეთანხმების პროექტი, რომლის მიხედვით, ომის შემთხვევაში, სსრკ-ის არმიასა და ფლოტს უფლება ეძლეოდა, თავისუფლად გაევლო თურქეთის ტერიტორია. ამან საბჭოთა დიპლომატებს უბიძგა, ბოლომდე მიეყვანათ განზრახვა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ. 1945 წლის 7 ივნისს თურქეთის ელჩი **სელიმ სარფერი** პირადად შეხვდა ვიაჩესლავ მოლოტოვს. შეხვედრაზე სსრკ-ის საგარეო საქმეთა კომისარმა განაცხადა, რომ ახალ შეთანხმებაში უნდა შეეტანათ პირობა შავი ზღვის სრუტეების საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივად გაკონტროლებისა (საბჭოთა სამხედრო ბაზების განლაგებით) და 1921 წელს მოსკოვის შეთანხმების „გასწორების“ შესახებ. ამ შეთანხმებას მოლოტოვმა უსამართლო უწოდა.

**სსრკ-ისა და თურქეთის ახალი საზღვარი, საბჭოთა მხარის აზრით, უნდა გავლებულიყო ისე, როგორც იყო 1878** ►

ჭახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლურმა პროპაგანდამ ისე გამოურეცხა ტვინი ქართველებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებიან ისტორიული ფაქტების დამახინჯებას და, დასავლელი პატრონებისადმი მონობის სინდრომით შეპყრობილნი, მოსახლეობას, ძირითადად, ახალგაზრდა თაობას, შთააგონებენ, რომ თურქეთი და ირანი საქართველოს ისტორიული მეგობრები არიან, აშშ და ბრიტანეთი — სტრატეგიული მოკავშირეები და მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთია ჩვენი და სრულიად კაცობრიობის მტერი.**

◀ **წელს, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების არსებობისას.**

საბჭოთა ხელისუფლება უკანონოდ წართმეულ ტერიტორიებად მიიჩნევდა ყარსის ოლქს, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილსა და ყოფილი ერივანის გუბერნიის სურმალინის მაზრას.

1945 წლის 22 ივნისს თურქეთმა უარყო საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება და თავისი პოზიციების დაცვას აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით შეეცადა. თურქეთისადმი სსრკ-ის ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი 1945 წლის 22 ივლისს პოტსდამში დიდი სამეულის კონფერენციის მეექვსე სხდომაზე განიხილეს:

მოსკოვში გამართული მოლაპარაკებებით შეშფოთებული ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **უინსტონ ჩერჩილის** შეკითხვის შემდეგ სტალინმა სიტყვა გადასცა მოლოტოვს, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ გვაქვს ორი საკითხი, რომლებიც მოსაგვარებელია. სამოკავშირეო შეთანხმების დადება ნიშნავს, რომ ერთობლივად უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები: სსრკ-მა არა მხოლოდ თავისი საზღვარი, არამედ თურქეთისაც, ხოლო თურქეთმა — არა მხოლოდ თავისი, არამედ საბჭოთა კავშირისაც. მაგრამ ჩვენ სსრკ-ისა და თურქეთის საზღვრის რამდენიმე მონაკვეთს უსამართლოდ მივიჩნევთ.

1921 წელს თურქეთმა საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა საქართველოს ტერიტორიები მოსწყვიტა — ეს არის ყარსის ოლქის, ართვინისა და არდაგანის ტერიტორიები. ამიტომ განვაცხადე, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელია საქართველოსა და სომხეთისთვის წართმეული ტერიტორიების საკითხის მოგვარება, მათთვის ამ ტერიტორიების დაბრუნება“. ამ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ **მოლოტოვმა პოსტდამის კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა რუკა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიებით. მოლოტოვმა, აგრეთვე, წამოჭრა მონტრეს კონვენციის (1936 წლის კონვენცია, რომელითაც აღდგა თურქეთის სუვერენიტეტი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე.** ამასთანავე, ამ კონვენციის მიხედვით, თურქეთს უნდა დაეცვა საერთაშორისო საზღვაო სამართლის პრინციპები) გადახედვის საკითხიც.

23 ივლისის სხდომაზე კი ისტორიული სიტყვა წარმოთქვა იოსებ სტალინმა: **„გუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.**




**ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება რომ არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთმა — ჩვენი საზღვარი. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა გაასწორონ საზღვრები და, თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია!“** (ამონარიდი სიმონ კილაძის მასალიდან „სტალინი: თურქეთმა უნდა დააბრუნოს საქართველოს მიწა-წყალი“).

აშშ-ის პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა**, დაძაბული ატმოსფერო რომ გაენეიტრალებინა, განაცხადა, — ეს ტერიტორიული საკითხი მხოლოდ საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის უნდა გადაწყდესო.

თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების კამპანიაში 1945 წლის დეკემბრიდან ჩაერთო საქართველოც. 1945 წლის 14-20 დეკემბერს რუსულ და ქართულ გაზეთებში („პრავდა“, „იზვესტია“, „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“) გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერების — **სიმონ ჯანაშიასა** და **ნიკო ბერძენიშვილის** წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

„ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა, წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები. მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველის ძველი მიწა-წყლის შესახებ. საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს — დანაშაულს, რომელმაც ორად გაკვეთა ეროვნული სხეული. საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — ჩვენი უძველესი მიწა-წყლის დაბრუნებას“. წერილი მთავრდება მოთხოვნით: **„ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის“.**

ტრაპიზონისა და ართვინ-არტაანის დაბრუნების პრობლემა ფართოდ იყო ასახული ქართულ ლიტერატურაშიც: იბეჭდებოდა მოთხრობები („მტკვრის სათავისკენ“), იწერებოდა და იდგმებოდა პიესები („ჩაძირული ქვები“), იქმნებოდა პოემები და ლექსები:

**„გზის გასწვრივ დგანან**
**ალვები მწკრივად,**
**თეთრად გაჰკვრია**
**ზეცას ღრუბლები,**
**მე ტრაპიზონის ოლქკომში**
**ვზივარ,**
**ოლქკომის მდივანს**
**ვესაუბრები.**
**კედელზე რუკა ჰკიდია**
**ოლქის,**
**მდივანი დასცქერს**
**გადაშლილ ფურცელს,**
**სახეზე დაჰკრავს**
**იერი კოლხის**
**და ლაპარაკში ლაზურად**
**უქცევს“**

(ამონარიდი გრიგოლ აბაშიძის ლექსიდან „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“).

აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთისადმი ილაპარაკა უინსტონ ჩერჩილმა თავის ცნობილ გამოსვლაში ფულტონში (მისურის შტატი, აშშ) 1946 წლის 5 მარტს (ეს გამოსვლა ითვლება „ცივი ომის“ დასაწყისად): „თურქეთი და სპარსეთი ღრმად შეშფოთებული და შეწუხებულნი არიან იმ პრეტენზიების გამო, რომლებიც მათ წაუყენეს, და იმ ზემოქმედების გამო, რომელსაც ისინი განიცდიან მოსკოვის მხრიდან...“.

**მოგვიანებით საბჭოთა კავშირმა შექმნა საიდუმლო დოკუმენტი სახელწოდებით „ზოგიერთი მოსაზრება ამიერკავკასიის ფრონტის ოპერაციათა დაგეგმვის შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით, საბჭოთა არმია უნდა შესულიყო თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში, ტრაპიზონ-ბაიბურთისა და ყარს-ერზურუმის მიმართულებით. პირველ ეტაპზე (10 დღეში) გაენადგურებინა თურქეთის არმიის დაჯგუფება ყარსისა და ართვინის რაიონებში, შტურმით აეღო ტრაპიზონი, მეორე ეტაპზე (6 დღეში) გაენადგურებინა ოლთის-სარიყამიშის დაჯგუფება, გასულიყო ისპირ-თორთუმის ხაზზე და საბოლოოდ, მესამე ეტაპზე (ოპერაციის დაწყებიდან მე-20 დღეს) დაეკავებინა ერზურუმი.**

1946 წლიდან დასავლეთმა კიდევ უფრო გააქტიურა მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკელი ისტორიკოსი **ედუარდ მარკი** წერს, რომ, სახელდობრ, თურქეთის გარშემო შექმნილმა კრიზისმა და საბჭოთა კავშირის მზადებამ თურქეთთან ომისთვის, აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები, შეემუშავებინა ატომური ომის გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირს კი იმ მომენტში თავისი ატომური ბომბების გადამტანი საშუალებები არ ჰქონდა. ბევრი ექსპერტის აზრით, სწორედ სსრკ-ის დასაშინებლად, რათა ომი არ დაეწყო თურქეთის წინააღმდეგ, ამერიკამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიყენა ატომური ბომბი და 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს იაპონიის ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი მიწასთან გაასწორა.

სხვათა შორის, **ჩამონათვალში საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებისა, რომლებშიც ატომური ბომბი უნდა ჩამოეგდოთ ამერიკელებს, თბილისიც შედიოდა.**

ტრუმენის დოქტრინის მიხედვით, აშშ დაეხმარა თურქეთს ფინანსური და სამხედრო თვალსაზრისით. 1952 წელს კი თურქეთი ნატოში მიიღეს, რაც მის მიმართ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების გამო მოხდა.

ბოლოს და ბოლოს, იოსებ სტალინი იძულებული შეიქნა, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე იმხანად უარი ეთქვა. 1953 წლის 30 მაისს კი სტალინის გარდაცვალებიდან დაახლოებით თვე-ნახევარში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურად თქვა უარი ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით, საბჭოთა საქართველო და სომხეთი უარს ამბობენ თურქეთისადმი თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ამით საქართველომ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ **თურქეთის რესპუბლიკამ ამ მოვლენების შემდეგ, XX საუკუნის მეორე ნახევარში, მოახერხა, საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიგა პროვინციებში გადაასახლეს.**

საქართველოს ამჟამინდელი „სტრატეგიული მოკავშირეების“ დამსახურებაა, რომ საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი (12 ათას კვ.კმ-ზე მეტი) დღეს „ისტორიული მეგობრის“, თურქეთის, შემადგენლობაშია. აი ასე მეგობრულად მოქმედებდა ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი, ასე მოქმედებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ახლა უკვე „სტრატეგიული მოკავშირეები“ — აშშ და დიდი ბრიტანეთი; საბჭოთა კავშირი კი, სტალინის ხელმძღვანელობით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო აუმხედრდა, — რატომ სთხოვ თურქეთს დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებასო, მაინც ცდილობდა ძირძველი ქართული მიწების შემოერთებას.



**ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე**

**ნიკა კორინთელი**

«რეფორმატორები»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკრაინის ნეზალეჟნაია (თავისუფალმა — ნ.კ ) ხელისუფლებამ და ასეთივე საზოგადოებამ გულში ჩაიკრეს ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ არც სახელმწიფო ენა, არც ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმატიული ბაზა და არც თავისებურებები ქვეყნისა, რომლის მოქალაქეობაც უსწრაფესად მიიღეს; გულში ჩაიკრეს იმედით, რომ ისინი სასწაულს ჩაიდენდნენ... შედეგი გამოსაცნობი იყო.

# როგორ დაეხმარნენ სააკაშვილი და მის ბუდეში გამოჩეკილი ქართველი ვარიაგები უკრაინას

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 27-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „დასავლეთის „პერემოგას“ შეწირული ქართველები“, რომელშიც ლაპარაკია დასავლეთის მიერ ორი მონათესავე ხალხისთვის — რუსებისა და უკრაინელებისთვის — თავსმოხვეულ ომში ქართველების მონაწილეობაზე, რომლებსაც ამ ომში საზარბაზნე ხორცის ფუნქცია აკისრიათ. დღეს კი გთავაზობთ შემოკლებულ ვარიანტს ნიურა ნ. ბერგის სტატიისა „უკრაინა ვარიაგების ძებნაში: დაეხმარნენ თუ არა მას საუცხოო ქართველები“, რომელშიც აღწერილია უკრაინაში მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მოღვაწეობა და „წარმატებები“.**

უკრაინის პრეზიდენტი რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ეწვია. ოფიციალური პროგრამა მრავალფეროვანი იყო, მაგრამ უცნობია, ისაუბრა თუ არა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან უკრაინის ხელისუფლების მაღალ პოზიციებზე იმპლანტირებული ქართველი რეფორმატორების გამოყენების შედეგებზე. ამ დესანტმა თითქმის მთელი შემადგენლობით უკვე დატოვა პოსტმაიდნური უკრაინა და მხოლოდ სააკაშვილი, შავი ვოდევილის მთავარი პერსონაჟი, კვლავაც განაგრძობს პოლიტიკურ აქტიურობას — ახლახან მან „უკრაინის ტახტზე“ განაცხადა პრეტენზია...

უკრაინის სამოქალაქო საზოგადოება, რომელშიც, ძირითადად, „გრანტისმჭამელები“ და „ნეზალეჟნოსტისთვის“ (თავისუფლებისთვის) საკუთარ ფეხში ტყვიის მსროლელი მებრძოლები იგულისხმებიან, ყოველთვის ოცნებობდა, რომ მოვა ვილაც უფრო ჭკვიანი, უფრო პატიოსანი, უფრო განათლებული და დაიწყებს ქვეყნის მართვას. მიაჩნდათ, რომ 42-მილიონიანი უკრაინელი ხალხის წიაღში ვერ მოიძებნებოდნენ ასე თუ ისე ღირსეული მენეჯერები, რომლებიც საბიუჯეტო გრივნების (უკრაინული ვალუტა) დანახვაზე ხელებს ნიჩბებივით არ მოიმარჯვებდნენ ფულის ასახვეტად. უკრაინელმა ბლოგერებმა თავის დროზე უამრავი აღმაფრთოვანებელი სტატია დაწერეს თემაზე: „რატომ გამოუვიდათ ქართველებს“, თანაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უკრაინასთან ბევრი რამ აკავშირებდა, რაც მთავარია, საერთო კურატორები.

2004 წელს სააკაშვილი თავგამოდებით უჭერდა მხარს „ნარინჯისფერ რევოლუციას“ და არცთუ იშვიათად ჩადიოდა კიევში **იუშჩენკოსთან** კონსულტაციების გასამართავად.

„გიდნოსტის რევოლუციის“ (უკრ. — „ღირსების რევოლუცია“) გამარჯვების შემდეგ სერიოზულ სახელისუფლო პოსტებზე სამი ათეული გამორჩეული ქართველი რეფორმატორი მიიწვიეს. ამ „საუცხოო ქართველების“ კოჰორტის ვარსკვლავი, რა თქმა უნდა, იყო პან სააკაშვილი, რომლის მიმართაც საქართველოს პროკურატურას სისხლის სამართლის სამი საქმე აქვს აღძრული და ძებნა გამოცხადებული.

**სააკაშვილს შესთავაზეს საკმაოდ მოკრძალებული თანამდებობა — რეფორმატორის გიგანტური ამბიციებისთვის აშკარად შეუსაბამო. მას ძალიან უნდოდა პრემიერმინისტრის პოსტი, მაგრამ არ გაუმართლა, თუმცა გაბედულება არ აკლდა — განზრახული ჰქონდა, ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობაზეც ეჩვენებინა სახელმწიფოს მართვის უმაღლესი კლასი, ორიოდე კვირაში დაემარცხებინა კორუფცია და რეგიონი თავისუფლების, დემოკრატიისა და განვითარებული ეკონომიკის ვიტრინად ექცია.**

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ოლქის მილიციის უფროსად თანამებრძოლი **გიორგი ლორთქიფანიძე** დანიშნა, ხოლო პროკურორად — **დავით საყვარელიძე,** ოლქში კორუფცია დამცინავად ილიმოდა და განაგრძობდა გამარჯვებულის მსვლელობას.

**მალე სააკაშვილის სახელი დაუკავშირეს რომელიღაც ფონდს, რომელიც გულუხვად აფინანსებდა გუბერნატორსა და მის გუნდს. სააკაშვილის გუბერნატორობის პერიოდს არც მისი საფირმო სკანდალების გარეშე ჩაუვლია — მაღალ თანამდებობებზე ნიშნავდა ნაზ, კარგი აღნაგობის ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც სრულიად გამოუსადეგარნი იყვნენ სახელმწიფოს მართვის სისტემაში.** სააკაშვილი მუშაობაში ეყრდნობოდა მცირე კალიბრის ვარიაგებს (რუსეთში ვარიაგებს უწოდებენ სკანდინავიიდან წამოსულებს, ვიკინგებს, რომლებიც სლავურმა და ფინურმა ტომებმა მიიწვიეს და, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში — ნ.კ.), ოდესელებს კი მნიშვნელოვან საქმეებს არ ანდობდა. სახელმწიფო მოხელეები ჩამოიყვანა დასავლეთ უკრაინიდან, საქართველოდან, სხვა ადგილებიდან. და, პრაქტიკულად, ყველამ უსახელოდ და სკანდალით დატოვეს თანამდებობები.



უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლის 23 მაისი



უკრაინის ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელი ხატია დეკანოიძე

**მაშა გაიდარი** და **საშა ბოროვიკი** ხომ, საერთოდ, ფრიკები (ფრიკი — ადამიანი, რომელიც ექსტრავაგანტური გარეგნობითა და ეპატაჟური საქციელით გამოირჩევა — ნ.კ.) აღმოჩნდნენ, თუმცა სწორედ ისინი წარადგინა სააკაშვილმა, როგორც ვირტუოზული და შემოქმედებითი რეფორმატორების ავანგარდი.

თავისი გუბერნატორობის წელიწად-ნახევარი სააკაშვილმა გაატარა სახელმწიფოს არასრულყოფილებაზე ლაპარაკში, უცნაური გამოსვლებით აავსო მისთვის ხელმისაწვდომი სატელევიზიო ეთერები, ეჩხუბებოდა ჟურნალისტებს, უპირისპირდებოდა პოლიტიკოსებს და ტოტალურ კორუფციაში ადანაშაულებდა მაღალჩინოსნებს; არ მალავდა საპრეზიდენტო ამბიციებს, ტელესტუდიებში ხშირად ურჩევდა საქმეს შინაგან საქმეთა მინისტრ **ავაკოვს,** ჩიოდა ოლქის ბიუჯეტის დაუფინანსებლობაზე, დაუპირისპირდა **პოროშენკოს** და, რა თქმა უნდა, გაძევებული იქნა. ფორმალურად სააკაშვილმა დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, ამასთანავე, განაცხადა, რომ მისთვის სულერთია, ვინ გაძარცვავს უკრაინელებს — **იანუკოვიჩი** თუ **პოროშენკო.** ვის მოეწონებოდა ეს? ახლა კი სააკაშვილმა შექმნა თავისი პარტია და „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოწყობას გეგმავს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

სხვათა შორის, ოდესის ოლქის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნამდე ნახევარი წლით ადრე, 2014 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა **ეკა ზღულაძემ** — ოდიოზური ფრანგი მემარცხენისა და რუსოფობის, **ანდრე გლუკსმანის** მეუღლემ, რომელმაც დანიშვნამდე 3 დღით ადრე მიიღო უკრაინის მოქალაქეობა.

ქალბატონმა ეკამ გაბედულად დაიწყო უკრაინის მილიციის პოლიციად გარდაქმნა (ესეც, რა თქმა უნდა, კორუფციასთან ბრძოლის საბაბით), საპატრულო პოლიციაში თავი მოუყარა ყოჩაღ სელფისტებს, რომლებსაც ნულოვანი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ამერიკულმა გამოცემა Foriegn Policy-მ ზღულაძე მსოფლიოს 100 საუკეთესო მოაზროვნეთა შორის დაასახელა. მის ხელქვეითებს კი, რომლებიც, ძირითადად, ქუჩაზე მოხუცების გადაყვანითა და ხეებიდან კატების ჩამოყვანით იყვნენ დაკავებულნი, გულმოდგინედ აპიარებდა უკრაინული მედია, თუმცა კონფლიქტურ სიტუაციებში (ქუჩის არეულობებში, ჩხუბში) პოლიციელები, როგორც წესი, სტატისტებივით იქცევიან და შორიდან უყურებენ მომხდარს. ახალმა პოლიციელებმა, გაითვითცნობიერეს რა თავიანთი სიდიადე, რამდენიმე ათეული ავტომობილი დაამტვრიეს, რამდენჯერმე უკანონოდ ატეხეს სროლა და მოკლეს ავტომობილის მგზავრი, თუმცა არავინ დაუსჯიათ.

**ეკა ზღულაძის რეფორმატორული მოღვაწეობა კოლოსალური სკანდალით დასრულდა — გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ბორისპოლის აეროპორტში დააკავეს ჩემოდნით, რომელშიც 4 მლნ დოლარი იდო. საქმე ძალიან ბუნდოვანია, მაგრამ, მასში უკრაინის მაღალი თანამდებობის პირების ჩართულობას თუ გავითვალისწინებთ, ბრალდება უსაფუძვლო არ უნდა იყოს.**

მეორე ქართველი ლამაზმანი, **ხატია დეკანოიძე,** 2015 წელს დანიშნეს უკრაინის ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელად. მან ამ ძალოვანი სტრუქტურის თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა, რეგულარულად გამოდიოდა ხმამაღალი განცხადებებით და გააკეთა ერთი კეთილი საქმე — ნარკოდანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლა ფსიქოდისპანსერის პაციენტი, ნასამართლევი **ილია კივა.** მიუხედავად ყველაფრისა, დეკანოიძე თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა ამ თანამდებობაზე, რადგან დაპირისპირებული იყო შს მინისტრ ავაკოვთან.

ზუსტად ერთი წლის წინათ კიევში მოკლეს ჟურნალისტი **შერემეტი,** ხატიამ ამ დანაშაულის გამოძიება პოლიციის ღირსების საქმედ გამოაცხადა, მაგრამ ამაოდ. შესაძლოა, მას მოთმინების ფიალა აუვსო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ 24 წლის **ანასტასია დეევას** დანიშვნამ, რომლის პორნოგრაფიული პორტფოლიოთი სენსაციის მოყვარული უამრავი უკრაინელი იყო დაინტერესებული. ხატიამ დაიჩივლა კორუფციასთან ბრძოლაში შექმნილ წინაღობებზე და მძიმედ დატოვა თანამდებობა.



უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი უკრაინის პარლამენტში

მართლწესრიგის საკითხებით ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო დაკავებული სააკაშვილის ბუდეში გამოჩეკილი კიდევ ერთი ბარტყი — **დავით საყვარელიძე,** რომელსაც გენერალური პროკურორის მოადგი- ▶

**„განზრახვები, რომლებიც უწინ ჰქონდა გერმანიას რუსეთის ან იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის მიმართ, უცვლელი და ჯერ კიდევ განუხორციელებელია. ეს მტკიცდება თუნდაც იმით, რომ გერმანელი ჯარისკაცები და ჯავშნიანი ტანკები კვლავაც დგანან ლენინგრადთან, ამჟამინდელ სანკტ-პეტერბურგთან, ახლოს. დღეს ეს კეთდება ევროკავშირის, გაერთიანებული ევროპის დროშით, გერმანია კი ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოა. რუსეთის საზღვრებთან ბალტიისპირეთში სამხედრო ქვედანაყოფების განლაგება დასავლეთის რეალურ განზრახვაზე მიუთითებს“.**

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლის თანამდებობა უბოძეს. საყვარელიძე პოსტიდან დაითხოვეს პროკურორის ეთიკის უხეშად დარღვევისთვის, სხვა პროკურორის სამსახურებრივ მოღვაწეობაში ჩარევისა და სხვადასხვა „ცელქობისთვის“.

უკმაყოფილომ და იმედგაცრუებულმა დატოვა პოსტი **ჯაბა ებანოიძემაც**, რომელიც შეეცადა, ეხელმძღვანელა უკრაინის სარეგისტრაციო სამსახურისთვის, მაგრამ მალე მიხვდა, რომ კორუფციას ვერ მოერეოდა.

უკრაინის სამართალდამცავი სისტემის თითქმის ყველა ქართველმა რეფორმატორმა უსახელოდ, შერცხვენილმა დატოვა პოსტი.

კორუფციასთან მებრძოლთა შორის, ოღონდ ჯანდაცვის სისტემაში, განსაკუთრებული ადგილი ეკავა **ალექსანდრე კვიტაშვილს**, მას თანამემამულეებთან აერთიანებს აშშ-ში მრავალჯერ გავლილი სტაჟირება და სხვადასხვა ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობა.

**ალექსანდრე კვიტაშვილმაც მყისვე მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და დაინიშნა თანამდებობაზე. დანერგა ფასიანი მედიცინა და გააუქმა ეპიდემიოლოგიური სამსახური. შეწყვიტა შრატებისა და ვაქცინების, ტკივილგამაყუჩებლებისა და კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების შესყიდვა. მის მიერ შემუშავებულ პროექტებს კორუფციის ისეთი სუნი ასდიოდა, რომ უკრაინის დეპუტატებმაც კი არ დაუჭირეს მხარი.** ჯანდაცვის მინისტრმა, თავის მხრივ, პარლამენტის კომიტეტის წევრები ბიუჯეტის სახსრების გაფლანგვაში დაადანაშაულა.

ამჟამად ქართველი ვარიაგების ბატალიონიდან დარჩა ორი, ასე თუ ისე, შესამჩნევი ფიგურა — იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **გია გეწაძე** და ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის პირველი მოადგილე **გიზო უგლავა.** უკრაინელებს სჯერათ, რომ კორუფციას საშინლად ეშინია ქართველების. არადა, დღეს უგლავას 800 ათასი გრივნის (დაახლოებით 80 ათასი ლარი) ოდენობის გადასახადებისგან თავის არიდებაში ადანაშაულებენ.

**ბუნდოვანი ბიოგრაფიების მქონე ქართველი ვარიაგების ჩანერგვა უკრაინის მმართველ სტრუქტურებში ჩაფლავდა. თითქმის ყველა სააკაშვილის „ოჯახის“ წევრი იყო და პოსტებიდან თავიანთი პატრონის ვარსკვლავის ჩასვენების პარალელურად დაითხოვეს, როცა ყველას თავი მოაბეზრეს ტრიუკებით.**

უკრაინის ნეზალეჟნაია (თავისუფალმა — ნ.კ ) ხელისუფლებამ და ასეთივე საზოგადოებამ გულში ჩაიკრეს ადამიანები, რომლებმაც არ იცოდნენ არც სახელმწიფო ენა, არც ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმატიული ბაზა და არც თავისებურებები ქვეყნისა, რომლის მოქალაქეობაც უსწრაფესად მიიღეს; გულში ჩაიკრეს იმ იმედით, რომ ისინი სასწაულს ჩაიდენდნენ...

შედეგი გამოსაცნობი იყო.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# გდრ-ის დაზვერვის ყოფილი შეფი: გერმანული რაიხი კვლავაც არსებობს და მისი მიზნები უცვლელია

**ძველი ინტერესები ახალი საშუალებებით — ყველაფერი დომინირებისთვის, — ასე აღწერს დასავლეთის პოლიტიკას რუსეთის მიმართ გდრ-ის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის) დაზვერვის ბოლო ხელმძღვანელი ვერნერ გროსმანი ინტერვიუში, რომელიც მას Sputnik Deutschland-ის ჟურნალისტმა ჩამოართვა.**

„მსოფლიომ მუშტები უნდა მოიმარჯვოს! — ამბობს გროსმანი. — ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც არსებობს რუსეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღების საფრთხე, უწინარესად, ევროპაში. ჩემი აზრით, რუსეთს ბირთვული იარაღი რომ არ ჰქონდეს, ომი უკვე დაწყებული იქნებოდა“.

გროსმანმა გაიხსენა რეჟისორ **ოლივერ სტოუნის** მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში ვლადიმერ პუტინის პასუხი კითხვაზე, თუ ვის ექნება უპირატესობა რუსეთისა და აშშ-ის ომში. პუტინმა განაცხადა, რომ აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო დაპირისპირებაში ვერავინ გადარჩება.

**„დღეს ომი კაცობრიობას განადგურების პირას მიიყვანს, რადგან ბევრ ქვეყანას შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება, თანაც უკონტროლოდ. ახალი ომი აუცილებლად უნდა ავიცილოთ თავიდან, რადგან ის ბოლოს მოუღებს კაცობრიობას“,** — მიაჩნია გროსმანს.

ამასთანავე, დასავლეთის მმართველი წრეების, მათ შორის, გერმანიის, ინტერესები და მიზნები არ იცვლება და არც აპირებენ შეცვლას: „ეს აშკარაა. დასავლეთისთვის ეს არის იმპერიალიზმი ძველი მიზნებით აღმოსავლეთზე“.

გდრ-ის დაზვერვის ყოფილმა შეფმა ყირიმის დაბრუნებას მართებული გადაწყვეტილება უწოდა. „ყირიმი ყოველთვის იყო რუსეთის. ის მართებულად დაიბრუნეს. ეს ნახევარკუნძული დღეს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და სამხედრო როლს ასრულებს“.

**„განზრახვები, რომლებიც უწინ ჰქონდა გერმანიას რუსეთის ან იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის მიმართ, უცვლელი და ჯერ კიდევ განუხორციელებელია. ეს მტკიცდება თუნდაც იმით, რომ გერმანელი ჯარისკაცები და ჯავშნიანი ტანკები კვლავაც დგანან ლენინგრადთან, ამჟამინდელ სანკტ-პეტერბურგთან, ახლოს. დღეს ეს კეთდება ევროკავშირის, გაერთიანებული ევროპის დროშით, გერმანია კი ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოა. რუსეთის საზღვრებთან ბალტიისპირეთში სამხედრო ქვედანაყოფების განლაგება დასავლეთის რეალურ განზრახვაზე მიუთითებს“,** — განაცხადა გროსმანმა.

გდრ-ის დაზვერვის ყოფილმა შეფმა, აგრეთვე, გამოთქვა თვალსაზრისი გერმანიის იმპერიალიზმზე. მან გაიხსენა კარლსრუეს ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს 1973 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძვლად დაედო შეთანხმება გფრ-სა და გდრ-ს შორის და რომელიც ამტკიცებს, რომ ამჟამინდელი გერმანია მესამე რაიხის მემკვიდრეა. „ძირითადი კანონი... გამომდინარეობს იქიდან, რომ 1945 წელს გერმანიის იმპერიამ კრახი განიცადა, მაგრამ მასში არსად არის ნახსენები მოკავშირეთა ჯარების ოკუპაციის შედეგად ძალაუფლების გადაცემა, არც სხვა სახელმწიფოს ძალაუფლებაზე გერმანიაში... გერმანული რაიხი განაგრძნობს არსებობას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ახალ დასავლურ გერმანულ სახელმწიფოს, ხოლო გერმანიის ნაწილი, უბრალოდ, ხელახლა იქნა ორგანიზებული. როცა დასავლეთს არაფერი ემუქრება, ის იწყებს ომს. ასე მოხდა ერაყში, მოგვიანებით — ლიბიაში და, სადაც მოისურვეს, იქ. „იმედი კაპიტალიზმის მშვიდობიანი მხარდაჭერისა“, რომელზეც დისკუსიები ეწყობოდა ყოფილ გდრ-ში, არავის უნდა ჰქონდეს“, — მიაჩნია გროსმანს, რომელმაც „რუსეთის შეკავების“ დასავლეთის პოლიტიკას პროვოკაციის მექანიზმი უწოდა და პარალელი გაავლო I მსოფლიო ომთან, როდესაც გერმანია წინასწარგანზრახვით აწყობდა პროვოკაციებს იმ იმედით, რომ რუსეთი არასწორ ნაბიჯს გადადგამდა და ამით დასავლეთს მის წინააღმდეგ ომის გაჩაღების საბაბს მისცემდა.

გროსმანის განცხადებით, დასავლეთი, მათ შორის გერმანია, დიდი ალბათობით, მოსკოვის მიმართ პოლიტიკას არ შეცვლის უახლოეს პერიოდში, რადგან დასავლეთის მმართველი წრეები ამით დაინტერესებულნი არ არიან. „მათი პოლიტიკა კვლავ წავა გატკეპნილი გზით — რუსეთის ალყაში მოქცევა, ბრძოლა რუსეთთან, დომინირება და გავლენის გაზრდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

დასავლეთი კვლავ შეეცდება რუსეთის შესაძლებლობების შეზღუდვას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ომის გაჩაღების საფრთხე ძალიან დიდია, რუსეთის მზარდ გავლენას უკვე ვერავინ შეაჩერებს“, — ასკვნის გდრ-ის დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ქვეყნები, რომლებშიც ყველაზე მეტ გადასახადებს იხდიან



**ბელგიაში დასაქმებულები მიღებული შემოსავლის ნახევარზე მეტს გადასახადებში იხდიან. ამ მაჩვენებლით ბელგია იმ ქვეყნების სიის სათავეში მოხვდა, ომლებშიც დასაქმებულები ყველაზე მეტ გადასახადებს იხდიან, — წერს forbes.ge.**

ყველაზე მაღალი გადასახადი ხელფასით მიღებულ შემოსავალზე **ბელგიაშია** და ის 54%-ს შეადგენს. **უნგრეთში** ეს მაჩვენებელი 48,2%-ია, ხოლო **იტალიაში** — 47,8%. ამ მაჩვენებელში შედის, როგორც საშემოსავლო გადასახადი, ასევე სოციალური უსაფრთხოების კონტრიბუციები. სოციალური უსაფრთხოების გადასახადის ნაწილს დასაქმებული, ნაწილს კი თავად დამსაქმებელი იხდის.

რაც შეეხება უშუალოდ საშემოსავლო გადასახადს, ის OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ქვეყნებში ასეთია:

ბელგია — 20,8%
შვეიცარია —10%
გერმანია —15,9%
ლუქსემბურგი — 16,2%
ავსტრია —10,8%
ნიდერლანდები — 15,2%
ნორვეგია — 17,5%
საფრანგეთი — 10,8%
ისლანდია —26,9%
შვედეთი — 13,6%
ავსტრალია —23%
გაერთიანებული სამეფო — 12,6%
ამერიკის შეერთებული შტატები — 16,9%
საბერძნეთი — 7,7%
პორტუგალია —13,4%
ესტონეთი —12,5%
უნგრეთი — 11,7%
პოლონეთი — 6,1%
ლატვია —15%

საქართველოში საშემოსავლო გადასახადი 20%-ია. ხელფასად გაცემული ანაზღაურება ქვეყანაში მხოლოდ 20%-იანი განაკვეთით იბეგრება და დასაქმებულები, რომელთა ანაზღაურებაც წლიურად 40 ათას ლარზე ნაკლებია, სხვა სახის გადასახადს არ იხდიან.

ყველაზე დაბალი განაკვეთით (საშემოსავლო და სოციალური უსაფრთხოების გადასახადი) ხელფასის სახით მიღებული ანაზღაურება OECD-ის წევრი ქვეყნებიდან ჩილეში იბეგრება და ის მხოლოდ 7%-ს შეადგენს. მას მოსდევს ახალი ზელანდია 17,9%-ით, მექსიკა 20,1%-ით და შვეიცარია 21,8%-ით.




# ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს 146 მოქალაქე არ შეუშვეს

**შსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო 3 თვეში საქართველოს 146 მოქალაქეს უარი უთხრეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შესვლაზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საზღვრის გადაკვეთის უფლება საქართველოს აღნიშნულ მოქალაქეებს 28 მარტიდან 2 ივლისის ჩათვლით არ მიეცათ.**

შსს-ში არ აკონკრეტებენ, რამდენმა ადამიანმა ისარგებლა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით და რამდენი ადამიანი დაბრუნდა ქვეყანაში 90-დღიანი წესების დაცვით.

საქართველო შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმით 2017 წლის 28 მარტიდან სარგებლობს. საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის წევრ 27 სახელმწიფოსა და რამდენიმე არაწევრ ქვეყანაში შესვლა და იქ 90 დღით ყოფნა ვიზის გარეშე შეუძლიათ.

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ბიოლაბორატორიების ქსელში უკრაინის გახვევა დაიწყეს, ბიოლოგიური საფრთხეების რაოდენობამ არნახულად იმატა და გავრცელების არეალი გაცილებით მასშტაბური გახდა. ამჟამად უკრაინა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიოლოგიური ბომბი რუსეთის, ბელარუსისა და დნესტრისპირეთის ასაფეთქებლად გამზადებული.**

# რატომ გარდაქმნის აშშ უკრაინას ბიოლოგიურ ბომბად?

**„ჰიბრიდული ომი“ — ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხმარობენ ანალიტიკოსები ამ ტერმინს მსოფლიოში ჩამოყალიბებული მდგომარეობის დახასიათებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში. ყური კი შეეჩვია, მაგრამ, რას გულისხმობს, ბოლომდე გარკვეული არ ვართ.**

**ენციკლოპედიურ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ ჰიბრიდული ომი მტრული დაპირისპირების მრავალსახეობაა, რომლის დროსაც ერთი მხარე არ განახორციელებს კლასიკურ სამხედრო თავდასხმას და თავისი ოპონენტის წინააღმდეგ გამოიყენებს ფარულ ოპერაციებს, დივერსიებს, კიბერომებს, მხარს უჭერს ამბოხებულებს, რომლებიც მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მოქმედებენ.**

**არის ამ ომის სხვა ფორმებიც და მათგან ერთ-ერთია სამხედრო ბიოლოგიური ლაბორატორიების ქსელის ორგანიზება მოწინააღმდეგე მხარის მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. ამ „სამეცნიერო-კვლევით“ დაწესებულებებს განსაკუთრებულად აქტიურად იყენებს პენტაგონი, რომლის ბიუჯეტიდან მასობრივი განადგურების ეს „იარაღი“ გულუხვად ფინანსდება.**

**დღევანდელ პუბლიკაციაში უკრაინის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ რა საშიშროების შემცველია ეს დაყოვნებული მოქმედების ბომბები თანამედროვე მსოფლიოსთვის და, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც.**

**ჩვენი მკითხველი ბევრ საინტერესო პარალელს გაავლებს საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარ ამბებთან.**

**Fondsk.ru-ს მიერ გამოქვეყნებული სტატიის ავტორია არინა ცუკანოვა.**



რუსეთის ფედერაციის გარშემო შექმნილ აშშ-ის სამხედრო ბიოლაბორატორიების სარტყელზე ათობით სტატია დაიწერა. ჟურნალისტებისა და სპეციალისტების მიერ შეკრებილი ინფორმაცია მეტყველებს, რომ ამ „სარტყლის“ მიზეზით იქმნება აშკარა საფრთხე როგორც იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც ეს ლაბორატორიებია განლაგებული, ასევე — რუსეთისთვისაც.

ბიოლოგიური იარაღი მასობრივი განადგურების ისეთივე იარაღია, როგორიც ბირთვული ან ქიმიური, მაგრამ მისი გამოყენება, სპეციალისტების აზრით, ყველაზე ეფექტიანია: შეუძლია ადამიანების, ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო ნარგავების მოსპობა; ახასიათებს მოქნილობა, უდიდესი ფსიქოლოგიური ზემოქმედება, დაუბრკოლებელი შეღწევა, ბიოლოგიური აგენტების სიმრავლე, საინკუბაციო პერიოდის არსებობა, რომელიც დასნებოვნების წყაროს დაფარვის საშუალებას ქმნის, თვითგავრცელების უნარი, მაღალი შედეგიანობა, სიიაფე.

„ბევრს ახსოვს 2001 წლის შემოდგომის მოვლენები, როცა აშშ-ში ავრცელებდნენ წერილებს ე.წ. თეთრი ფხვნილით. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს ტერორისტული აქტი ორგანიზებული იყო აშშ-ის სამხედრო-ბიოლოგიურ ცენტრებთან დაკავშირებული ადამიანების მიერ. როცა ეს ფხვნილი გამოიკვლიეს სპეციალიზებულ ლაბორატორიებში, ძალიან საინტერესო რამ დადგინდა: თეთრი ფხვნილი აღმოჩნდა რეცეპტურა, რომლითაც აღჭურვავენ კასეტურ საბრძოლო მასალებს. მათ შესწევს უნარი, ღრმად შეაღწიოს ფილტვებში და დაავადოს ადამიანი, მაგრამ, 1972 წლის კონვენციის თანახმად, რომლითაც აკრძალულია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამუშავება, წარმოება და მარაგის დაგროვება, ასეთი რეცეპტურები და საბრძოლო მასალა აშშ-ში არ უნდა იყოს“, — განაცხადა რამდენიმე წლის წინათ ბიოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების სპეციალისტმა, მიკრობიოლოგმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, თადარიგის პოლკოვნიკმა **მიხეილ სუპოტნიცკიმ.** მისი სიტყვებით, „ბიოლოგიური სამხედრო აქტივობა აშშ-ში არასოდეს შეწყვეტილა“.

**განსაკუთრებით საშიშია ბიოლაბორატორიები, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა ბოლო 12 წლის განმავლობაში გახსნა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მათი მუშაობა გასაიდუმლოებულია, მათ საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობენ ამერიკელები, ლაბორატორიები ამერიკული ფულით აშენდა და მათ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო კურატორობს.** სახელმწიფო გადატრიალებამდე უკრაინაში 15 ასეთი ობიექტი იყო შექმნილი, მათგან 14 — საოლქო ცენტრებში.

* **ოდესა**, 2009 წელი (ცენტრალური რეფერენს-ლაბორატორია (CRL) მეჩნიკოვის სახელობის უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შავი ჭირის ლაბორატორიის ბაზაზე). სპეციალიზაცია — ადამიანის პათოგენების შესწავლა; აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ პროექტში 3,5 მილიონ დოლარამდე დახარჯა.

* **ვინიცა**, 2010 წელი (დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ღირებულება 1,5 მილიონი დოლარი. დაფინანსების წყარო — იგივე);

* 2011 წელს ბიოლაბორატორიები გაიხსნა **უჟგოროდსა** (იმიერკარპატების დიაგნოსტიკური ლაბორატორია, 1,5 მილიონი დოლარი) და **დნეპროპეტროვსკში** (დიაგნოსტიკური ლაბორატორია, 1,9 მილიონი დოლარი, და ვეტერინარული მედიცინის სახელმწიფო რეგიონული ლაბორატორია, 1,8 მილიონი დოლარი), **სიმფეროპოლში** (ყირიმის რესპუბლიკური დიაგნოსტიკური ლაბორატორია შავი ჭირის ლაბორატორიის ბაზაზე, დაახლოებით 1,9 მილიონი დოლარი), დონორი, როგორც სხვა შემთხვევებში, პენტაგონია;

* 2012 წელს ორი ლაბორატორია გაიხსნა **ლვოვში** (1,9 მილიონი და 1,7 მილიონი დოლარი), თითო-თითო — **ხარკოვში** (1,6 მილიონ დოლარზე მეტი), **კიევში** (2,1 მილიონ დოლარზე მეტი), **ლუგანსკში** (დაახლოებით 1,75 მილიონი დოლარი), **ხერსონში** (1,7 მილიონ დოლარზე მეტი), **ტერნოპოლში** (1,75 მილიონი დოლარი). ყველა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებულია;

* 2013 წელს მესამე ბიოლაბორატორია მიიღო **ლვოვმა** (ლვოვის ეპიდემიოლოგიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, 1,5 მილიონ დოლარზე მეტი);

* უცნობია **მერეფის** ლაბორატორიის ბედი (ხარკოვის ექსპერიმენტული და კლინიკური სავეტერინარო მედიცინის ბაზაზე), რომელიც 2013 წელს უნდა გაეხსნათ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო გადაიდო. ამერიკელები აპირებდნენ, ხარკოვის 30-კილომეტრიან ზონაში გამოეკვლიათ ციმბირის წყლულის, შავი ჭირის, ქათმის გრიპის, თურქულისა და სხვა ვირუსების შტამები, დაეხვეწათ და უფრო პათოგენური გაეხადათ ისინი. მშენებლობის ზონა საცხოვრებელ კვარტალს ეკვროდა, ამან ძალიან დააფრთხო მოქალაქეები. ისინი ვერ დააწყნარეს ვერც მოხელეთა მტკიცებამ, რომ ლაბორატორია სრულიად უსაფრთხოა და რომ აშშ მზად არის, 15 მილიონი ჩადოს ამ საქმეში. შედეგად ხარკოვის ხელისუფლებამ პროექტი დახურა (უფრო სარწმუნოა, რომ ეს პროექტი იმავე ოლქში სხვა ადგილზე გადაიტანეს).

გაურკვეველია, გაიხსნა თუ არა ასეთი ახალი ლაბორატორიები 2014 წლიდან დღემდე. სარწმუნო მონაცემები არ არსებობს. მწყობრში ჩამდგარი ლაბორატორიების მუშაობის შესახებ უკრაინის მედია არაფერს წერს. **უკრაინაში არსებული შემაშფოთებელი ფაქტორების გათვალისწინებით (მეოთხე წელია, გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი, მნიშვნელოვნად მოიმატა დანაშაულის რაოდენობამ, პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია), ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, როგორი საშიშროების წყაროა უკრაინის სახელმწიფო, რომელიც სავსეა ბიოლოგიური ლაბორატორიებით, ბელარუსისთვის, რუსეთისთვის, მოლდოვისთვის, დნესტრისპირეთისთვის, ევროკავშირის ქვეყნებისთვის.**

* 2009 წლიდან უკრაინაში ეპიდემიები რეგულარულად წარმოიქმნება. ყველა ხელისუფლებას მათ წინააღმდეგ ბრძოლისას ჯიბეების ფულით გავსების შესაძლებლობა ეძლეოდა. საკმარისია, გავიხსენოთ „ღორის გრიპის,“ A H1N1-ის გამო ატეხილი ისტერიკის პერიოდში ქარს გატანებული 40 მილიონამდე დოლარი.

* 2017 წელს უცებ „იფეთქა“ ბოტულიზმმა, კიევსა და ხერსონში ადამიანები დაიღუპნენ იმის გამო, რომ სამედიცინო დაწესებულებებს არ აღმოაჩნდათ შესაბამისი შრატი.

* 2012 წელს უკრაინის მოქალაქენი „მოულოდნელად“ დაავადდნენ წითელათი (დარეგისტრირდა 13 000-ზე მეტი შემთხვევა). წლეულს ეს დაავადება კვლავ „დაბრუნდა“ და შუა ივნისში ოდესის ოლქსა და გალიცინაში უკვე ასობით ადამიანს შეეყარა.

* 2016 წლის სექტემბერში იზმაილში (კვლავ ოდესის ოლქში) იფეთქა უცნობმა ნაწლავურმა ინფექციამ, რომელმაც განსაკუთრებით ბავშვები შეაწუხა. მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში საავადმყოფოებს ასობით ადამიანმა მიმართა. ორი დღის შემდეგ მათმა რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა. მიზეზი ვერ იპოვეს: ადგილობრივი ხელისუფლება, თავდაპირველად, ირწმუნებოდა, რომ წყლის სისუფთავე სანიტარულ ნორმებს აკმაყოფილებდა, რასაც სინჯების ანალიზიც ადასტურებდა. შემდეგ ეს განსაკუთრებული სიტუაცია ვირუსებს დააბრალეს, რომლებიც უამინდობის გამო წყალში შემთხვევით მოხვდა. ამის დამტკიცებას ცდილობდა ოდესის ყოფილი გუბერნატორი **მიხეილ სააკაშვილი** და „მაიდნის მთავარი ექიმი **ოლგა ბოგომოლეცი.** 2016 წელს უკრაინაში „დაბრუნდა“ ღორის გრიპი, დაავადება, რომელსაც ატიპური პნევმონიის უსწრაფესი განვითარება ახასიათებს.

* 2012 წელს უკრაინას მოედო ღორის აფრიკული შავი ჭირი. უდიდესმა აგროკომბინატმა „კალიტამ“ 2015 წელს ამ დაავადების გამო სრულად გაწყვიტა ღორები (60 000-ზე მეტი სული); უკრაინაში „მოულოდნელად“ ფეხმოკიდებული ღორის ჭირის წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლაში ქვეყანაში 100 000 ცხოველის უტილიზაცია მოახდინეს. არავითარი ვაქცინა ან შრატი ამ დაავადების წინააღმდეგ არ არსებობს, მოკვდავობა 100 პროცენტია, დაავადებულ ცხოველთან ნებისმიერი კონტაქტი დასნებოვნებას იწვევს. დაავადების წყაროს გარკვევა პრაქტიკულად შეუძლებელია: აღნიშნული ვირუსი მიწაში დაახლოებით 8 თვეს ძლებს, შებოლილ ძეხვში, ხორცსა და ღორის ქონში 5 თვეს „ცოცხლობს“, ნაკელში — 3 თვეზე მეტხანს. დასნებოვნებული ცხოველების კრემაციიდან 6 თვის განმავლობაში უნდა ამოქმედდეს კარანტინი, ღორების თავიდან მოშენება შეიძლება ეპიდემიის დამთავრებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. ვირუსს შეუძლია სრულად გაანადგუროს ბიზნესი არა მხოლოდ ღორების მცირე ფერმის ფარგლებში, არამედ მსხვილი აგრომეურნეობის მასშტაბით. უკრაინაში აღნიშნული დაავადების რუკა გვიჩვენებს, რომ აქაური „ღორის საშიშროება“ ბელარუსის, რუსეთისა და დნესტრისპირეთის საზღვრებს მჭიდროდ ეკვრის.

**„ბიოუსაფრთხოების“ ამერიკული პროექტი, რომლის ნაწილი ფართოდაა გაშლილი უკრაინაში, სხვა არაფერია, თუ არა მანევრი, რომლის მიზანია, გვერდი აუქციოს 1972 წლის კონვენციას. ლეგენდის მიხედვით, სამხედრო-ბიოლოგიური ლაბორატორიები თითქოს მოწოდებულია, „შეამციროს ბიოლოგიური საფრთხე“ ამა თუ იმ სახელმწიფოში, სინამდვილეში კი არის პენტაგონის კონტროლს დაქვემდებარებული ვირუსებისა და ბაქტერიების კონკრეტულ გენოფონდზე ზემოქმედების შემსწავლელი ქსელი, იქნება ეს ადამიანები, ცხოველები თუ მცენარეები. პენტაგონი ფლობს უფართოეს ასპარეზს: პათოგენების საშუალებით შეუძლია იმოქმედოს მეცხოველეობასა და მემცენარეობაზე, მართოს ლოკალური და ტოტალური ეპიდემიები.**

2016 წლის ბოლოს ევროკავშირმა უკრაინას აუკრძალა ხორცის ექსპორტი იმის გამო, რომ ხერსონის ოლქში „უცებ“ იფეთქა „ქათმის გრიპმა“; აკრძალვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა. ფრინველის ექსპორტი (ძირითადად, ქათმების) უკრაინის მეფრინველეობას ყოველწლიურად 4 მილიონ დოლარზე მეტ შემოსავალს აძლევდა. თუ დაავადება კვლავ თავს იჩენს, მეფრინველეობაში უკრაინის უდიდესი პარტნიორი ახლო აღმოსავლეთი (უკრაინული ქათმის ხორცის ექსპორტის მთლიანი მოცულობის 27 პროცენტი, კვერცხის — 35 პროცენტი) გაწყვეტს კონტრაქტს უკრაინასთან. ეს იქნება ადგილობრივი მეფრინველეობისთვის რთულად დასაძლევი კრიზისის დასაწყისი.

მასმედიისა და ექსპერტთა მეშვეობით ჩამოყალიბებულია აზრი, რომ ინფექციის გამავრცელებლები გარეული ცხოველები არიან, რომ სადღაც ვირუსების მუტაცია ხდება და ისინიც, ახალი თვისებებით აღჭურვილი, რომლებიც აძლიერებს და აჩქარებს ლეტალურ შედეგს, უკან ბრუნდება. რაც შეეხება ადამიანებს, აქ საკმარისია საზოგადოებაში ინფორმაციის შეგდება მოწამლული წყლის, დაჟანგული მილების, ვადაგასული ძეხვის ან შორეული ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტის შესახებ, რომელიც ვირუსით დასნებოვნებული აღმოჩნდა.

ბიოლოგიური ბომბის უპირატესობაც ის არის, რომ იგი უხილავია და წყაროს დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელი.

**არ იმალება მხოლოდ ერთი ფაქტორი: მას შემდეგ, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ბიოლაბორატორიების ქსელში უკრაინის გახვევა დაიწყეს, ბიოლოგიური საფრთხეების რაოდენობამ არნახულად იმატა და გავრცელების არეალი უფრო მასშტაბური გახდა.**

**ამჟამად უკრაინა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიოლოგიური ბომბი რუსეთის, ბელარუსისა და დნესტრისპირეთის ასაფეთქებლად გამზადებული.**

(გაგრძელება იქნება)

**მალტის პარლამენტმა კენჭი უყარა ერთნაირსქესიანთა სრულ ლეგალიზაციას. შესაბამის კანონპროექტს მხარი დაუჭირა 66-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი მხოლოდ ერთი იყო... მალტელმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს, სამოქალაქო კოდექსიდან ამოიღონ სიტყვები: „ქმარი“, „ცოლი“, „დედა“ და „მამა“. მათ შეცვლიან გენდერულად ნეიტრალური სიტყვებით: „მეუღლე“ და „მშობელი“.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პლანეტა სოდომი

**მალტის პარლამენტმა კენჭი უყარა ერთნაირსქესიანთა სრულ ლეგალიზაციას. შესაბამის კანონპროექტს მხარი დაუჭირა 66-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი მხოლოდ ერთი იყო, — იუწყება ტელეკომპანია TVM.**



„ეს არის ისტორიული ხმის მიცემა, — თქვა პრემიერმინისტრმა **ჯოზეფ მასკატმა**, — კენჭისყრამ გვიჩვენა, რომ ჩვენი დემოკრატიული წყობილება და საზოგადოება იზრდება. ეს არის საზოგადოება, რომელშიც ყველა თანასწორია“.

მართალია ეს კაცი:

როგორც წესი, ხმის მიცემით იწყება და ვითარდება პროცესი. მასკატის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია იყო.

გაუმართლა: ისღა დარჩენია, მოძებნოს ერთნაირსქესიანი არსება და გააფორმოს ქორწინება ოფიციალურად, თუ უკვე შერჩეული არ ჰყავს საპატარძლო (თუ სასიძო).

დაიბნევა ადამიანი, რადგან მალტელმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს, სამოქალაქო კოდექსიდან ამოიღონ სიტყვები: „ქმარი“, „ცოლი“, „დედა“ და „მამა“. მათ შეცვლიან გენდერულად ნეიტრალური სიტყვებით: „მეუღლე“ და „მშობელი“.

ქართველებს ამ მხრივ კარგად გვაქვს საქმე, რადგან „ცოლისა“ და „ქმრის“ ნაცვლად, კარგა ხანია, დავნერგეთ „მეუღლე“ და ეს ამ ინსტიტუტისადმი პატივისცემის გამოხატვად მივიჩნიეთ. გენდერული თანასწორობის გამოხატვის ნიშანი კი ყოფილა თურმე.

„წინ მივალთ ყოველდღიურად, საერთო სიხარულია!“

აი, კახელებს ცოტა გაუჭირდებათ დასავლურ ცივილიზაციაში დროულად შესვლა, რადგან საყველპურო ურთიერთობაში სიტყვა „მშობელი“ ორი შემადგენელით აქვთ დანაწევრებული — „მშობელი“ და „შამქმნელი“, რომლებსაც საჭირო დროსა და შესაფერის ადგილზე დანიშნულებისამებრ იყენებენ.

ჩამოვრჩით მალტას, რომელიც მსოფლიოში 24-ე ქვეყანა ყოფილა, რომელმაც ერთნაირსქესიანთა დაქორწინება ორიოდ კვირის წინათ, 12 ივლისს, აღიარა.

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## ლონდონის მეტროში მგზავრებს აღარ მიმართავენ: «ბატონებო და ქალბატონებო!»

**ეს ინფორმაცია გაავრცელა BBC News-მა.**

„ჩვენ შევცვალეთ სიტყვები, რომლებსაც ვიყენებდით განცხადებებისა და სხვა მიმართვების დროს, რათა ისინი ყველაფრის მომცველი გახდეს და წარმოაჩინოს ლონდონის მრავალფეროვნება“, — განაცხადა საქალაქო ტრანსპორტის მგზავრებთან მუშაობის დეპარტამენტის სტრატეგიულმა დირექტორმა **მარკ ევერსმა.**

ამ სიახლეს მიესალმა ლგბტ-ის ორგანიზაცია Stonewall-ი. „ლესბოსელებისთვის, გეებისთვის, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერებისთვის ენას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი სწორი გამოყენება დაეხმარება თითოეულს, იგრძნოს, რომ მასზეც იფიქრეს“, — განაცხადეს იმ ორგანიზაციაში, მაგრამ არ დაუზუსტებიათ, კერძოდ, ენის რომელ სფეროში გამოყენებას გულისხმობდნენ — ადამიანებს შორის ვერბალური თუ სექსუალური ურთიერთობის დროს.

2016 წლის 16 აგვისტოს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებმა ლონდონის სუპერმარკეტ Saintsbury's-ში გამართეს „გეიკოცნის დღე“ შეურაცხყოფილი წყვილისადმი სოლიდარობის ნიშნად. ამ „შეურაცხყოფილ“ წყვილს, **თომას რიზასა** და მის ბოიფრენდ **ჯოშუა ბრედველს,** სუპერმარკეტის ერთ-ერთმა მცველმა უსაყვედურა გარყვნილების საჯაროდ წარმოდგენის



გამო. **„რასაც თქვენ აკეთებთ, დაუშვებელია,** — უთქვამს მას, — **ან ახლავე უნდა შეწყვიტოთ, ან დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ მაღაზია“.**

აბა, ამას მოითმენდა პედარასტების ნაზი ბუნება?! და გამართეს მამათმავლების მასობრივი ინტერნეტფლეშმობი სახელწოდებით „დიდი გეიკოცნა“.

# შორნდორფში მიგრანტებმა მასობრივი არეულობა მოაწყვეს

**ვერ მოასწრო გერმანიამ გონს მოსვლა ანტიგლობალისტების მიერ ჰამბურგში G20-ის სამიტის დროს მოწყობილი „პოგრომებისგან“, რომ გავრცელდა ცნობა შორნდორფში (ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალური მიწა) მასობრივი არეულობის შესახებ.**

ამ 40-ათასიან ქალაქში სახალხო ზეიმი გაიმართა ბაზრობითა და საკონცერტო პროგრამით. ღამით კი ექსცესებმა იფეთქა: ათასამდე ახალგაზრდამ მოაწყო დებოში და ზეიმის დამცველ პოლიციელებსაც კი შეუტია, ოფიცრებს ცარიელ ბოთლებს ესროდნენ. მინიმუმ ორი ქალი „სექსდანაშაულის“ მსხვერპლი გახდა. გერმანელი ქალების მიმართ „აკრძალულ ხელის შეხებაში“ ეჭვმიტანილები არიან ერაყელები და ავღანელი სამი ახალგაზრდა.

ვინ მოაწყო არეულობა? როგორც გამოცემა Mitteldeutsche Zietung იტყობინება, პოლიციამ ორი დღის შემდეგ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ორგანიზატორები იყვნენ უმეტესად „მიგრაციული წარსულის“ მქონე პირები.

მოგვიანებით კი სხვა მსხვილმა გამოცემებმა მოვლენის სხვა ვერსია გაავრცელეს. „*(არეულობას)* ესწრებოდა ლტოლვილების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ისინი უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ“, — განაცხადეს პირველი გერმანული ტელეარხის საინფორმაციო პროგრამაში. ქალაქში შეყვანილია პოლიციის გაძლიერებული რაზმები და დაწყებულია გამოძიება. გამორიცხული არ არის, რომ დაზარალებულთა რაოდენობა და ინციდენტის მასშტაბი გაცილებით დიდი აღმოჩნდეს.




# იტალიაში განელმა ფეხბურთელმა დედა და და დანით მოკლა



**11 ივლისს განელმა ფეხბურთელმა სოლომონ ნიანტაკიმ აღიარა, რომ ქალაქ პარმას შემოგარენში, სადაც განიდან ჩასული ბევრი ლტოლვილი ცხოვრობს, მოკლა 45 წლის დედა და 11 წლის და. ფეხბურთელი, რომელიც იტალიის ჩემპიონატში მონაწილეობდა, დაკავებულია, მაგრამ ჯერჯერობით გარკვეული არ არის, რატომ ჩაიდინა მან ეს მხეცური დანაშაული.**

დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფეხბურთელი მატარებლით გაემგზავრა მილანში, სადაც პოლიციელებმა დააკავეს. დედა-შვილის ცხედრები აღმოაჩინა ნიანტაკის უფროსმა ძმამ, რომელიც საღამოს სამუშაოდან შინ დაბრუნდა. ამის შესახებ წერს გაზეთი „კორიერა დელა სერა“.

ცნობილია, რომ 21 წლის ნიანტაკი დეპრესიული ადამიანია. იგი ირიცხებოდა „პარმის“ ახალგაზრდულ გუნდში და პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა 2015 წელს კლუბის გაკოტრებამდე. ბოლო სეზონში იგი იტალიის სერია D-ს კლუბის „იმოლეზიში“ თამაშობდა.

# ლონდონში დახურეს სკოლა, რომელშიც უარი თქვეს ლგბტ საგნის სწავლებაზე

**ეს იყო კერძო რელიგიური სკოლა გოგონებისთვის. The Telegraph-ი წერს, რომ სასწავლებელს ლიცენზია ჩამოართვეს სასკოლო პროგრამაში ლგბტ თემის გაკვეთილების არქონის გამო.**




ინსპექტორების დასკვნით, დახურვის საფუძველია ამ თემატიკაზე უარის თქმა, რითაც „შეიზღუდა მოსწავლეების სულიერი, ზნეობრივი, სოციალური და კულტურული განვითარება“. ამ კერძო სკოლაში ორთოდოქსი ებრაელების შვილები სწავლობენ. პედაგოგები აცხადებენ, რომ კანონით ვალდებული არ არიან, სრულად მისდიონ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებს. მათ გააკრიტიკეს „ძალიან პატარა ბავშვებისთვის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გაცნობის პრინციპები“.

ლგბტ-თემის წარმომადგენლები კი ჩივიან, რომ სახელმწიფო ნებას რთავს რელიგიურ სკოლებს, შეადგინონ ისეთი პროგრამები, რომლებიც მათ რწმენას ესადაგება.

უცხოური პრესა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უნგრეთის ახალი ნორმების თანახმად, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში უცხოეთიდან 24 000 ევროსა და მეტსაც იღებს, ამ სტატუსს დაექვემდებარება და მკაცრად იქნება შეზღუდული. ისინი არა მხოლოდ უნდა დარეგისტრირდეს, როგორც უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები, არამედ ყველა მათ პუბლიკაციას შესაბამისი დამღა დაედება. შესაბამისი დამღის გარეშე მასალების გამოქვეყნებისთვის ორგანიზაციები სანქციებს დაექვემდებარება“.**

## El Confidencial: უნგრეთი და პოლონეთი ევროპულ დემოკრატიას ანგრევენ



**უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა ევროკომისიის მუქარას „ევროპის ინკვიზიცია“ უწოდა.**

ევროპული დემოკრატია ავადდება — ასეთ დიაგნოზს ადგენს ესპანური საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი El Confidencial-ი, რომელიც მიიჩნევს, რომ ბრიუსელი სულ უფრო აქცევს წნეხის ქვეშ უნგრეთს, პოლონეთი შემდეგია“.

„ევროკომისია უკმაყოფილოა უნგრეთში მიღებული კანონით, რომელიც მიმართულია უცხოეთის დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. ვიცეპრეზიდენტ **ფრანც ტიმერმანის** აზრით, „კონსერვატორ **ვიქტორ ორბანის** მიერ განხორციელებული ღონისძიებები პირდაპირ ეწინააღმდეგება სამართლებრივ ნორმებს და, მაშასადამე, ევროკავშირის ფასეულობებს“, — აღნიშნავს El Confidencial-ის კორესპონდენტი ბრიუსელში **მარია ტეხერო მარტინი**, — ტიმერმანმა ჯერ კიდევ წლევანდელ აპრილში, როცა ორბანი ამ კანონის დამუშავებას შეუდგა, გააფრთხილა მადიარების ლიდერი, რომ „ბრიუსელი გულზე ხელდაკრეფილი არ იჯდება და ურბანს ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში დაბრუნებას მოსთხოვს“. ამ დაბრუნებაში ევროკომისია, რა თქმა უნდა, გულისხმობს უნგრეთის მეთაურის მიერ უარის თქმას კანონზე, რომელიც „იმპორტულ ფულზე“ მცხოვრები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უცხოეთის აგენტის სტატუსის მინიჭებას აწესებს.

**„უნგრეთის ახალი ნორმების თანახმად, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ერთი წლის განმავლობაში უცხოეთიდან 24 000 ევროსა და მეტსაც იღებს, ამ სტატუსს დაექვემდებარება და მკაცრად იქნება შეზღუდული,** — აღნიშნავს ბრიუსელელი კორესპონდენტი, — **ისინი არა მხოლოდ უნდა დარეგისტრირდეს, როგორც უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები, არამედ ყველა მათ პუბლიკაციას შესაბამისი დამღა დაედება. შესაბამისი დამღის გარეშე მასალების გამოქვეყნებისთვის ორგანიზაციები სანქციებს დაექვემდებარება“.**

ევროკავშირის ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული კანონი „აბრკოლებს კაპიტალის გადაადგილებას ევროკავშირის ფარგლებში, რაც ევროკავშირის ოთხი ფუნდამენტური პრინციპიდან ერთის დარღვევას ნიშნავს, აგრეთვე, ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას, რადგან ორბანი მოითხოვს, რომ არასამთავრობოების ყველა ფინანსური დონორი გაშიფრული უნდა იყოს“.

„ბუდაპეშტს ფიქრისთვის აქვს ერთი თვის ვადა, თუ არ სურს, წარდგეს ევროპული სასამართლოს წინაშე“, — ასეთ პერსპექტივას უსახავს მარია ტეხერო ვიქტორ ორბანს და დასძენს, რომ „უნგრეთის შემდეგ ევროკომისია პოლონეთით დაინტერესდება, რომელსაც, პარტიის — „კანონი და სამართლიანობის“ — ვარაუდით, „განზრახული აქვს, მიაღწიოს ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების უპირატესობას ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე“.

ამ დღეებში ვიქტორ ორბანმა ევროკომისიის მუქარას „ევროპის ინკვიზიცია“ უწოდა.

## Rzeszpospolita: უკრაინა უკაცრიელი უდაბნო შეიძლება გახდეს



**ასეთი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მიგრაციამ და დეპოპულაციამ, — იუწყება პოლონური გამოცემა.**

გაეროს ბოლოდროინდელი პროგნოზით, ქვეყანაში შეიძლება განვითარდეს დემოგრაფიული კრიზისი და პარალელურად — ეკონომიკური დეპრესია, რომელიც წარმოქმნის გეოპოლიტიკურ ხვრელს — განაცხადა პოლონეთის თავდაცვის მრეწველობის კომპანიის მრჩეველმა **ანჯეი ტალაგუმ**.

„უკრაინას როცა ვეკამათებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს არა სრულფასოვან პარტნიორთან, არამედ სარეცელს მიჯაჭვულ ავადმყოფთან. გაერომ იგი პოლონეთთან ერთად განათავსა იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებსაც სხვებზე მეტად ემუქრება დეპოპულაცია“, — განაცხადა ავტორმა. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ 2017 წელს პოლონეთში იმყოფება 1,2 მილიონი უკრაინელი, რომლებიც სამუშაოს საძებნელად ჩავიდა იქ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება საცხოვრებლად დარჩეს კიდეც ამ ქვეყანაში. ვიზალიბერალიზაციის შედეგად მიგრაცია მნიშვნელოვნად იმატებს და უკრაინის დეპოპულაციის ალბათობა რეალური გახდება. ავტორი აღნიშნავს, რომ უკრაინელებს სამშობლოს დატოვების მრავალი მიზეზი აქვთ, მათ შორისაა დაბალი ანაზღაურება და მოსახლეობის მწირი შემოსავალი.

„უკრაინელის შემოსავალი ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებთა შემოსავალზე ნაკლებია. დაკნინების მასშტაბი იმდენად დიდია, რომ აუცილებელი ხდება რადიკალური საერთაშორისო პროგრამის განხორციელება მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება“, — ასკვნის ანჯეი ტალაგუ.

## Der Focus: ჩრდილოეთაფრიკელი ლტოლვილები სულ უფრო მეტ დანაშაულს სჩადიან გერმანიაში



**დაძაბულობის განსაკუთრებულ კერად წარმოდგენილია ფედერალური მიწა ჩრდილოეთ რეინი-ვესტფალია: მხოლოდ 2016 წელს აქ 31,5 ათასი დანაშაული აღირიცხა, რომლებიც, ძირითადად, ჩრდილოაფრიკელმა ლტოლვილებმა ჩაიდინეს. ამ ინფორმაციას დიუსელდორფის პოლიცია ავრცელებს.**

გერმანიის ამ რეგიონში 2012-დან 2016 წლამდე პერიოდში დანაშაულთა რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ლტოლვილთა მასის არნახულ ზრდასთან, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2016 წელს, გერმანიაში მილიონამდე მიგრანტი ჩავიდა.

ალჟირელი ლტოლვილები ექვმიტანილნი არიან 12 ათასი დანაშაულის ჩადენაში 2016 წელს, რაც 800 პროცენტით მეტია 2012 წელს ჩადენილ კანონდარღვევებზე. ოფიციალური მონაცემებით, ტუნისელებმა 2 ათასი დანაშაული ჩაიდინეს 2016 წელს, ლიბიელებმა — 700.

2017 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში 77 ათასი ლტოლვილი დარეგისტრირდა. ყოველთვიურად სულ უფრო მეტი მიგრანტი პოულობს აქ თავშესაფარს, რაც ხარჯების კოლოსალურ ზრდას იწვევს.

## The Independent: მასობრივი გადაშენების მეექვსე ფაზა — ადამიანი განწირულთა სიაში



**ჩვენი პლანეტა სახეობათა გადაშენების მორიგ ფაზაში შედის, მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ცოცხალი არსებები, „ფაქტობრივად, მოსიარულე მკვდრები“ არიან, მათ შორის ჩვენც — ადამიანები.**

სტენფორდის, პრინსტონისა და ბერკლის უნივერსიტეტების მეცნიერების მიერ მომზადებული მოხსენება ადასტურებს, რომ ხერხემლიანები ჩვეულებრივზე 114-ჯერ უფრო სწრაფად იხოცებიან. ამ მოხსენებაში, რომელიც ჟურნალ Science Advances-ში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ბოლო ასეთი მოვლენა მოხდა 65 მილიონი წლის წინათ, როცა დედამიწას დიდი მეტეორიტი შეეჯახა და სრულად ამოწყდნენ დინოზავრები.

„ეს პროცესი რომ არ შევაჩეროთ, დედამიწაზე სიცოცხლის აღსადგენად რამდენიმე მილიონი წელიწადი იქნება საჭირო. და მოსალოდნელია გამქრალ სახეობათა პირველ რიგში ჩვენი სახეობა აღმოჩნდეს, ადამიანები“, — მიიჩნევს გამოკვლევის წამყვანი ავტორი **ჯერალდო სებალოსი.**

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ხერხემლიანთა გადაშენების მასშტაბი და ტემპი მატულობს, რომ 1900 წლიდან 300 სახეობა გადაშენდა; ამასთანავე, ეს პროცესი 100-ჯერ უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სხვა (ჩვეულებრივ) პერიოდებში. „ჩვენ ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვსხედვართ“, — აღნიშნავს სტენდფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **პოლ ერლიხი**.

მიზეზთა შორის, რომლებითაც გამოწვეულია გადაშენების ახალი ხვეული, მეცნიერები ასახელებენ კლიმატის შეცვლას, გარემოს დაბინძურებასა და ტყეების ჩეხვას. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ეკოსისტემის დანგრევამ შეიძლება კატასტროფული მასშტაბი შეიძინოს. ეს გამოიწვევს დომინოს ეფექტს — გარკვეულ სახეობათა გადაშენებას უეჭველად სხვა სახეობათა გადაშენებაც მოჰყვება.

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ კატასტროფის თავიდან აცილება „ჯერ კიდევ შეიძლება, თუ გავააქტიურებთ ბუნების დამცავ ღონისძიებებს“, მაგრამ „შესაძლებლობების ეს სარკმელი“ სწრაფად ვიწროვდება.

## The Independent: სიკვდილი სცენაზე



**35 წლის ფრანგი მომღერალი ქალი სცენაზე გარდაიცვალა. მაყურებლებს ეგონათ, რომ ახალგაზრდა მსახიობმა მღელვარებისგან გონება დაკარგა ან გადაიღალა, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მისულმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ მას გული გაუჩერდა.**

ეს ტრაგიკული შემთხვევა მუსიკალურ ფესტივალზე მოხდა, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, სოფელ გოუდრონში ტარდებოდა — **ბარბარა ველდენსი** თავისი გამოსვლის დროს გარდაიცვალა. მომღერლის ორგანიზმმა დენის დარტყმას ვერ გაუძლო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან მიკროფონი შეცვალა. სიკვდილის მიზეზს პოლიცია იკვლევს.

მომღერლის შემოქმედებითი გზა ახლახან დაიწყო: გაიმარჯვა ბარდ ჟაკ ბრელის სახელობის ნიჭიერი ახალგაზრდების კონკურსზე. სადებიუტო ალბომი 3 თებერვალს გამოსცა. კრიტიკოსები მას დიდად აქებდნენ.

**მრავალი წელიწადია, აშშ, დიდ ბრიტანეთთან ერთად, საუდის არაბეთზე შემტევ იარაღს ჰყიდის, რომელსაც ის ამჟამად ჰუსიტების კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებზე თავდასასხმელად იყენებს. გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა, ქუვეითმა და იორდანიამ ახლახან მიიღეს საუდის არაბეთის კუთვნილი ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენების გაყიდვისა და შეკეთების ლიცენზია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ კოალიციას უფლება ეძლევა, დახოცოს უდანაშაულო ადამიანები.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ ანადგურებს აშშ და დიდი ბრიტანეთი მორიგ ქვეყანას



**ბოლო 6 წელიწადში მიმდინარე კატასტროფების პარალელურად დიდი უბედურება ტრიალებს იემენში, რომელიც მსოფლიოს რატომღაც აბსოლუტურად არ აღელვებს. ის, რაც იემენის რესპუბლიკაში ხდება, ჩვეულებრივი სამხედრო კონფლიქტი და ძალაუფლებისთვის ბრძოლა კი არა, შეგნებული აბუჩად აგდებაა მილიონობით უდანაშაულო ადამიანისა.**

შვიდი მილიონი იემენელი შიმშილობს, მათგან ორ მესამედს აუცილებლად სჭირდება ჰუმანიტარული დახმარება, საუდის არაბეთმა და ჰუსიტებმა გადაკეტეს ქვეყანაში შესასვლელი გზები, რომლებითაც შესაძლებელი იყო საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეტანა. „ასოშიაიტედ პრესი“ იუწყება, რომ იემენის სამხრეთში მოქმედებს 18 არალეგალური საპყრობილე, რომლებიც იმართება გაერთიანებული არაბული საამიროების მიერ. იქაურ პატიმრებზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ და აქცევენ ცხოველებად, რომლებიც მზად არიან, ჩაიდინონ მკვლელობა თვალის დაუხამხამებლად.

**ჰუმანური დასავლეთი კი აშშ-ის მეთაურობით აცხადებს, რომ ვერ ხედავს იემენის რესპუბლიკაში ძალის ბოროტად გამოყენების ნიშნებს.** როგორც დოსტოევსკი წერდა: „ზოგჯერ იტყვიან ადამიანის „მხეცური“ ბუნების შესახებ, ეს საშინელი სიცრუეა, მხეცების მიმართ: მხეცი არასოდეს იქცევა ისე სასტიკად, როგორც ადამიანი“.

უფრო მეტიც — ბლოკადა საკვების, მედიკამენტებისა და საწვავის იმპორტისა, რომლებზეც იემენი მთლიანად არის დამოკიდებული, სიტუაციას სრულიად უმართავს ხდის. ჰუმანიტარული დახმარება დაუყოვნებლივ თუ არ მიაწოდეს, მილიონობით ბავშვი შიმშილით დაიხოცება, რაც ბრალი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის, რომელმაც შესანიშნავად იცის, რა უბედურებაც ტრიალებს იემენში.

კონფლიქტი 2015 წლის მარტში გამწვავდა, როცა არაბული ქვეყნების კოალიციამ დაიწყო სამხედრო ოპერაცია საერთაშორისოდ აღიარებული **მანსურ ხადის** მთავრობის რეჟიმის აღსადგენად. საუდელთა მოწინააღმდეგენი არიან **მუჰამედ ჰუსის** მხარეს მდგარი ძალები — შიიტი-ზეიდიტები, იემენის დე ფაქტო მმართველი ორგანიზაცია. ისინი თანამშრომლობენ **ალი აბდულა სალეჰთან**, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტთან, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ დროს დაამხეს.

საუდელები აცხადებენ, რომ ჰუსიტების აჯანყების უკან დგას ირანის ისლამური რესპუბლიკა, მაგრამ ყველამ შესანიშნავად იცის, რომ „ანსარ ალაჰი“ და თეოკრატული ისლამური რესპუბლიკა ცნობს და აღიარებს შიიზმის სხვადასხვა მიმდინარეობას, თუმცა ჭეშმარიტების მარცვალი აქაც არის: იემენის უმაღლეს საბჭოს რომ ეხმარება, ირანი საუდის არაბეთს იწვევს რეგიონული პირველობისთვის საბრძოლველად. საუდიტებისთვის იემენის დედაქალაქ სანას დაკარგვა ნიშნავს საძულველი ირანისთვის არაბეთის ნახევარკუნძულის დათმობას იმ ალიანსთან ერთად, რომელიც მას (ირანს) ერაყთან, სირიასა და ლიბიასთან აქვს.

**მრავალი წელიწადია, აშშ, დიდ ბრიტანეთთან ერთად, საუდის არაბეთზე შემტევ იარაღს ჰყიდის, რომელსაც ამჟამად ის ჰუსიტების კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებზე თავდასასხმელად იყენებს. გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა, ქუვეითმა და იორდანიამ ახლახან მიიღეს საუდის არაბეთის კუთვნილი ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენების გაყიდვისა და შეკეთების ლიცენზია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ კოალიციას უფლება ეძლევა, დახოცოს უდანაშაულო ადამიანები.**

კონფლიქტი იემენში ჯოჯოხეთად იქცა და არავითარი წინაპირობა არ არსებობს მის მოსაწესრიგებლად, რადგან საერთაშორისო ძალისხმევა, რომელიც დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად არის მოწოდებული, ან უკიდურესად არაადეკვატურია, ან, საერთოდ, არ ხორციელდება, მასმედიას კი ეს ყველაფერი არ აინტერესებს. ნუთუ გაეროს მართლაც კარგ იდეად მიაჩნია იემენის საკითხებში სპეცწარმომადგენლად სუნიტი შეიხის, **ისმაილ ახმედის,** დანიშვნა?! შიიტი-ჰუსიტები ამ საკადრო გადაწყვეტილების არაობიექტურობაზე ლაპარაკობენ და მოითხოვენ, რომ ბოლოს და ბოლოს გაიმართოს პირდაპირი მოლაპარაკება დაპირისპირებული ქვეყნების მთავრობათა შორის, რაზეც მათ რეგულარულად უარს ეუბნებიან.

საომარი მოქმედებები, რომლებიც გრძელდება, სულ უფრო ამწვავებს მტრობას საუდის არაბეთსა და ირანს შორის და ხელს უწყობს რეგიონში დაძაბულობის მაქსიმალურად გამძაფრებას. მეტიც, მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივა სულ უფრო ხელმიუწვდომელი ხდება, რადგან სანავთობე მონარქიის კურატორი, ტრამპის ადმინისტრაცია, დაინტერესებულია, სრული კონტროლი დააწესოს ბაბ-ელ-მანდების სრუტეზე და 4,7 მილიონ ტონა ნავთობზე, რომელიც ამ სრუტით ყოველწლიურად გააქვთ. შტატები ირანს ასევე განიხილავს, როგორც ყველა უბედურების სათავეს, ჰუსიტებს კი საზიზღარ ტერორისტებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ, ისინი კი არა, ამერიკელების მეგობარი საუდიტები ბომბავენ ქორწილებს, დაკრძალვის პროცესიებს და შიმშილით კლავენ ბავშვებს.

ამ კონფლიქტის მოწესრიგება მასმედიის საყოველთაო მხარდაჭერის პირობებში მხოლოდ პოლიტიკური გზით არის შესაძლებელი. მართალია, პოლიტიკაში, დიდი ხანია, მორალის ნასახიც აღარ ჩანს, მაგრამ ვერც ერთი მოხელე ვერ დაგვარწმუნებს, რომ „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის“ რომელიმე პოლიტიკოსი საჯაროდ განაცხადებს, რომ პასუხისმგებელია აღნიშნული გენოციდის გაღვივებაზე.

# ევროკომისია პოლონეთს სანქციების დაწესებით დაემუქრა

**ევროკომისია პოლონეთში სასამართლო რეფორმის განხორციელებით არის შეშფოთებული. საეჭვო კანონების ამოქმედების შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო განიხილავს საკითხს ვარშავის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ, — განაცხადა ევროკომისიის ვიცეთავმჯდომარე ფრანც ტიმერმანმა.**



ფრანც ტიმერმანი

მისი თქმით, ევროკომისია გაუგზავნის პოლონეთს რეკომენდაციებს, როგორ აიცილონ სამართლის უპირატესობის პრინციპის დარღვევა რეფორმის განხორციელებისას. ტიმერმანმა განმარტა, რომ კანონებმა, რომლებიც მზადდება, შეიძლება ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკურ კონტროლს დაუქვემდებაროს.

სასამართლო რეფორმა პოლონეთში, ფაქტობრივად, დაიწყო პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ 2015 წელს მოპოვებული გამარჯვების შემდეგ. გასულ კვირაში სეიმმა მიიღო კანონპროექტების პაკეტი, რომელიც უფლებას აძლევს იუსტიციის მინისტრს, დანიშნოს ქვეყნის მთავარი მოსამართლეები. რეფორმის მიხედვით, პარლამენტს შეეძლება, აირჩიოს ეროვნული სასამართლოს საბჭოს წევრები. პარტიამ სეიმს წარუდგინა ცალკე კანონპროექტი, უმაღლესი სასამართლოს აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ.

2015 წლის დეკემბრის ბოლოს პოლონეთის პრეზიდენტმა **ანჯეი დუდამ** დაამტკიცა საკონსტიტუციო სასამართლოს კანონში ცვლილებების შეტანის კანონი, რომლითაც ამ ორგანოს ჩამოერთვა მოსამართლეების მოვალეობის შეწყვეტის უფლება. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა მას ექნება მხოლოდ პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის მიმართვის საფუძველზე.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ევროკომისიას შეუძლია განახორციელოს ამკრძალავი ღონისძიებები, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მთავრობა აამოქმედებს ისეთ კანონს, რომელიც გაერთიანების ფუნდამენტური ღირებულებებისთვის „სისტემური საშიშროების“ შემცველი იქნება.



# რუსეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხარს უჭერს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სტალინის წარმატებების უკვდავყოფას

**რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტების 62 პროცენტი მხარს უჭერს ასეთ ადგილებში დაფების, ბიუსტებისა და სხვა ძეგლების დადგმას, რომლებიც ასახავს საბჭოთა ლიდერის, იოსებ სტალინის, წარმატებებს.**

გამოკითხვამ, ამასთანავე, წარმოაჩინა, რომ ადამიანების 65 პროცენტი წინააღმდეგია მისი დანაშაულების ამსახველი ძეგლების დადგმისა.

შეკითხვებს აქტიურად უპასუხეს ახალგაზრდებმა. ხანდაზმული ადამიანები წინააღმდეგი არიან საბჭოთა კავშირის ლიდერის მადიდებელი ძეგლების დადგმისა, — აღნიშნულია გამოკითხვის მასალებში.

აღნიშნული ცენტრის მიერ ადრე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა 40 პროცენტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რეპრესიები იძულებითი ღონისძიება იყო.




# დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს ბირთვულ ნარჩენებს დაუბრუნებს

**და ეს მოხდება ბრექსიტის კვალდაკვალ. „ფაიშენელ თაიმსი“ იუწყება, რომ ასეთი პერსპექტივის შესახებ დიდმა ბრიტანეთმა უკვე აცნობა ევროკავშირის ხელმძღვანელობას.**

აღნიშნულმა გამოცემამ მოიპოვა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ლონდონის პოზიცია ბირთვული პრობლემის მოწესრიგების თაობაზე ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის საკითხზე მოლაპარაკებისას. კერძოდ, ხაზგასმულია გაერთიანებული სამეფოს უფლება, დააბრუნოს რადიაქტიური მასალები მათი წარმოშობის ქვეყანაში.

„ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც შეხსენება, რომ პლუტონიუმით დატვირთული გემი შეიძლება აღმოჩნდეს ანტვერპენის ნავსადგურში, თუ ვერ შეთანხმდებიან“, — განაცხადა ატომური საკითხების ერთ-ერთმა ექსპერტმა.

1970-იანი წლებიდან დიდ ბრიტანეთს ბირთვული საწვავის ნარჩენები მთელი ევროპიდან გადასამუშავებლად შეჰქონდა ქალაქ სელაფილდის (კამბრიის საგრაფო) ქარხანაში. ამჟამად იქ დაგროვდა 126 ტონა ნარჩენები, რომლის მეხუთედი ჩატანილია გერმანიიდან, შვედეთიდან, იტალიიდან და ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან.

ბირთვული რეგულირების პრობლემა ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად განიხილებოდა ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის მოლაპარაკების ადრეულ ეტაპზევე. წლეულს, გაზაფხულზე, სამეფომ განაცხადა, რომ გადის „ევროატომიდან“, ანუ იმ სტრუქტურიდან, რომელიც განსაზღვრავს ევროპაში მშვიდობიანი მიზნებისთვის ატომური ტექნოლოგიების გამოყენებას. ამასთანავე, ბრიტანეთის ატომური მრეწველობის წამყვანი წარმომადგენლები მოითხოვენ, გამოინახოს „ევროატომში“ მათი წევრად დატოვების ვარიანტი. თუ ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება, ისინი პარტნიორებს სთავაზობენ, გახანგრძლივდეს გარდამავალი პერიოდის შესახებ შეთანხმების ვადა რეგულირების ახალი სისტემის შესაქმნელად.

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთის სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ჰნახავთ, როგორც ჩვენში. საკმაოა, ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრა, საკმაოა, ერთს რომელსამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა, შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა, რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოიწონოთ, — ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურავმა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზედ დაგაბერტყოთ. სამწუხაროა, ჭირთა-ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქადულობს თავის სამარცხვინო საქციელს“.

# წყევლაკრულვიანი საკითხავი




## «განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი და მართებული იყოს?!»

მასმედიის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი მიმართულებები, განვითარების ტენდენციები, საზოგადოებისა და პრესის დამოკიდებულება ის საკითხებია, რომლებზეც ფიქრი და რომელთა გაანალიზებაც ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ჯერ კიდევ 1882 წელს ილია ჭავჭავაძე პრესის თავისუფლების შესახებ წერდა, რომ გაზეთების მთავარი დანიშნულებაა, საზოგადოებას და თვით მთავრობასაც კი შეატყობინოს და გააცნოს ხალხის ჭირ-ვარამი, ავი და კარგი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც „საზოგადო საქმეებს შეეხება იმ ქვეყნისას“, რომელშიც ეს გაზეთი გამოდის. ამ დანიშნულების შესრულება ქვეყნის სასარგებლოდ მით უფრო შესაძლებელია, რაც უფრო ნაკლებად დამოკიდებული იქნება სხვადასხვა გარეშე მიზეზზე, რაც უფრო „მომეტებული ნება“ ექნება, რომ თამამად და მოურიდებლად ილაპარაკოს და წეროს სიმართლე, რეალურად და სწორად ასახოს მოვლენები; შეძლოს ისეთი სარწმუნო ფაქტების შერჩევა, რომლებიც ობიექტურად გამოხატავს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, და მიუკერძოებლად შეაფასოს ისინი.

გაზეთ „ივერიის“ გამოცემით ქართველი ერის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ქვემოთ მოყვანილ წერილში „საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის“ საუბარია იმაზე, რომ იმ ადამიანის სახელის ლაფში ამოსვრა, რომლის აზრს არ ეთანხმები, უკადრისი საქციელია; სამწუხაროდ, საზოგადო მოღვაწის შეცდომები ჩვენ სასიხარულო ამბად მიგვაჩნია, საწინაალმდეგო აზრის მქონე ადამიანის თავზეხელაღებულ ლანძღვას, კაცის სიხარულით ავად ხსენებას ვერსად ნახავთ, როგორც ჩვენშიო, — წუხდა ერის მამა. მის გულისტკივილს ისიც ამძაფრებს, რომ „ამ ჭუჭყის მსროლელს“ საზოგადოება ბარაქალას ვეუბნებითო. ილია თანამემამულეთ ურჩევს, მსგავს საქციელს მოერიდონ და სამართლიანი გულისწყრომით ზურგი შეაქციონ ავყიას, რადგან „ამას ითხოვს ჯანმრთელობა საზოგადოებისა, ამას ითხოვს ნამუსი და პატიოსნება ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკედ“.

ილიას აზრით, გულწრფელი გულშემატკივარი „მართებული გამკითხველია და არა შემაგინებელი და მლანძღავი“.ამიტომ პირველს, ანუ „მართებულ გამკითხველს“ მხარი უნდა დავუჭიროთ; მეორემ კი, შემაგინებელმა და მლანძღავმა, რომელიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და თავისი სამარცხვინო საქციელით თავიც კი მოსწონს, დაე „ილაწლაწოს, ვიდრე თვის საკუთარ ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობაო“.

ილიას ეპოქის „ივერიიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მკითხველი პარალელებს უკეთ გაავლებს, ადვილად გააანალიზებს და, შესაბამისად, უკეთ მიხვდება, რა გვეკადრება და რა არა, როგორ მოვიქცეთ, რა გზითა და ხერხით უნდა ვცადოთ პრობლემების მოგვარება, ქართული საქმის კეთება.

ილია სვამს რიტორიკულ კითხვას: „განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი და მართებული იყოს?! “

დღესაც აი ეს არის სწორედ ჩვენი წყევლაკრულვიანი საკითხავი.

# საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის

ჩვენი გაზეთი მეტად ჰფრთხილობს, რომ არა რომელიმე კაცი არ იყოს გაბიაბრუებული, გაუპატიურებული არც მართლად და არც ტყუილ-უბრალოდ. გაბიაბრუება, გაუპატიურება ვისიმე საკადრისი არ არის არც ცალკე კაცისაგან, არც ლიტერატურისაგან, რომელიც მართებულობის და რიგიანობის მაგალითი უნდა იყოს, და თუ ან ერთი აკლია, ან მეორე, ღირსი არ არის წმინდა სახელი ლიტერატურისა ატაროს. ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბრუებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა.

ჩვენ ამის თაობაზედ არაერთხელ გვქონია ლაპარაკი და ისიც დაგვიმატებია, რომ ეს **ჩვენი აზრი იმას კი არ ჰნიშნავს, ვითომც კაცი განკითხული არ უნდა იყოს, როცა განსაკითხავია. ხოლო განკითხვაც არის და განკითხვაც. განა განკითხვა ადამიანისა არ შეიძლება ზრდილობიანი, თავაზიანი და მართებული იყოს?!** დღეს ჭეშმარიტად განათლებული და გულით და გონებით განათლებისაგან გაფაქიზებული და განწმენდილი კაცი ითხოვს, რომ ადამიანურად, ადამიანის ღირსების ძირს დაუშვებლად ექცეოდნენ თვით ავაზაკსაც კი, რომელიც უკვე წამოსკუპებულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებულის სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის.

თუ ავაზაკს ესე უნდა მოვექცეთ, მაშ, როგორ უნდა მოვექცეთ ერთმანეთს, როცა ბედი და გარემოება შეგვახვედრებს ხოლმე ერთმანეთის განსაკითხავად? ცხადია, როგორც, მაგრამ, **ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში მართებულ, ზრდილობიან განკითხვისათვის ბევრს აკლია საფანელი.** ბევრს გული და გონება ამისათვის საკმაოდ განწმენდილი, გაწურთვნილი არა აქვს. ამიტომაც **ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთის სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ჰნახავთ, როგორც ჩვენში. საკმაოა, ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრა, საკმაოა, ერთს რომელსამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა, შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა, რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოიწონოთ, — ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურავმა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზედ დაგაბერტყოთ. სამწუხაროა, ჭირთა-ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქადულობს თავის სამარცხვინო საქციელს.**

დღე არ გადის, რომ ზოგიერთ ადგილებიდამ ესე ლაფში ამოვლებულ კალმით დაწერილი კორესპონდენციები არ მოგვდიოდეს. ზოგი ამასა ჰლანძღავს ასეთი და ასეთიაო და სამსახურიდამ უნდა გაგდებულ იქმნასო, ზოგი მეზობელზედ, ზოგი მტერზედ, ზოგი მოყვარეზედ. ყოველის სტრიქონიდამ გამოჰკრთის, რომ აქ ნაწყენი, გადამტერებული, დამუქრებული გული მოქმედებს, და არა გამკითხველი, გულდინჯი, ჭკუადამჯდარი, მართალი.

ამ ლაფის წვიმის ქვეშ, რა თქმა უნდა, უფრო იმისთანანი ჰდგანან, რომელთაც უბედური სვე შეხვედრიათ და გამოსულან გასარჯელად საზოგადო მოედანზედ საზოგადო სამსახურისათვის შეძლებისამებრ. იმისთანა უნუგეშო, უმწეო, ხელთაღუპყრობელი კაცი არ არის ჩვენში, როგორც საზოგადო საქმის მოღვაწე. როგორც გადატეხილს ლობეს, დიდი და პატარა მისდგომია და თელავს. **არავის სტკენს გულს ეს ასეთი უსამართლო ქცევა, არავის ეზიზღება. არავის ეთაკილება. ისე გაბიაბრუებული, ისე გაუპატიურებული არავინ არის ჩვენში, როგორც სვეუბედური მსახური საზოგადო საქმისა.** აქაოდა, მოედანზე სდგას და ნიშანში ადვილი ამოსაღებიაო, აღარაფერს ვერიდებით, ვასორსლებთ ტალახის გუნდას და პანტასავით თავზე ვაყრით.

უცდომელი არავინ არის და შესაძლოა საზოგადო მოღვაწე ბევრში სცდებოდეს, ბევრში არ ემარჯვოს, ბევრში იმედი გაუმტყუნდეს და ამასთანავე შესაძლოა, რომ გული, ნამუსი, სინიდისი წმინდა ჰქონდეს, სურვილი, განზრახვა, გულისნადები პატიოსნად ერჩოდეს. **არ-გამარჯვება, იმედთა გამტყუნება შეცდომილება საზოგადო მოღვაწისა ჩვენ სასიხარულო ამბად მიგვაჩნია, იმიტომ, რომ შემთხვევას გვაძლევს, ლანძღვის გუდას პირი მოვხსნათ და გაბიაბრუების, გაუპატიურების საწამლავში ამოვლებულ ისრით გული გავურღვიოთ, და რამდენად უფრო სატკენია, საწყენია ეს ამბავი მოღვაწისათვის, მით უფრო ბევრს ბარაქალას ვეუბნებით მსროლელსა.**

**ამ ჭუჭყს მოვერიდნეთ. კმარა ასეთი სამარცხვინო ქცევის შეწყნარება. სამართლიანის გულისწყრომით ზურგი შევაქციოთ სხვის გამაუპატიურებელს და ყოველივე ლანძღვა-თრევით გაბიაბრუებული ჩვენს საფარველ ქვეშ მივიღოთ და სარჩლი გავუწიოთ. ამას ითხოვს ჯანმრთელობა საზოგადოებისა, ამას ითხოვს ნამუსი და პატიოსნება ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკედ. გულტკივნეულად მომქმედი მართებული გამკითხველია და არა შემაგინებელი და მლანძღავი. პირველს მხარი მივსცეთ და მეორე კი... მეორემ კი ილაწლაწოს, ვიდრე თვის საკუთარ ლაფში სული შეუგუბდება და დაირჩობა.**

**ტფილისი,**
**29 დეკემბერი, 1887 წ.**

# უკვდავი სახელები
# დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე

**ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, რომლის ბაზაზე მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება. მისი ინიციატივით შეიქმნა ასევე თბილისის საეკლესიო მუზეუმი; საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერულ დარგებს (პალეოგრაფიას და სხვ.).**



დაიბადა 1826 წლის 26 ოქტომბერს საგარეჯოს რაიონში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ — მოსკოვის სასულიერო აკადემია (1950), 1851 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1852-1857 წლებში მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში. ამავე პერიოდში აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. 1858-1861 წლებში მსახურობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, თანამშრომლობდა კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიაში, თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს, ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას.

**ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1873), რომლის ბაზაზე მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება (**1881-1886). მან სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში (გურია, აჭარა, შავშეთი, არტანი, კლარჯეთი და სხვ.). მოგზაურობის შედეგი იყო ნაშრომები: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (1878), „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“ და სხვ.

1881 წელს მისი თაოსნობით თბილისში ჩატარდა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის კვლევის გაფართოებას. 1879 წელს ბაქრაძემ დ. ყიფიანთან და ი. ჭავჭავაძესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებაში. **1889 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა რევოლუციამდელ საქართველოში — თბილისის საეკლესიო მუზეუმი.**

ბაქრაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (ნაწ. 1, 1862), ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ (1885), ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის რუსული თარგმანი (1887) და სხვ. იგი წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზეც; 1889 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორია საქართველოსი“ (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე).

80-იან წლებში გამანადგურებელი პასუხი გასცა ქ. პატკანოვს, რომელიც ხელაღებით უარყოფდა „ქართლის ცხოვრების“, როგორც ისტორიის წყაროს, მნიშვნელობას. თავის ნაშრომებში ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ნივთიერ კულტურულ ძეგლებს, მათ აღწერას, სალექსიკონო მასალას. 1875 წელს ლექსიკონის სახით შეადგინა „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში“ (რუსულ ენაზე), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, სათანადო ბიბლიოგრაფიითურთ. **ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერულ დარგებს (პალეოგრაფია და სხვ.).**

გარდაიცვალა 1890 წლის 10 თებერვალს თბილისში, დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

**გამოკვლევებით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გაცილებით შორს გადიოდა, ვიდრე დღესაა, და ქართველებს ეკუთვნოდათ კავკასიონის ქედს გადაღმა არსებული მიწებიც.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული კულტურის ელემენტები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში

**ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში დღესაც შემონახულია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ტოპონიმები, ეთნოგრაფიული მასალა. ბალყარეთის, ყარაჩაისა და ყაბარდოს ციხე-დარბაზები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სამარხები, ლეგენდა-გადმოცემები, საგვარეულო ისტორიები, ფოლკლორი ამტკიცებს ქართული ეთნიკური ელემენტის უძველესი დროიდანვე არსებობას ამ მხარეებში.**



შოანის ეკლესია ყარაჩაი ჩერქეზეთში, X საუკუნე

**ეს ტერიტორიები ძველთაგანვე საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში იყო მოქცეული. ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კი ამ მხარეებზე გარკვეული გავლენა XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე შეინარჩუნეს სვანეთის სამთავრომ და ცალკეულმა ქართულმა თემებმა (მულახის თემი, მესტიის თემი...). ქვემოთ მოყვანილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები საგულისხმო ინფორმაციას იძლევა კავკასიონს გადაღმა არსებული ქართული სოფლების ტრადიციული ცხოვრების წესისა და მენტალობის შესახებ. მათმა მეცნიერულმა შესწავლამ დაადასტურა, რომ იგი ბევრი მახასიათებლით პირაქეთა საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) ყოფისა და კულტურის იდენტურია.**

გამოკვლევებით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გაცილებით შორს გადიოდა, ვიდრე დღესაა, და ქართველებს ეკუთვნოდათ კავკასიონის ქედს გადაღმა არსებული მიწებიც.

1834 წლამდე სვანეთის მთავრები აკონტროლებდნენ ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანი ნაწილის ზოგიერთ რაიონს, იქ ჯერ კიდევ ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა, არაქართველები კი ამ მიწებით სარგებლობისთვის გარკვეულ ბეგარას უხდიდნენ დადეშქელიანებს *(იხ., გელოვანი ა., 2003).*

ცნობილია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. **სტრაბონის** ცნობით, **„სვანები... ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“** *(ყაუხჩიშვილი თ., 1957);*

**ლეონტი მროველის** თანახმად, **„დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე... არს სუანეთი“** (ქართლის ცხოვრება, 1955) და ა. შ.

საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგალითად, დაღესტანში, ინგუშეთსა და ოსეთში ქართული კულტურის არაერთი ძეგლია; ბალყარეთის, ყარაჩაისა და ყაბარდოს მთიანეთში კი ისინი განსაკუთრებით ბევრია, ვინაიდან ქართველები (სვანები) XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ცხოვრობდნენ ამ მხარეებში და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი (სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ბალსზემო თემები) 1834-1835 წლებამდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას ყუბანისა და თერგის სათავეებში მდებარე ქართველთა ისტორიულ მიწებზე.

ბალყარელები და ყარაჩაელები ქართველების უშუალო მეზობლები მონღოლთა შემოსევების შემდგომი პერიოდიდან გამხდარან. ქართული ენის სვანურ დიალექტზე ბალყარელებს ამჟამადაც **სვირებს** უწოდებენ. ბალყარელები ყარაჩაელების მონათესავე თურქულენოვანი ხალხია და ისინი იალბუზის მთის აღმოსავლეთით სახლობენ. ქართულ წყაროებში ბალყარეთს **ბასიანს** უწოდებენ. ყარაჩაელები ქართველთა მეზობლად, ცენტრალური კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. იალბუზის მთა ყარაჩაის გამოყოფს ბალყარეთისა და ყაბარდოსაგან. ყარაჩაელებს სვანები **ყრჩოლს** ეძახიან, გადმოცემით ცნობილია, ყარჩა ყარაჩაელთა ერთ-ერთი წინამძღოლი ყოფილა, რომელსაც ეს ხალხი ოქროს ურდოდან თუ ყირიმიდან გამოუყვანია და ჯერ ბაქსანში, შემდეგ კი ზემო ყუბანში დაუსახლებია (თოფჩიშვილი რ., 2007). ბალყარელები და ყარაჩაელები ქართველებს (სვანებს) **ებზეს** სახელით იცნობენ, ყაბარდოელები კი **სონეს** გვიწოდებენ.

XVI საუკუნის რუსული წყაროებით, ქართველები ჯერ კიდევ ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილან განსახლებულნი.

XVII-XVIII საუკუნეებში კი თურქულენოვან ტომთა მოძალებისგან შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან დაცლილა ქართული ეთნოსისგან.

**ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობას ბალყარეთში, ყარაჩაისა და ყაბარდოში წერილობით წყაროებთან ერთად ადასტურებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალაც:** ტოპონიმიკა, მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სასაფლაოები...), ფოლკლორი, საგვარეულო ისტორიები, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული (სვანური) წარმომავლობის შესახებ და ა.შ.

**ყარაჩაისა და ბალყარეთის ერთი ნაწილის ტოპონიმები (სოფლების, უბნების, ციხეების, კოშკების, მთების, ხეობების, სათიბების... სახელები) აიხსნება მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენითა და მისი დიალექტებით.**

ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს თითქმის გამქრალია, მაგრამ წერილობითი წყაროები ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. **ა. ტურზოევის** ცნობით (1743 წ.), **ჩეგემის ერთ ხეობაში 300 „სონის“ ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ქვის ეკლესია... ეკლესიებზე გამოსახულია ჯვრები. „სონები“ დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ და ინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნებიც, რომლებსაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან**. მასალა თვალნათლივ ავლენს ჩეგემში ქართველების კომპაქტური დასახლებების არსებობას. ასევე, სვანეთის ეთნოგრაფიის ზერელე მცოდნეც კი ამ აღწერილობაში ადვილად ამოიცნობს ქართველ მთიელთა (სვანთა) რელიგიურობას, კრძალვას და მოწიწებას ყოველივე საკრალურისა და საეკლესიო ქონებისადმი.

**ი. გიულდენშტედტის** ცნობების მიხედვით (1772 წ.), **მთელი ბასიანელები ძველად იყვნენ ქვეშევრდომები საქართველოს მმართველებისა, რომელთა ხელქვეითაც ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები გახდნენ, რისი ნაშთები ახლაც არის შემონახული, ზოგი ძველი ეკლესიის, კვირა დღის უქმობის, დიდმარხვის შენახვისა და ღორის ხორცის ჭამის სახით.** მაგალითად, სამი საჟენი სიგრძის ქვის ეკლესია არის შემონახული ჩეგემის მხარეში ულუელთან (გიულდენშტედტი, 1964). გიულდენშტედტი სხვაგანაც აფიქსირებს ეკლესიას: „ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის **ალთიქესეკის კუთვნილი სოფელი ქეჩეია და მის მოპირდაპირე მხარეზე ქვის ძველი ეკლესია**“ (გიულდენშტედტი, 1964). თ. მიბჩუანის დაკვირვებით, რომელმაც საგულდაგულოდ შემოიარა და შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის არქეოლოგია, ტოპონიმიკა, ეთნოგრაფია, **გიულდენშტედტისეული ულუელ-ის მხარე ამჟამინდელი ელტიუბე უნდა იყოს (ზემო ჩეგემი), ხოლო ს. ქეჩეია — დღევანდელი აული ქართ-ჯურთია ან ლაბგიარის (ულუ-კამის) მიდამოებში, სადაც ძველთაგანვე ქართველები ცხოვრობდნენ.**

1834 წელს ეს ადგილები ი. შახოვსკიმ შემოიარა და ვერც მან უარყო **ჩეგემის** მხარეში ქართული კულტურის არსებობა.

1849 წელს **ა. ფირკოვიჩმა** ბეზინგში **ქართული ქრისტიანული ეკლესია** აღწერა. ტაძარი ქვით ნაგები და მოხატული ყოფილა. ფრესკებით შემკულ ტაძარზე ქართული წარწერებიც არსებულა. ამ წარწერებს **ლ. ლავროვიც** იხსენიებს. მისი აზრით, **წარწერები ქართველი მშენებლების შესრულებული უნდა იყოს**. ეს ეკლესია XX ს-ის 60-იან წლებში მთლიანად დაინგრა.

ლ. ლავროვის აზრით, მდ. ყუბანის სათავეებში ქართველები (სვანები) დასახლებულან XIV-XVII საუკუნეებში, ბაქსანის ხეობაში კი — 1640-1743 წლებში და მათ ეს მხარე მიუტოვებიათ ყაბარდოელთა შემოტევების შედეგად, XVIII საუკუნის ბოლოს.

არის მოსაზრება, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში ფლობდნენ სვანური კოშკების მსგავს ციხეებს, რომლებიც სვანების აგებული უნდა იყოს და ეს მიწებიც მათი კუთვნილია. აგრეთვე, სვანებისაა იქ მდებარე ქრისტიანული სასაფლაოები; ხოლო მდინარეების — კიჩკენიკულისა და ყუბანის შესართავთან გვიჩვენებენ უძველესი ხიდის ნანგრევებს, როგორც საბუთს იმისა, რომ აქ ძველად მდებარეობდა მათი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, რომელიც დარაჯობდა საზღვარს.

**ქართული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემშიც, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, რასაც გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირმ“. იგი წმ. მარიამს გულისხმობს.**

ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები დაფიქსირებულია ყარაჩაიშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია **შუანის მთაზე აღმართული ქრისტიანული ეკლესია** („შუანა“), **ქვედა არხიზის ეკლესია, თებერდის ხეობის სენტის მონასტერი.** ეს ძეგლები X, XI, XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება. ცხადია, ყველა ეკლესია ქართულია, რაც დასტურდება არქიტექტურული სტილით და ტოპონიმიკით.

ადგილობრივმა ფოლკლორმა და ტოპონიმიკამ შემოინახა ხსოვნა საქართველოს დიდი მეფის — წმიდა თამარის შესახებ. აქ შემონახულია ტოპონიმი „თამარის მთა“. მთაზე ციხე მდგარა („თამარის ციხე“), დღეს იგი ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. იქვე შეინიშნება სხვა ნაგებობების კვალიც. „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს — 30 სენაკი. **ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული, მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ**. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა, მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. **ხუმარშივე თ. მიბჩუანმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი ნახა, ე.წ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს, იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედლებზე არსებულ ჩაღრმავებებს.**

ბალყარეთსა და ყარაჩაიში შემონახულია **ქრისტიანული სასაფლაოები**. **ჯვრების გამოსახულებები, სასაფლაოების გარდა, ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც**. გარდა ამისა, **ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში შეინიშნება ქართული ქრისტიანული ტერმინების არსებობაც.** იქ ნაპოვნია ადრეული შუა საუკუნეების, X-XIII საუკუნეების, ასევე გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები. **ცნობილია, რომ ყაბარდოელთა რწმენა-წარმოდგენებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქრისტიან წმინდანებს: ღვთისმშობელს, ელია წინასწარმეტყველს, წმიდა გიორგის, რაც ამ მხარეზე ქართული კულტურის გავლენითაა განპირობებული.**

მკვლევართა დაკვირვებით, ბალყარეთსა და ყარაჩაიში გამოვლენილია ქართული ტიპის 40-მდე საფორტიფიკაციო ნაგებობა: უამრავი ციხე-კოშკი, რომლებიც, გადმოცემების თანახმად, ქართველთა აგებულადაა მიჩნეული. მაგალითად, ყარაჩაიში არის **ხუმარის ნაქალაქარი** (X-XI სს.), **შოანა, თამარის ციხე, გოშაიხ ყალა — გოშვანთა ციხე; ბასიათშა ყალა — ჟორჟოლიანების კოშკი; ბალყარეთში: ებზე ყალა, ბადიილშა ყალა — გოშთელიანების კოშკი. ცნობილია, ბეზინგი ჩერეკის მარჯვენა მხარეს იდგა ციხე-კომპლექსი „ჟაბოლარის ციხე“.** იგი ერთ სვანური ტიპის კოშკს და სამ ქვის სახლს მოიცავდა. ციხე დადეშქელიანების განშტოების — ოთაროვების კუთვნილი იყო.

ულელტეხილებთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა, რომელსაც შედარებით აქტიური მიმოსვლა ჰქონდა ბალყარეთთან და ყარაჩაისთან (მესტია, მულახი, ბეჩო, ნაკრა...) საბჭოთა კავშირის დაშლამდე ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა გადაღმა მხარეს მცხოვრებ ყარაჩაელთა და ბალყართა იმ ნაწილთან, რომელიც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა; ამავე დროს, **არსებობდა ჩრდილოკავკასიელ და ქართველ მთიელთა ძმადგაფიცვის ჩვეულებაც.** ამას ხელს უწყობდა ხშირი სტუმრობა ერთმანეთთან, ერთმანეთის ენების ცოდნა. ბევრმა ხანდაზმულმა სვანმა იცოდა ბალყარული და ყარაჩაული, ასევე ჩრდილოეთ კავკასიელებს ესმოდათ სვანური.

ქართველ მთიელთა მენტალობაში დღემდეა შემონახული ტკივილიანი მოგონება დაკარგული ქართული მიწების შესახებ. მითუმეტეს აქტუალური იქნებოდა ეს პრობლემა XIX საუკუნეში. პირიქითა ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული პროტესტის შესახებ მოთხრობილია 1872 წლის გაზეთ „დროებაში“: მულახის თემის მაცხოვრის ეკლესიას საეკლესიო მიწა ჰქონია ბალყარეთში.

**თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (შემდგომ ბალყარეთად წოდებულ მხარეში) მცხოვრებმა ქართველებმა შესწირეს მულახის „მაცხოვარს“. მოგვიანებით ქართველთა ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოვიდა, ნაწილი კი ასიმილირდა ბალყარებთან, მაგრამ დარჩა ხსოვნა საეკლესიო მიწის არსებობის შესახებ. ყოველივე საეკლესიო ქონება კი, იქნება ეს რელიგიური სიწმინდე, სარიტუალო ჭურჭელი, საეკლესიო მიწა და სხვ., ქართველ მთიელთა განსაკუთრებული კრძალვისა და საგულდაგულო დაცვის ობიექტია.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ძალით, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, საქართველოს კონსტიტუციას, არა ხელისუფლება, არამედ საქართველოს მოქალაქენი აცხადებენ, ამდენად საკონსტიტუციო კომისია ვალდებულია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თერთმეტივე მუხლი რამდენიმე პრინციპად ჩამოაყალიბოს და კონსტიტუციის პროექტში შეიტანოს, ხოლო ორგანულ კანონში ისინი უკლებლივ გადაიტანოს.**

# დაუსაქმებლის უფლება შრომაზე და დასაქმებულის შრომითი უფლებების კონსტიტუციურად ცნობა აუცილებელია

**მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესება და დაცვა მხოლოდ ხელისუფლების მოვალეობაა და, შესაბამისად, მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესებისა და დაცვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ხალხს აქვს, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის ძალით, „სახელმწიფოს ხელისუფლების არსებობის წყარო არის ხალხი“.**

სახელდობრ, ხალხს ენიჭება უფლება, სახელმწიფოს ხელისუფლებას მოსთხოვოს, კონსტიტუციის მეორე თავში ცალკე მუხლად შეიტანოს:

1. უფლება დასაქმებაზე; 2. უფლება 8-საათიან სამუშაო დღეზე; 3. ექსპლოატაციისგან თავისუფლება; 4. უფლება დახარჯული შრომის ადეკვატურ ანაზღაურებაზე; 5. უფლება პენსიის საარსებო მინიმუმთან სრულ შესაბამისობაზე, რადგან საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ძალით, „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, ... საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“.

**რა არის, საზოგადოდ, შრომის უფლება?**

შრომის უფლება მოიცავს უფლებას დასაქმებაზე, დასაქმებულის უფლებას მის მიერ დახარჯული შრომის ხარისხისა და რაოდენობის ადეკვატურ ანაზღაურებაზე, შრომის სათანადო პირობების უზრუნველყოფასა და შრომითი უფლებების სასამართლო წესით დაცულობას.

ეს არის შრომის უფლების ანბანი და ეს ანბანი დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ორი მუხლით არის წარმოდგენილი, ხოლო კონსტიტუციის პროექტი მხოლოდ ხუთი(!) სიტყვით კმაყოფილდება.

დღეს მოქმედი კონსტიტუცის **30-ე მუხლით:**

1. შრომა თავისუფალია.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

**მუხლი 32:** სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში.

ისმის კითხვა: **თუ სახელმწიფომ ხელი არ შუწყო უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, მაშინ რა ქნას მოქალაქემ?** ვერაფერს იზამს, რადგან მას სასამართლო წესით თავის დაცვის უფლება, ანუ სარჩელის უფლება არ აქვს. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ უფლება სარჩელის უფლებამოსილების გარეშე არ არსებობს. ეს იურიდიული ანბანია, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის განათლებით იურისტებმა, მათ შორის, პარლამენტში მყოფმა ჩემმა ყოფილმა რამდენიმე სტუდენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე გაიარეს.

დღეს მოქმედ კონსტიტუციაში შრომის უფლების სიღარიბე საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ მოქმედ პროექტში ნულამდე არის დაყვანილი. სახელდობრ, საკონსტიტუციო ცვლილებების მოქმედ პროექტში ნორმა: „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში“, ადამიანის უფლებათა თავიდან ზოგად დებულებებში მიიჩქმალა, ხოლო ნორმა: „შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით“ — კონსტიტუციიდან საერთოდ გაქრა. კონსტიტუციის პროექტის ავტორები დაკმაყოფილდნენ ძალზე ზოგადი ჩანაწერით: „შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით“.

ისმის კითხვა: **თუ შრომით უფლებებს ორგანული კანონი სათანადოდ არ დაიცავს, მაშინ რა ქნას მოქალაქემ?** ამჯერადაც ვერაფერს იზამს, რადგან მას გასაჩივრების უფლება არ აქვს. არადა, გასაჩივრების უფლების გარეშე უფლება არ არსებობს. ესეც იურიდიული ანბანია, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის განათლებით იურისტებმა, მათ შორის პარლამენტში მყოფმა ჩემმა, ყოფილმა რამდენიმე სტუდენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე გაიარეს.

სად არის გამოსავალი?

**ჯერ ერთი:** თუ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1 პუნქტის ძალით, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“, რა უფლება აქვს ხელისუფლებას, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და მის დაუკითხავად შრომაზე უფლება და შრომის უფლებები საქართველოს კონსტიტუციაში თითქმის ნულამდე დაიყვანოს ან, საერთოდ, არ გაითვალისწინოს?

**მეორე:** საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ძალით, „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, ...საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“.

რას ნიშნავს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა, თუ არა იმას, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია არის საქართველოს კონსტიტუციის სამართლებრივი წყარო. ეს არის იურიდიული ანბანი, რომელიც პროექტში შრომაზე უფლებისა და შრომის უფლებების მიმართ სრულიად უგულველყოფილია.

არადა, ფაქტია: შრომითი დასაქმებისა და შრომითი უფლების დაცვის მიმართულებით საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია 11 მუხლს შეიცავს, მაშინ, როდესაც კონსტიტუციის პროექტი ზოგადი ფრაზით კმაყოფილდება: „შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით“. ეს არის და ეს დღეს — 21-ე საუკუნეში.

და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია შრომითი დასაქმებისა და დასაქმებულის შრომითი უფლების დაცვის ვალდებულებების ფართო სპექტრს მოიცავს:




**ნორმა: «შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით» — კონსტიტუციიდან საერთოდ გაქრა. კონსტიტუციის პროექტის ავტორები დაკმაყოფილდნენ ძალზე ზოგადი ჩანაწერით: «შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით»**

**„მუხლი 113:**
სახელმწიფო ზრუნავს თავისი მოქალაქეების ღირსეული არსებობისთვის.

**მუხლი 116:**
სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავია სოფლის მეურნეობის აყვავება. მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

**მუხლი 117:**
შრომა საფუძველია ხელისუფლების არსებობისა და მისი უზრუნველყოფა მთავრობის განსაკუთრებული მოვალეობაა.

**მუხლი 118:**
კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმმართველობას ევალება, დააარსოს შრომის ბირჟა, საშუამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

**მუხლი 119:**
უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

**მუხლი 120:**
მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არ აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე, დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

**მუხლი 121:**
დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავისი ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შედგეს დამქირავებელზე შეწერილი საგანგებო გადასახადისგან.

**მუხლი 123:**
ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე, კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს.

**მუხლი 124:**
წარმოებაში 16 წლამდე ყმაწვილის შრომა აკრძალულია: 16–18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და, საზოგადოდ, ქალთათვის ღამით მუშაობა საერთოდ აკრძალულია.

**მუხლი 125:**
მთავრობის საზრუნავი საგანია, განსაზღვროს ხელფასის მინიმუმი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში. არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებული უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

**მუხლი 127:**
შრომის დამცველი კანონების დარღვევისთვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით“.

აი ჭეშმარიტად ხალხზე ორიენტირებული დემოკრატიული კონსტიტუციის ნიმუში, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს.

ზემოაღნიშნულ მუხლთაგან, აბა, ერთი მაინც დამისახელეთ, რომელიც კონსტიტუციის პროექტში არის ასახული?

სამწუხაროდ, არც ერთი!

სხვას თავი რომ დავანებოთ, არათუ სისხლის სამართლის წესით, საერთოდ, სასამართლო წესით შრომაზე უფლებისა და შრომის დამცველი კანონების დარღვევისთვის დღეს პასუხს პრაქტიკულად არავინ აგებს.

აშკარაა, რომ მოქალაქის სოციალური უფლებების მიმართ, საქართველოს 1921 წლის დემოკრატიულ კონსტიტუციასთან შედარებით, საქართველოს კონსტიტუციის დღეს არსებული პროექტი აშკარად არადემოკhრატიულია, ანუ „დემოსის“ საწინააღმდეგოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო კომისია ვალდებულია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მითითებული მუხლები რამდენიმე პრინციპად ჩამოაყალიბოს და კონსტიტუციის პროექტში შეიტანოს, ხოლო ორგანულ კანონში უკლებლივ ყველა გადაიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1 პუნქტის ხელყოფას, რომლის ძალით, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“.

მაგრამ შეიძლება დაისვას კითხვა: **კი მაგრამ, ისეთი რა იურიდიული ძალა აქვს კონსტიტუციის პრეამბულას, რომ საკონსტიტუციო კომისია ვალდებულია, მას დაემორჩილოს?**

დასავლეთის, სულ ცოტა, სამსაუკუნოვანი სამართლის ისტორიაში კონსტიტუციის სტრუქტურისა და მთლიანად პოზიტიური სამართლის სისტემის შემდეგი განსაზღვრება ჩამოყალიბდა:

კონსტიტუცია არის ზემოდან ქვემოთ ვერტიკალურად განფენილი კონსტიტუციური ნორმების საფეხუროვანი იერარქია, რომლის მწვერვალი არის კონსტიტუციის პრეამბულა. კონსტიტუციის პრეამბულის შემდეგ ყოველი ნორმა ზემდგომ ნორმას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

კონსტიტუციის, როგორც ძირითადი კანონის, შემდეგ მოდის მეორე ნორმატიული საფეხური. ამ საფეხურს წარმოადგენს კონსიტიტუციური კანონები. მას მოჰყვება მასზე უფრო განტოტილი ნორმატიული საფეხური. ამ საფეხურს წარმოადგენს ორგანული კანონები, შემდეგ უფრო მეტად და მეტად განტოტილი კანონები კოდექსების სახით და მათ დაქვემდებარებული ქვეკანონური ნორმატიული აქტები, რომელთაც მიმდინარე კანონმდებლობას უწოდებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკონსტიტუციო კომისიის განათლებით იურისტებმა, მათ შორის, პარლამენტში მყოფმა ჩემმა ყოფილმა რამდენიმე სტუდენტმა, იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე გაიარეს.

საბოლოოდ ყალიბდება ერ-სახელმწიფოს ვერტიკალურად განფენილი საფეხუროვანი სამართლის სისტემა, რომელსაც ხატოვანად ინდიელთა პირამიდას ადარებენ.

სხვათა შორის, კონსტიტუციის ასეთი სტრუქტურა და პოზიტიური სამართლის ასეთი სისტემა მიჩნეულია, ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტიად. ასეთი სტრუქტურა და სისტემა დღემდე წარმატებით მუშაობს დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში.

სამართლის ამ თეორიული სისტემის დამფუძნებელია **ჰანს კელზენი**, რომელიც 1998 წელს მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერ-იურისტებმა მისი დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავ კონფერენციაზე სამართლის მეცნიერების გიგანტად ცნეს. სწორედ ჰანს კელზენი იყო ავსტრიის პირველი კონსტიტუციის შემქმნელი და მსოფლიოში პირველი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯომარე.

აქედან მოყოლებული დასავლეთში სამეცნიერო დონეზე აღიარებულია, რომ **ერ-სახელმწიფოს ვერტიკალურად განფენილი საფეხუროვანი სამართლის სისტემის გარეშე ქვეყანაში ანარქია სუფევს**.

## რეზიუმე

რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ძალით, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, საქართველოს კონსტიტუციას, არა ხელისუფლება, არამედ საქართველოს მოქალაქენი აცხადებენ, ამდენად საკონსტიტუციო კომისია ვალდებულია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თერთმეტივე მუხლი რამდენიმე პრინციპად ჩამოაყალიბოს და კონსტიტუციის პროექტში შეიტანოს, ხოლო ორგანულ კანონში ისინი უკლებლივ გადაიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ 1921 წლის კონსტიტუციის საპირწონე მკვეთრად ანტიდემოკრატიულ, ანუ „დემოსის“ საწინააღმდეგო კონსტიტუციას, რომლის ნიშნებიც დღეს — 21-ე საუკუნეში აშკარად იკვეთება.

პატივისცემით,

**ბიძინა სავანელი**,
**სამართლის დოქტორი,**
**საკონსტიტუციო კომისიის**
**ყოფილი წევრი**

ქერი მაღალხარისხიანი კონცენტრირებული საკვებია და, ამ მხრივ, ჯობნის სიმინდს. საქართველოში ითესება თითქმის ყველა კლიმატურ ზონაში. მისი მრავალმხრივი გამოყენება განპირობებულია მარცვლის ფერმენტული და ქიმიური შემცველობით, განსაკუთრებით — დიასტაზით. მარცვლიდან იღებენ ფქვილს, ბურღულს. ნამჯა შეუცვლელი საკვებია მეცხოველეობაში. ხელს უწყობს ხორცის ხარისხის ამაღლებას და კვერცხის დადებას. ქერი გამოიყენება მედიცინაშიც: დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, კარგი საშუალებაა თირკმლების დაავადების წინააღმდეგ.

**ფერმერის სკოლა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# ქერის სელექცია და მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

**ქერი მსოფლიოს უძველესი კულტურაა, 7000 წლის წინანდელი. მოიცავს 50 სახეობას და ზღვის დონიდან 5000 მეტრამდე ადგილებზეა გავრცელებული. ქერის წარმოშობის კერად საქართველო და, საერთოდ, ამიერკავკასია ითვლება.**


ჯვარი


მცხეთა


ალავერდი


ზეს-5

ქერი მაღალხარისხიანი კონცენტრირებული საკვებია და, ამ მხრივ, ჯობნის სიმინდს. მთიანი რაიონებისთვის ქერი წარმოადგენს სასურსათო პროდუქტს, მას იყენებენ, როგორც პურს. საქართველოში ითესება თითქმის ყველა კლიმატურ ზონაში. მისი მრავალმხრივი გამოყენება განპირობებულია მარცვლის ფერმენტული და ქიმიური შემცველობით, განსაკუთრებით — დიასტაზით. მარცვლიდან იღებენ ფქვილს, ბურღულს. ნამჯა შეუცვლელი საკვებია მეცხოველეობაში. ხელს უწყობს ხორცის ხარისხის ამაღლებასა და კვერცხის დადებას. ქერი გამოიყენება მედიცინაშიც: დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, კარგი საშუალებაა თირკმლების დაავადების წინააღმდეგ. რაც მთავარია, **ქერი უძველესი დროიდან გამოიყენება ლუდის წარმოებაში. მისგან ამზადებენ, აგრეთვე, ყავის კომპონენტებს. სალუდედ კარგია ქერის ისეთი ჯიშები, რომელთა მარცვალი დიდი რაოდენობით სახამებელს და მცირე რაოდენობით ცილას შეიცავს. სალუდე ქერის ჯიშებში ცილა 9-დან 12%-მდეა, სახამებელი — 60-70%, ექსტრაქტი — 75%.** ქერის მარცვალი არის მინისებური და ფქვილისებური. მინისებურება მიგვითითებს ცილების მაღალ შემცველობაზე. ფქვილისებური მარცვალი ადვილად ექვემდებარება დაალაოების პროცესს და გვაძლევს დამაკმაყოფილებელი ხარისხის ალაოს. ქერის მოსავლიანობისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი ფაქტორია ჯიში და თესლი. ამ ორი ფაქტორის მიღწევებით ამერიკისა და ევროპის მოწინავე ქვეყნებმა ქერის მოსავლიანობა 58%-ით გაზარდეს. საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში ქერი ითესებოდა 50-ათას ჰექტარზე და ჰექტარზე საშუალო მოსავალი შეადგენდა 24 ცენტნერს. ამჟამად ქერი ითესება 20 000 ჰა და საშუალო მოსავალი შეადგენს 11 ცენტნერს ჰექტარზე. დაბალმოსავლიანობის მიზეზი არარეკომენდებული ჯიშების უხარისხო თესლით თესვა და მოვლა-მოყვანის რეკომენდებული ტექნოლოგიის დაუცველობაა.

## ქერის სელექციის შედეგები საქართველოში

ქერის სელექცია საქართველოში გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ბოტანიკის ინსტიტუტის სელექციის განყოფილებაში და მცხეთის სასელექციო სადგურში. სელექციის პირველ ეტაპზე ჩატარდა ქვეყანაში არსებული ქერის ადგილობრივი ხალხური სელექციით მიღებული ჯიშების შეგროვება, შესწავლა და უკეთესების დანერგვა წარმოებაში.

საქართველოში უხსოვარი დროიდან არის ცნობილი ქერის ბიოლოგიური ჯგუფის სამი ჯიში: **საგაზაფხულო, საშემოდგომო და ორთესელა. საგაზაფხულოს მიეკუთვნება** ქერის ის ჯიშები, რომლებიც მხოლოდ გაზაფხულზე თესვისას ვითარდება და იძლევა მოსავალს. ქერის **საშემოდგომო ჯიშები** გაზაფხულზე თესვისას მართალია აღმოცენდება, მაგრამ არ აღერდება და არ თავთავდება. ამ ჯგუფის ჯიშები მხოლოდ შემოდგომაზე თესვისას იძლევა მოსავალს. **ორთესელა** ჯიშები, ნორმალურად იზრდება, ვითარდება და იძლევა მოსავალს, როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომაზე თესვისას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ექსტრემალურ პირობებში, როდესაც საშემოდგომო ქერის ნათესების დიდი მასივების განადგურება ემუქრება. ყოფილა შემთხვევა, როცა ბუნებრივი ფაქტორების ან მავნებელ-დაავადებების გავლენით განადგურებულა ათასობით ჰექტარი ნათესი (შემოდგომის ადრიანი წაყინვები, ხანგრძლივი წვიმები, ქარი და სხვ.). ამ შემთხვევაში გამართლებულია ქერის შედარებით საადრეო ჯიშების გამოყენება.

**სელექციის პირველ ეტაპზე** გამორჩევის გზით მიღებული და დანერგილი იქნა წარმოებაში საშემოდგომო ქერის ორი ჯიში: პალიდუმ 196 და ტრები; საგაზაფხულო ქერის სამი ჯიში — ნუტანს 32-28, კოლხიკუმ 10-20 და ჯავახეთის ახალთესლი.

**სელექციის მეორე ეტაპზე** ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაციით და ამ პროცესში მსოფლიოს მასალის გამოყენებით გამოყვანილი და დანერგილი იქნა **საშემოდგომო ქერის** სამი ჯიში: ყაზბეგი, ძველთესლი და ზეს 5; **საგაზაფხულო ქერის** 2 ჯიში – ახალთესლი და დვორანი; **ორთესელა**, ფაკულტატური ბუნების 4 ჯიში — თეთნულდი, ჯვარი, მცხეთა და ალავერდი. დასახელებული ჯიშები შესწავლილია ზონების მიხედვით ჯიშთა დაცვისა და გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის მიერ და რეკომენდებულია დასანერგავად. აღნიშნულ ჯიშებს შეუძლია უზრუნველყოს ჩვენს ქვეყანაში, როგორც მოსავლიანობის, ასევე ხარისხის საგრძნობლად გადიდება.

## საქართველოში დარაიონებულია ქერის შემდეგი ჯიშები:

### 1. საშემოდგომო ჯიშები

*** ყაზბეგი-1.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში მუტაგენეზის მეთოდით ადგილობრივი ჯიშიდან. მცენარის სიმაღლე 80-98 სმ-ია. ხასიათდება მოკლე და მტკიცე ღეროთი. ჩაწოლის მიმართ გამძლეა, თავთავი ფხიანია, კომპაქტური, არის ადრეული, სავეგეტაციო პერიოდი — 217 დღე. ზამთარგამძლე და გვალვაგამძლეა. მარცვლის ჩაცვენა არ ახასიათებს. ათასი მარცვლის მასა 36,4 გრამია. რეკომენდებულია ქართლის სარწყავი ზონებისთვის.

*** ძველთესლი.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ მასობრივი გამორჩევით. ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. არის ექვსმწკრივიანი, თავთავი მოჩალისფრო ყვითელია, მარცვალი — დაკბილული, ოვალური ფორმის, 1000 მარცვლის მასა 40-50 გრამია. არის ზამთარგამძლე, არ წვება, ახასიათებს ძლიერი პროდუქტიული ბარტყობა.

*** პალიდუმ 30-1.** გამოყვანილია აზერბაიჯანის სასელექციო სადგურის მიერ. თავთავი ექვსმწკრივიანია, ფხიანი, ჩალისფერ-ყვითელი, საკმაოდ მკვრივი, ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. მარცვალი დიდი ზომისაა, 1000 მარცვლის მასა 36-40 გრამია; ღერო — საშუალო სიმაღლის, დაავადებებისა და მავნებლის მიმართ შედარებით გამძლეა. რეკომენდებულია საქართველოს სარწყავი და შემაღლებული ზონებისთვის.

*** ტრები.** გამოყვანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავთავი მრავალმწკრივიანია, ფხიანი, ჩალისფერ-ყვითელი, ფხა გრძელი და უხეში, ძლიერ დაკბილული. ის ძნელად სცილდება თავთუნს, ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. 1000 მარცვლის მასა 33-38 გრამია. ღერო საშუალო სიმაღლისაა. არის საშუალო საადრეო, გვალვაგამძლე, არ წვება, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ არის იმუნური. რეკომენდებულია საქართველოს სარწყავი რაიონებისთვის.

*** ზეს-5.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში გამა დასხივებით ჯიშ „ყაზბეგიდან“. არის მრავალმწკრივიანი, მიეკუთვნება სახესხვაობა ნუტანსს. მცენარის სიმაღლე 100-110 სმ-ია. 1000 მარცვლის მასა 40-43 გრამია. თავთავი მოყვითალო ნარინჯისფერია, მკვრივი, მარცვალი ელიფსისებური ფორმის, სავეგეტაციო პერიოდი 201 დღეა. არის დაავადებებისადმი და ჩაწოლისადმი გამძლე. ითესება მხოლოდ შემოდგომაზე. მისი საშუალო საჰექტრო მოსავალი 57 ცენტნერია.

### 2. საგაზაფხულო ჯიშები

* ნუტანსი 032-28. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. თავთავი ორმწკრივიანი, ღია ყვითელი ფერისაა. ეკუთვნის სახესხვაობა ნუტანსს. ხასიათდება მაღალი და მტკიცე ღეროთი. 1000 მარცვლის მასა 39-40 გრამია. საშუალო მოსავალი ჰექტარზე 24 ცენტნერს შეადგენს. დარაიონებულია საქართველოს, როგორც სარწყავი, ისე ურწყავი ზონებისთვის.

*** კოლხიკუმი 10-30**. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის საგაზაფხულო, კარგად ბარტყობს, ღერო საშუალო სიმაღლისაა, გამძლეა დაავადებებისადმი. რეკომენდებულია საქართველოს ურწყავი რაიონებისთვის.

*** ჯავახეთის ახალთესლი.** არის ადგილობრივი ჯიში, გაუმჯობესებული მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ. ეკუთვნის სახესხვაობა ნუტანსს. თავთავი ორ მწკრივიანია, ჩალისფერ-ყვითელი. მთიანი ზონის ფორმაა, ადრეული, გაზაფხულის ყინვებისადმი გამძლეა, დაბალტანიანი და არ წვება. მთიან ზონაში მისი საჰექტარო მოსავალი შედაგენს 21 ცენტნერს. 1000 მარცვლის მასა მაღალია და შეადგენს 45 გრამს. დარაიონებულია საქართველოს მთიანი რაიონებისთვის.

### 3. ქერის ორთესელა, ანუ ფაკულტატური ჯიშები.

* თეთნულდი. გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში. არის ბიოლოგიურად ორთესელა, შეიძლება დაითესოს როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე. თავთავი ორრიგიანია, არ წვება, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დაავადებამავნებლებისადმი გამძლეობით. შემოდგომაზე თესვის დროს მისი პოტენციალური მოსავალი 6-7 ტონაა ჰექტარზე, გაზაფხულზე თესვისას — 4-5 ტონა ჰექტარზე. რეკომენდებულია ქერის მთესველი ყველა რაიონისთვის.

*** ჯვარი.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში საფრანგეთიდან მიღებული კოლექციის მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის ორთესელა, შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც შემოდგომით, ასევე გაზაფხულზე თესვის პირობებში. არის ორრიგიანი, დაავადება-მავნებლების, ასევე, ჩაწოლის მიმართ გამძლე, მრავალპროდუქტიული, მისი პოტენციალური მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 4,5-7 ტონას შეადგენს. 1000 მარცვლის მასა 40-45 გრამია. დარაიონებულია საქართველოში ქერის მთესველი ყველა რაიონისთვის.

*** ალავერდი.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში მრავალჯერადი მასიური გამორჩევით კოლექციის ნიმუშებიდან. არის ბიოლოგიურად ორთესელა, შეიძლება დაითესოს, როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე. თავთავი ორრიგიანია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დაავადება-მავნებლებისადმი გამძლეობით, არ წვება. შემოდგომაზე თესვის დროს მისი საშუალო მოსავალი 4,5 ტონაა ჰექტარზე. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 44 გრამს. ბარტყობა 2,4. მცენარის სიმაღლე 90-100 სმ-ია. თავთავი — სწორი, ჩალისფერ-მოყვითალო, სიგრძით 10 სმ, გამოიყენება ლუდის წარმოებაში. მარცვალში ცილის შემცველობა 10,5 %-ია. ექვემდებარება მექანიზირებულ აღებას. მისი გავრცელების არეალია ქერის მთესველი ყველა რაიონი.

*** მცხეთა.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში უკრაინიდან მიღებული კოლექციიდან მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის ფაკულტატური ბუნების, ითესება როგორც შემოდგომაზე, აგრეთვე, გაზაფხულზე. თავთავი ორრიგიანია, მაღალმოსავლიანი, მისი პოტენციური მოსავალი შეადგენს: შემოდგომაზე თესვისას — 6-6,5 ტონას და გაზაფხულზე თესვისას — 4-4,5 ტონას ჰექტარზე. მცენარის საშუალო სიმაღლე 95-100 სმ-ია. მცენარე გამძლეა, როგორც დაავადება-მავნებლების, ასევე ჩაწოლის მიმართ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ოთარ ლიპარტელიანი**,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ზეინაბ სარალიძე**,
**გოჩა წერეთელი**,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები

საქართველო



# გრიგოლ ონიანი 81 წლისაა

25 ივლისს 81 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველს, სოფლის მეურნეობის სფეროს თვალსაჩინო მუშაკსა და საზოგადო მოღვაწეს, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, პუბლიცისტს, მრავალი წერილის ავტორს სტალინის მოღვაწეობაზე, გასული საუკუნის საქართველოსა და, საზოგადოდ, სსრკ-ის ცხოვრებაზე, „ვეფხისტყაოსნის" სვანურად მთარგმნელს, ბატონ გრიგოლ ონიანს.

გულითადად ვულოცავთ ბატონ გრიგოლს იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია**




## თურქეთის მედია:

# გამჟღავნებულია აშშ-ის საიდუმლო ბაზები სირიაში

**ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს ქურთისტანის მუშათა პარტია, ფარულად მოქმედებენ ამერიკის სპეცრაზმი და მედესანტეები. ანკარა მათ ტერორისტულ დაჯგუფებებს მიაკუთვნებს.**

სოფელ სეფტში, რომელიც ქობანის მახლობლადაა, ამერიკელებმა განალაგეს ოპერაციების მართვის ცენტრი ასობით სამხედროს თავშესაფრით, ავტოპარკითა და ავიატრანსპორტით. ცენტრი გამოყენებულია „ისლამური სახელმწიფოს" მოთარეშეების საუბრების ფარული მოსმენისთვის, სირიაში საერთაშორისო კოალიციის მოქმედების კოორდინაციისა და ქურთების იმ რაზმების იარაღით მოსამარაგებლად, რომლებიც 320 კვადრატული კილომეტრის ფართობის მქონე ტერიტორიას აკონტროლებენ.

სირიაში ქურთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე განლაგებულია კიდევ შვიდი მსგავსი ცენტრი და პლიუს ორი სამხედრო ბაზა.

ივნისის განმავლობაში და 9 ივლისამდე ამერიკელებმა ქურთებს გადასცეს 434 სატვირთო ავტომანქანა, რომლებიც იარაღით იყო დატვირთული: 12 ათასი ავტომატით, 3500 მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით, 235 ნაღმსარტყორცნით, 6000 ყუმბარმტყორცნით, 100 სნაიპერის შაშხანით და სხვ.

ანკარა შეშფოთებულია აშშ-ის საიდუმლო მოქმედებით თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების ზონაში. იმის გამო, რომ ამერიკელები ნებას არ რთავენ სირიის ოპოზიციას, შეუტიოს ქურთებს, ანკარა ეჭვობს, რომ ვაშინგტონს სურს, განახორციელოს თავისი ინტერესები მოკავშირე თურქეთის ინტერესების იგნორირების ხარჯზე.



# ლტოლვილებისა და პოლიციელების შეტაკება ლესბოსზე

**საბერძნეთის კუნძულ ლესბოსზე ლტოლვილების ბანაკში მცხოვრები მიგრანტები სამართალდამცველებს შეეტაკნენ.**

დაპირისპირების ვიდეოჩანაწერი Ruptly-იმ გამოაქვეყნა. აფრიკიდან ჩამოსულების საპროტესტო გამოსვლების მიზეზი შეიქნა თავშესაფრის მიცემის შესახებ თხოვნის დაკმაყოფილების გაუმართლებელი გაჭიანურება. მიგრანტებმა ჩაამსხვრიეს ავტომანქანების ფანჯრები და დალეწეს ლტოლვილების დროებითი განთავსების ცენტრის ავეჯი. არეულობის დასამშვიდებლად მისულ პოლიციელებს ბრბომ ქვები დაუშინა.



# ნასა შეცდა

**ნასა (აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო) გვაფრთხილებდა, რომ 16 ივლისს დედამიწას თავს დაატყდებოდა გლობალური კატაკლიზმები. მზეზე მოხდებოდა გიგანტური კორონალური გამოფრქვევა, რომელიც გამოიწვევდა არა მხოლოდ მაგნიტურ ქარიშხალს და მეტეოდამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობის პრობლემების გამწვავებას, არამედ ტექნოლოგიურ ავარიებსაც: ელექტროენერგიის გამორთვებს, ძაბვის ნახტომისებურ ვარდნებს და ტრანსფორმატორების მუშაობის დარღვევას.**

ნასას მეცნიერები წინასწარმეტყველებდნენ, რომ აფეთქება იქნებოდა ძლიერი, მზის სიკაშკაშე კი განსაკუთრებით მოიმატებდა.

კორონალური გამოფრქვევა არის ნივთიერების გამოფრქვევა მზის გვირგვინიდან — კორონიდან. შედეგად მაგნიტური ღრუბელი აღწევს დედამიწამდე და ძლიერ გავლენას ახდენს მის მაგნიტოსფეროზე, იწვევს მნიშვნელოვან ეფექტებსა და მოვლენებს. ასეთია პოლარული ნათება, მაგნიტური ქარიშხლები, ელექტრომოწყობილობების მუშაობის დარღვევა, რადიოტალღების გავრცელების პირობების გაუარესება.

16 ივლისმა ჩაიარა და, კაცმა რომ თქვას, მსგავსი არაფერი მომხდარა, რასაც კატასტროფული მოვლენა შეიძლება ვუწოდოთ.

# აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი



**გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მეცნიერი, გამოჩენილი ნიადაგმცოდნე და ქვეყნის სასიქადულო მოქალაქე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯუმბერ ილიას ძე ონიანი.**

ჯუმბერ ონიანი დაიბადა 1928 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის ფაკულტეტი, ხოლო 1960 წელს — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით; 1961 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1960-1962 წლებში მუშაობდა აღნიშნული ინსტიტუტის აგრონიადაგმცოდნეობის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1962 წლიდან ბატონი ჯუმბერი მუშაობას იწყებს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სქამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ პერიოდიდან იწყება მისი მკვლევარად ჩამოყალიბება. აქ ჩაეყარა საფუძველი მის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, სწორედ ამ ინსტიტუტში შეასრულა მან თავისი საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევები. 1973 წლიდან აღნიშნული ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობისა და აგრომელიორაციის ლაბორატორიის გამგეა, ხოლო 2003 წლიდან — ნიადაგების ნაყოფიერებისა და მცენარეთა კვების განყოფილების მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი.

1991 წელს ჯუმბერ ონიანმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და1994 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2015 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

დიდია ჯუმბერ ონიანის დამსახურება ქვეყნის წინაშე, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ნიადაგების ნაყოფიერების დაცვის, შენარჩუნებისა და ამაღლების პრობლემების შესწავლას შეალია. პირველად საქართველოში თეორიულად დაასაბუთა და ექსპერიმენტულად დაადგინა: მინერალური სასუქების ხანგრძლივად გამოყენების გავლენა წითელმიწა და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგების თვისებებზე; ნიადაგების პირველადი დამუშავების (პლანტაჟის) ოპტიმალური სიღრმეები; ვენახის რიგთაშორისებში ნიადაგის ღრმად გაფხვიერების ოპტიმალური პერიოდები და მეთოდები; მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის ნიადაგის თვისებათა ოპტიმალური პარამეტრები; შეიმუშავა ნაბაღარი და ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის აგროღონისძიებათა ორიგინალური სისტემები; ბაღებისა და ვენახებისთვის გამოუყენებელი ნიადაგების მოვლის რაციონალური სისტემები და შეადგინა მცირე, საშუალო და მაღალი ნაყოფიერების ნიადაგებისთვის ექსპერიმენტული მოდელები.

აკადემიკოს ჯუმბერ ონიანს გამოქვეყნებული აქვს 195-მდე ნაშრომი; გამოცემული აქვს 5 მონოგრაფია, 30-მდე რეკომენდაცია და მეთოდური მითითება.

ღვაწლმოსილი მეცნიერი დიდ მზრუნველობას იჩენდა მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 5 მეცნიერებათა კანდიდატი და 2 დოქტორი.

დაუღალავ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, იგი მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. წლების განმავლობაში იყო საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, 2004-2010 წლებში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და აგრონომიული განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი.

წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მართალი კაცი და ღირსეული მოქალაქე. მისი სახელი მარადჟამს იქნება მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894